პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 18—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 19 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 164 (1319)

დღიური

- ამხ. კრასინი მიიღო ბრიანმა.
- ბელგიაში გაფიცულია 70 ათასი [illegible]
- ავსტრიის მთავრობამ მუშათა დელეგაციას არ მისცა საბჭოთა კავშირში გამგზავრების ნებართვა.
- ლატვიის მთავრობა უარყოფს ხმებს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდების შესახებ.
- ავსტრალიაში მეზღვაურთა გაფიცვა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფხიზლების ხმები ჟორდანია-რამიშვილის ბანაკიდან

ჩვენი მკითხველი გაეცნობა დღეს ქვემოთ მოთავსებულ დეკლარაციას (განცხადებას) პარიზში მყოფ ქართველ მუშა-მენშევიკებისას და უპარტიო მუშების ერთი ჯგუფისას. ღირს ამხანაგების ყურადღება შევაჩეროთ ამ განცხადებებზე. ეს, არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ იქ აღნიშნული დებულებანი რამე ახალს წარმოადგენდეს, რაც არ გვსმენია მენშევიზმისა და ყოფილი მენშევიკური პარტიის, მისი წარსული „მოღვაწეობის“ შესახებ. იმ სისტემატიური კრიტიკის შემდეგ, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი პარტია, საზოგადოთ მენშევიზმისა და კერძოთ საქართველოს მენშევიზმის წინააღმდეგ, იმ შეფასების შემდეგ, რომელიც მისცეს 1923 წლის აგვისტოში საზოგადოთ მენშევიზმსა და განსაკუთრებით საქართველოს მენშევიზმს ყოფ. მენშევიკური პარტიის რამოდენიმე ათასიანმა მუშათა მასებმა ამ პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის სახით,—ყოველივე ამის შემდეგ პარიზში მყოფ მენშევიკების განცხადება, როგორც ვსთქვით, ახალს არაფერს წარმოადგენს. ის აღსანიშნავია მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მიაღწია დაბოლოს მაინც მენშევიზმის იდეური და ორგანიზაციული ლიკვიდაციის ტალღამ საქართველოდან კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ცენტრამდე, პარიზამდე და საქართველოში მყოფ ამხანაგების გზაზე დააყენა იქ მყოფი მენშევიკი და უპარტიო მუშებიც.

ჩვენ თავის დროზე, ყოფ. მენშევიკების სალიკვიდაციო ყრილობის დროს და შემდეგაც გამოვსთქვამდით იმ რწმენას, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა გამოფხიზლება უცხოეთში გადახვეწილ მენშევიკებშიც. ეს დღეს უკვე ფაქტია, მით უფრო ხაზგასასმელი, რომ ის მოხდა ფრიად მძიმე და სახიფათო პირობებში დეკლარაციის ავტორებისათვის.

რაში გამოიხატება ეს სიმძიმე მდგომარეობის? იმაში, რომ ყოველ კრიტიკას, ყოველ თვით ლოიალურ გამოსვლასაც ჟორდანია-რამიშვილის წინააღმდეგ მათი მიმდევრების მხრივ, ეს ვაჟკატონები ამჟღავნებენ დაბეზღების ფორმით საფრანგეთის „ოხრანკაში“, აცხადებენ ამას ბოლშევიზმათ და ავტორებს საშინელ კომუნისტებათ.

ჩვენ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ საკმაო „საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ“ და მისმა აგენტებმა ეჭვი აიღონ რომელიმე მათი მიმდევარის კეთილსაიმედობაში—რომ ის „გაუზედურდეს“ ე. ი. დაჰკარგოს ის შემთხვევითი და დიდი სიძნელით ნაშოვნი სამუშაო, რომლითაც ის თავს ირჩენს უცხოეთში შექმნილ ისედაც აუტანელ პირობებში და მოხვდეს რამიშვილის დაბეზღებით საფრანგეთის პოლიციისათვის „არასასურველთა“ („indèsirables“) სიაში. ჟორდანია-რამიშვილის კამარილია ფართოდ სარგებლობდა დღემდე, სარგებლობს ახლაც პოლიციისაგან მისთვის მითვისებულ უპირატესობით, რომ აწარმოოს დევნა ქართველი მუშის თუ ინტელიგენტის წინააღმდეგ, რომლებიც ძველებური მორჩილებით აღარ უყურებენ აჯანყებისა და სისხლის ღვრის მოციქულებს. ამნაირათ ეკონომიური დამოკიდებულება ჟორდანია-რამიშვილისაგან, ამ უკანასკნელების მიერ შექმნილი დაშინებისა და ტერორის ატმოსფერა—ასეთია ის პირობები, რომლებშიც უხდებათ ცხოვრება ემიგრანტებს, მენშევიკების ყოფილ მიმდევრებს. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, მაგალითად, და ამის შესახებ უკვე გვქონდა გაკვრით მოხსენებული ჩვენს გაზეთშიც, რომ თავის დროზე პოეტ ნიკოლოზ მიწიშვილის გაძევება საფრანგეთიდან მოხდა ამ პატიოსანი ხალხის დაბეზღებით, რომ ის კომუნისტიაო. ის ტელეგრამაც, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ დღეს, შეიცავს ცნობას, რომ დეკლარაციის ავტორებს დაეცნენ რამიშვილის „მაუზერისტები“. ასეთ პირობებში ჟორდანია-რამიშვილის ყოფილ მიმდევარი მუშების გამოსვლა გარკვეული დეკლარაციით ადვილი არ იყო და ცხადია მათ დასჭირდებათ გაუწიონ სასტიკი წინააღმდეგობა და ბრძოლა რეპრესიის იმ ორგანოებს, რომლებიც არიან რამიშვილის განკარგულებაში ჯერ ერთი მისი საკუთარი ფაშისტების და მეორეც საფრანგეთის პოლიციის სახით.

ჩვენ ვიცით, რომ დეკლარაციის ავტორების: ყოფილ პარტიული და უპარტიო მუშების მდგომარეობა ძნელია ასეთ პირობებში, ძნელია ის იმათთვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ შერჩნენ რამიშვილის „სამწყსოს“ მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მაინც მოახერხებენ სამშვიდობოზე გამოსვლას. მოახერხებენ ენის ამოღებას ისინიც, ვინც იძულებული არიან ჯერ-ჯერობით სდუმდნენ. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შევუქმნათ მათ პირობები თავისუფალი განძრევის და თავისუფალი კრიტიკის. საბჭოთა საქართველომ უნდა მოუაროს, ამხანაგური ხელი გაუწოდოს იმათ, ვინც ამ დეკლარაციით პირი იბრუნა სამშობლო კერისაკენ, საბჭოთა კერისაკენ და დაჰგმო მენშევიზმის მოღალატური და ხალხის დამღუპველი გზა. საჭიროა ზრუნვა იდეური, პოლიტიკური და მატერიალური ამ ამხანაგებზე, რათა მათ რეალური ბაზა, დასაყრდენი ბაზა შევუქმნათ დამოუკიდებლობისა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ მატერიალურ რესურსებს და პოლიციურ საშუალებებს ხმარობდენ თავიანთი შერყეული რიგების ხელოვნურათ გამაგრებისათვის.

საბჭოთა საქართველოს, მუშებისა და გლეხების საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისა და აღმშენებლობის მოუსვენარ მუშაობაში ჩაბმული არიან დღეს რამოდენიმე ათასი ამხანაგი, რომლებმაც დაჰგმეს მენშევიზმი და დაკარწახებული გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ უცხოეთში მყოფი ყოფ. მენშევიკ მუშებისა და უპარტიო მუშების, (რომლებიც გამოვიდენ დეკლარაციით) **ადგილი არის აქ, საქართველოში,** და არა იქ, სადაც ისინი იყვნენ დღემდე. პირველ ნაბიჯს უნდა მოჰყვეს მეორე, სიტყვას საქმე. და ჩვენ უნდა გავუადვილოთ მათ ეს საქმე.

მიწათმოწყობის საქმე ჩვენში

მაზრებში მომუშავე საადგილმამულო ორგანოები ძალიან უკმაყოფილონი არიან 1923 წლის დაკვრითი წესით მომუშავე მიწკომების მოქმედებით. ეს გასაგებია, რადგან მიწკომები დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს და ხშირად რევოლიუციონურ სინიდისის მაგივრად მოქმედებდნენ ჯიბის ინტერესით და ნათლიმამობით. ეხლა კი მათ მიერ შექმნილი მდგომარეობა აუტანელი ხდება და ყველა ამის გამოსწორება უხდება დღევანდელ საადგილმამულო ორგანოებს. მაგრამ რამდენადაც აშკარაა მიწკომების მოქმედების უარყოფითი მხარე, იმდენად ძნელია წამხდარი საქმის გამოსწორება. განა დასაშვებია, რომ გლეხს მიცემული მიწა წაერთვას, თუნდაც ეს მიწა უკანონოთ იყოს ჩამორთმეული ვისმესაგან? რასაკვირველია არა, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა საჭიროა თვითეულ ცალკე ფაქტის შესწავლა და მისდამი სათანადო მიდგომა.

ფაქტები უმთავრესად შემდეგი ხასიათისაა.

მიწკომებმა ზოგ ალაგას აგრარული რეფორმის დაკვრითი წესით გატარება გაიგეს, როგორც ყველა მიწების ხელახალი გადაყოფა და ყველა მიწის მუშის გათანასწორება მიწის სარგებლობის მხრივ. ეს რომ მარტო იქ მომხდარიყო, სადაც თემური მიწის სარგებლობაა, ეს დიდს არაფერს გამოიწვევდა, მაგრამ მიწების გათანასწორების პრინციპზე დაადგნენ ისეთი რაიონების მიწკომები, სადაც სათემო მიწის სარგებლობა თავის დღეში არ ყოფილა, როგორც მაგალითად გორის მაზრა. ამ წესით მუშაობის დროს მიწკომები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ არსებულ 1922 წლის 26 მაისის კანონით დაწესებულ მიწის ნორმას და თუ ვინმეს მეზობლებზე მეტი ქონდა მიწა, თუნდაც ნორმაზე ნაკლები, ართმევდნენ და ათანასწორებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა მომხდარიყო ამ ნიადაგზე ჯერ შიგ სოფელში მიწების განაწილების დროს და შემდეგ სოფელთა შორის მიწის გათანასწორების დროს. მიწადმოქმედების კომისარიატმა იმ თავითვე შეაჩერა ასეთი, მეტი რომ არა ვსთქვათ, დაუშვებელი მოქმედება მიწკომებისა; მაგრამ სანამდის მიწების გათანასწორების ამბავი მოაღწევდა კომისარიატამდე, ზოგან მიწა უკვე გაათანასწორეს და ხელისუფლება დააყენეს ფაქტის წინაშე.

ზოგ მაზრაში დაკანონებული ნორმები მიუღებლათ იცვნეს არა მარტო მიწკომებმა, არამედ სამაზრო საადგილმამულო ორგანოებმაც და ნორმა შეამცირეს, რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ასე მოხდა ქუთაისისა და სიღნაღის მაზრებში.

ზოგან მიწკომებმა გადაწყვიტეს, რომ ქვრივ-ობლებს და მოხუცებულ დავრდომილებს მიწა არ უნდათ, რადგან თითონ მაინც არ მუშაობენ, მათ მიწებს მიწის მუშებს მივცემთ და ქვრივებს, ობლებს და მოხუცებულებს სოფელი შეინახავსო. შესაძლოა პირველ წელს მიწკომებმა პირნათლათ შეასრულეს ეს შეპირება და უპატრონო ქვრივებს, ობლებს და მოხუცებულ-დავრდომილებს კარგათაც უვლიდენ, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და დღეს უმიწაწყლო ქვრივები, და მოხუცებულები დადიან ხელისუფლების ორგანოებთან კარდაკარ და ეძებენ მიწასა და სიმართლეს.

ჩამორთმეულ მიწებს მიწკომის წევრები ხშირათ თავიანთ შორის ანაწილებდნენ. აქ თითქმის დიდი არაფერი ბოროტებაა, რადგან კანონით მიწკომებში უნდა შესულიყვნენ უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონენი. მაგრამ სინამდვილეში მიწკომებში ხშირათ კულაკები და სხვა გვარი არასაიმედო ელემენტი იქნა არჩეული და ჩამორთმეული მიწების მათ მიერ მითვისებას სოფლის ხალხი გულგრილათ ვერ შეხვდებოდა.

ხშირია აგრეთვე საჩივარი, რომ მიწკომებმა ჩამორთმეული მიწები თავიანთ ნათესავებს დაურიგეს, ჩამორთმევის დროს საუკეთესო მიწებს ართმევდენ და არჩევის უფლებას არავის აძლევდენ და სხვა.

აი მოკლე დახასიათება აგრარულ რეფორმის დაკვრითი წესით ჩატარების უმთავრესი უარყოფითი მომენტებისა.

იბადება საკითხი, როგორ შეიძლება დღეს, როცა ჩვენ უკვე ფაქტის წინაშე ვდგევართ, შეცდომების თუ ბოროტებათა გამოსწორება ისე; რომ „არც წვადი დაიწვას და არც შამფური“, ე. ი. არც იმ გლეხობას გაუტყდეს გული, რომელმაც მიწა მიიღო და არც იმ ნაწილს სოფლის მცხოვრებთა რომელიც ნათლათ ხედავს რომ მის წინააღმდეგ აშკარა უკანონობა დაშვებული.

ამჟამათ მიწკომები უკვე აღარ არსებობენ. მიწის კოდექსის მიღებისთანავე (1924 წლის თებერვალი 28) ისინი გაუქმებულ იქნენ. კოდექსის თანახმათ მიწათ-მოწყობას აწარმოებს მიწისმზომელი, როგორც მიწათ-მოქმედების კომისარიატის რწმუნებული, სასოფლო საბჭოს ორი წარმომადგენლის მონაწილეობით. ამ მუშაობის დროს დღე მუდამ აღიძვრის კითხვა, თუ როგორ გამოსწორდეს ესა თუ ის შეცდომა, დაკვრითი წესის დროს დაშვებული. შეუძლია მიწისმზომელს და საბჭოს წევრებს იქვე გაასწორონ ესა თუ ის შეცდომა და გადასჭრან საკითხი? რასაკვირველია არა. დაკვრითი რეფორმა იყო რევოლიუციონური აქტი და მისი შედეგების, თუნდაც ზოგან უარყოფითი ხასიათისაც იყვნენ ისინი, ადვილათ შექმნიდა დაუსრულებელ გაუგებრობას.

პრაქტიკაში შემდეგი წესია მიღებული. 14 მარტის 1925 წლ. ინსტრუქციით მიწის მოსაწყობათ სოფელში მოსული მიწისმზომელი მიიღებს ყველა საჩივრებს, რეფორმის დროს დაშვებულ მიწკომის ან სხვა ორგანოების უკანონო მოქმედების შესახებ, სასოფლო საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად გამოიკვლევს ყოველმხრივ საქმეს და თავის დასკვნით წარუდგენს სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიას. ეს უკანასკნელი განიხილავს საკითხს და გამოიტანს ამა თუ იმ დადგენილებას შეცდომების გასწორების შესახებ. თუ ეს დადგენილება არ იქნა კანონიერ ვადაზე გასაჩივრებული მიწათ-მოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭოში, ის იქნება მოყვანილი სისრულეში. სამაზრო საადგილმამულო კოლეგიაში უმრავლესობა მაზრაღმასკომის წარმომადგენლებისაა და ეს იძლევა გარანტიას, რომ საკითხი ნაჩქარევათ ან მთავარი მომენტების გაუთვალისწინებლათ არ იქნება გადაჭრილი.

ასეთია ის წესი, რომლითაც სადგილმამულო ორგანოები უდგებიან მიწის რეფორმის დროს დაშვებულ შეცდომებს. ვფიქრობთ, რომ აქ საკმაო სიფრთხილე არის გამოჩენილი, რომ შეცდომების გამოსწორება არ გადაიქცეს მასიურ ტალღათ და ყველა „დაჩაგრულმა“ ამ შეცდომების გამოსწორებას არ შეაფაროს თავი ჩამორთმეული მიწის უკან მისაღებათ. ასეთი „დაჩაგრულები“ კი ბევრია. ყველა არა მიწის მუშა, რომელიც დღემდე ვერ შეეგუება პირადი შრომით ცხოვრებას, თუ მას რამიმე მიწა ან სხვა რამ წყარო ცხოვრებისა ჩამოერთვა, თავს „დაჩაგრულს“ ეძახის და საკმაო უბრალო ხმა, ჭორი, ან გაზეთში რაიმე ინფორმაცია მიწის კანონის შეცვლის შესახებ, რომ ასეთმა „დაჩაგრულებმა“ ასტეხონ ხმაურობა „მიწებს უბრუნებენო“.

ვ. ზ—ძე.

ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის დაშლა

პარიზში მყოფ ქართველ მუშა-მენშევიკების დეკლარაცია

პარიზი, 17 ივლისი. ქართველ მუშების—მენშევიკური პარტიის ძველი წევრების ერთმა ჯგუფმა პარიზში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდებს ყველა ძველ ამხანაგებს პარტიაში და ემიგრაციაში—გამოვიდენ მენშევიკურ პარტიიდან და დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ქართული მენშევიზმი, რომელიც 1917 წლიდანვე ასცდა რევოლიუციონურ გზას, სულ უფრო და უფრო შორდება მუშათა მოძრაობის პრინციპებს და უახლოვდება მუშათა კლასის მტრების პოზიციებს, გადაიქცა რა პროლეტარიატის წინააღმდეგ სამარცხვინო გამოსვლათა სულის ჩამდგმელათ. მეორე მხრით საქართველოს ყოფილი მთავრობა და მენშევიკების ლიდერები,—განაგრძობს დეკლარაცია,—ჰკვებავდენ რა ქართველ ხალხს ევროპიდან დახმარების მოლოდინის ილიუზიებით, საქართველოს აყენებდენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე. ნამდვილათ კი ეს უკანასკნელი წარმოადგენს რეალურ ძალას, რომელზედაც შეუძლია დაეყრდნოს საქართველოს თავის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეში.

„იმ მომენტში, როდესაც ჩვენი მტრები მშრომელთა წინააღმდეგ ჰქმნიან ერთიან რეაქციონურ ბლოკს,—ამბობს დეკლარაცია—ყოველი მუშის მოვალეობაა—მიეკედლოს მუშების მთლიან ფრონტს“.

დეკლარაციას ხელს აწერენ ყოფ. მენშევიკური პარტიისა და ცეკას წევრები—შულუხია, დემეტრაშვილი, სულაქველიძე, თბილისის მენშევიკურ კომიტეტის წევრი წულუკიძე, ვეკუა და გურიის კომიტეტის წევრი—კალანდაძე.

მსგავსი დეკლარაცია გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე ქართველ მუშების უპარტიო ჯგუფის მიერ. უკანასკნელ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, ქართველ მენშევიკების მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ცნობილ ბოლქვაძის მეთაურობით, პარიზში თავს დაესხა ორ მუშას, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას, და მძიმეთ დასჭრა ისინი.

„კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“

ამხ. ფრუნზეს წერილი

მოსკოვი, 18 ივლისი. ფრუნზე წერილში „კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა“ გერმანიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო სწერს:

„ამ დღეებში ჩვენ გავაცილეთ ფრანგი და ბელგიელი ამხანაგები. ეხლა ჩვენ ვხვდებით გერმანიის მუშათა მრავალრიცხოვან დელეგაციას. დელეგაციის წევრებია—დაზგის მუშები. ეს საკმარისია იმისათვის, რათა ყველა მათ, განურჩევლად პარტიული მიმართულებისა, ძმურად შეეგებებენ ჩვენი კავშირის ყველა კუთხეებში. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ისინი არ დაუფარავენ ჩვენი მუშაობის და ყოფა-ცხოვრების არც ერთი წვრილმანს.

გერმანელი ამხანაგები დაინახავენ, რომ კავშირის მუშათა კლასი შეურყეველი სიმტკიცით განაგრძობს თავის საბჭოთა სახლის აშენებას. ისინი დარწმუნდებიან, რომ მიუხედავად მთელი კავშირის უდიდეს კულტურულ ჩამორჩენილობისა, მიუხედავად არაჩვეულებრივ ფინანსიურ, მატერიალურ და ტეხნიკურ სიძნელეთა, ეს მუშაობა არც ისე ცუდათ მიდის.

ჩვენ ვაჩვენებთ გერმანელ ამხანაგებს ჩვენს უარყოფით მხარეებსაც. ასეთი უარყოფითი მხარეები ბლომად გვაქვს. ჩვენ, მაგალითად, მხოლოდ ეხლა შევუდექით ფართედ მუშაობის წარმოებას სოფლად. წინად არ გვქონდა არც საშუალება და არც დრო, ეხლა ჩვენ ცოტა რამ შევაგროვეთ და იმედი გვაქვს სულ ახლო მომავალში მძლავრად წინ წავსწიოთ ჩვენი საბჭოთა სოფელი.

გერმანელი ამხანაგები დარწმუნდებიან, თუ რამდენად ღრმად გაიდგა ფესვები არა მარტო მუშათა კლასში, არამედ ყველა მშრომელ მასებში სიმპატიებმა გერმანიის პროლეტარიატისადმი და გერმანიის ხალხისადმი. ისინი დაინახავენ, რომ თითქმის თვითეული მუშა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის და გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანების მომენტიდან საბოლოოდ გაიმარჯვებს შრომა კაპიტალზე. ისინი გაიგონებენ ჩვენი მუშებისაგან, რომ მათთვის გაუგებარია ის ფაქტი, რომ გერმანიის მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ემსახურება საბჭოთა კავშირისადმი მტრულათ განწყობილ სოციალ-დემოკრატიას.

ჩვენ ფართოდ უღებთ საბჭოთა სახლის კარებს ძვირფას ამხანაგებს და გულწრფელათ ვეუბნებით მათ: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ბელგიაში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი უარყოფს ხმებს ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის შესახებ

საბჭოთა ნავთმა ოსმალეთის ბაზრიდან განდევნა უცხოეთის ნავთის პროდუქტები

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა მიიღო ამხ. კრასინი

ბელგია

საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვენ.

პარიზი, 17 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება, რომ ბელგიის დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალისტმა ბრიფომ მოითხოვა საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ გამოქვეყნებული ყველა ცნობები ცილისწამება აღმოჩნდა.

ამის საპასუხოთ გარეშე საქმეთა მინისტრმა ვანდერველდემ სთქვა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ბელგიის მიერ შედეგად მოჰყვება მხოლოდ მოლაპარაკებას, რომლის მიზანი უნდა იყოს ბელგიის ინტერესების დაკმაყოფილება.

ლატვია

მეიეროვიცი უარყოფს

ლონდონი, 17 ივლისი. ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მეიეროვიცმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კატეგორიულად უარჰყო ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს ბალტიის სახელმწიფოების ერთ ნაწილს უნდოდეს ანტისაბჭოთა ბლოკის შედგენა. მეიეროვიცი უარყოფდა აგრეთვე ცნობას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ინგლისი აწარმოებს ბალტიის სახელმწიფოებთან ასეთივე ბლოკის შესადგენათ.

გერმანია

ყალბი ცნობის გაბათილება

ბერლინი, 17 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ზოგიერთი გერმანულ პროვინციალურ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა, თითქოს გერმანიის ელჩის მოსკოვში—ბროკდორფ-რანცაუს მდგომარეობა შეირყა,—წარმოადგენს სიყალბეს.

ოსმალეთი

საბჭოთა ნავთის პროდუქტების გამარჯვება ოსმალეთში.

სტამბოლი. 17 ივლისი. საბჭოთა ნავთის გაძლიერებულ შემოზიდვის გამო, ერთ ბიდონ ნავთის ფასმა 275 პიასტრიდან დაიწია 240 დე, ხოლო ბიდონ ბენზინის—338 პიასტრიდან 296-დე. მოსალოდნელია ფასების შემდეგი დაწევა.

„სტანდარტ ოილ და ამხ.-ბა“, საბჭოთა ნავთის კონკურენციის გამო უკლებს ფასს. სხვა ფირმებმა კი შესწყვიტეს ნავთის გაყიდვა, ვინაიდან ვერ უძლებენ საბჭოთა ნავთის პროდუქტების კონკურენციას.

საფრანგეთი

ამხ. კრასინი ბრიანთან.

პარიზი, 17 ივლისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა მიიღო 17 ივლისს კრასინი.

ავსტრია

ავსტრიის მთავრობამ ჩაშალა მუშათა დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში.

ვენა, 17 ივლისი. ავსტრიის მთავრობამ ყველა საპოლიციო და სამოქალაქო სამმართველოებს აუკრძალა საზღვარ-გარეთის პასპორტების გაცემა ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრებზე, რომლებიც ემზადებოდენ საბჭოთა კავშირში გამოსამგზავრებლათ.

დელეგაციის წევრ—სოციალ-დემოკრატებმა მიმართეს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, თხოვნით ჩაერიოს ამ საქმეში. მაგრამ საპარლამენტო ფრაქციის მდივანმა უარი განაცხადა ამაზე. ამნაირათ, მუშათა დელეგაციის გამომგზავრება ჩაიშალა.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 17 ივლისი. ყრილობის მეხუთე დღეს პროფმოძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ტელმანი, რომელმაც ხაზი გაუსვა ამ საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ტელმანმა მიუთითა, თუ როგორ ძლიერდება საერთაშორისო პროფმოძრაობაში გაერთიანების სურვილი და აღნიშნა გერმანიის პროფკავშირების კონტრ-რევოლიუციონური როლი ამ საკითხში. მომხსენებელმა მკვეთრათ დაასურათა, თუ როგორ შეიძლება თავისუფალ პროფკავშირების გარევოლიუციონერება?

პროფკავშირების ბიუროკრატია შეადგენს მხოლოდ ყველა წევრების 10 პროცენტს და ემყარებიან სოც.-დემოკრატებზე, რომლებიც შეადგენენ 12 პროცენტს. ამ პროფკავშირებში კომუნისტები წარმოადგენენ პროც. ამგვარათ საკითხი ეხება 80 პროცენტის უპარტიოთა გადმობირებას, რომლის უდიდესი ნაწილიც 1923 წელში მზათ იყო გაჰყოლოდა კომუნისტებს.

დასასრულ ტელმანი მიუთითებს კონკრეტიულ ამოცანებზე, რომლებიც დგანან პარტიის წინაშე პროფმოძრაობის სფეროში.

კამათში, მიიღო რუტ ფიშერის მოხსენების გარშემო, შოლემი გაზვიადებულათ თვლის იმ მნიშვნელობას, რომელსაც ცეკა აძლევს მონარქიასთან ბრძოლის საკითხს. შოლემი ამბობს, რომ გერმანიაში სრულიადაც არ წარმოშობილა ახალი ისტორიული მდგომარეობა, ამიტომ საჭირო არ არის პარტიას ახალი პოლიტიკის შექმნა.

ბოლოს შოლემმა განაცხადა: „ჩვენ, მემარცხენეები, მიუხედავათ ჩვენი შეხედულობისა მაინც ვიმუშავებთ ცეკასთან ერთად მასსების გაბოლშევიკების საკითხში.

„მემარცხენეების“ იერიშები.

რუტ ფიშერისა და ტელმანის მოხსენების შესახებ კამათში გამოვიდა მემარცხენე როზენბერგი, რომელიც შეეხო პარტიაში არსებულ არსებითი უთანხმოებას. როზენბერგს იერიში მიჰქონდა უმთავრესად არა გერმანიის კომპარტიაზე, არამედ კომინტერნის აღმასკომზე. ყრილობის საერთო უკმაყოფილებაში როზენბერგი აცხადებს, რომ საქმე ეხება არა პრეზიდენტის არჩევნების ან პრუსიის საკითხს, არამედ ეხება კომინტერნის მეხუთე ყრილობის დადგენილებათა გადასინჯვას მსოფლიო მასშტაბით. შემდეგ როზენბერგი სცდილობს დაამტკიცოს, თითქოს კომინტერნის აღმასკომს განზრახვა ჰქონდეს, შესცვალოს საერთო ხაზი სამი საკითხის შესახებ: პირველ ყოვლისა, შერყეულია ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და, ორატორის აზრით, მასსების მობილიზაციის რევოლიუციონური მეთოდი შეიცვალა პარლამენტარულ ფანდებით. მეორე: შერყეულია თეორია ლენინიზმისა და სახელმწიფო მიდის პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების რაღაც საშუალო გზებით. მესამე: თითქოს ემჩნევა უკან დახევა პარტიების ხელმძღვანელობის დღევანდელ პრინციპიდან, რადგან არიან ცდები, რომ მემარჯვენე ბელადები ისევ დაუბრუნონ ხელმძღვანელობას.

ცეკას უმრავლესობის წარმომადგენელი დენგელი სასტიკ კრიტიკას უწევს როზენბერგის განცხადებას კომინტერნის მერყეობის შესახებ და ამას ნათლავს დახაშაულობათ და თავხედობათ. შემდეგ დენგელი უარჰყოფს როზენბერგის მტკიცებას, თითქოს კომინტერნის ტაქტიკაში ერთგვარი გადახრა ეტყობოდეს მეხუთე კონგრესის დადგენილებიდან. დენგელის სიტყვას თანაგრძნობით ეკიდება მთელი დარბაზი.

მოკავშირეები და გერმანია

გერმანიის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე

ბერლინი, 17 ივლისი. 17 ივლისს რეიხსკანცლერს თათბირი ჰქონდა მთავრობის პარტიების წარმომადგენელებთან, საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საფრანგეთის ნოტაზე გერმანიის მთავრობის მიერ გასაგზავნ პასუხის შინაარსთან გაცნობის მიზნით.

საპარლამენტო წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ პასუხის შინაარსის გარშემო მოხდა შეთანხმება მთავრობისა და საპარლამენტო პარტიების შორის. დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც რეიხსკანცლერთან ცალკე თათბირი ჰქონდათ გამართული, თავი შეიკავეს პასუხის მოწონებაზე და ამის შესახებ გამოსთქვეს საკუთარი შეხედულება.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

პარიზი, 17 ივლისი თუმცა გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება საგარანტიო ხელშეკრულობის საკითხში ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის, საფრანგეთის პოლიტიკური წრეები მაინც ფიქრობენ, რომ გერმანია უარს იტყვის საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობაზე და მიემხრობა დასავლეთ სახელმწიფოების კავშირს.

ფიქრობენ აგრეთვე, რომ გერმანია, ისარგებლებს რა საფრანგეთის დღევანდელ გაჭირვებით, შეეცდება უხვი ჯილდოს მიღების თანამშრომლობისათვის, და ეს ჯილდო, როგორც სჩანს, უნდა გამოიხატოს პოლონეთის დასავლეთ საზღვრების შეცვლაში.

ფილუზი „სანფილს“ სააგენტოს ბიულეტენში აფრთხილებს მთავრობას სერიოზულ საფრთხისაგან, რომელიც საფრანგეთს მოელის იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ბლოკი „რუსეთაზიის“ ბლოკის წინააღმდეგ.

ფილუზის აზრით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ბლოკის შექმნა უწინარეს ყოვლისა ხელს შეუწყობდა ინგლისის პოლიტიკას აზიაში და გამოიწვევდა გერმანიის არმიის აღდგენას ინგლისის მფარველობის ქვეშ.

უორკერს პარტის ყრილობა

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. უორკერს პარტის ყრილობა დანიშნულია 9 აგვისტოსათვის.

პარტიულ კომიტეტის ცნობაში ნათქვამია, რომ ყრილობის მთავარ მიზანს წარმოადგენს „ფრაქციებად დაყოფის ლიკვიდაცია და პარტიის მთლიანობის შექმნა კომინტერნის პროგრამის საფუძვლებზე“.

საფრანგეთის გენერალურ საბჭოს არჩევნები

პარიზი, 17 ივლისი. 19 ივლისს ყველა დეპარტამენტებში მოხდება გენერალურ საბჭოების (დეპარტამენტების თვითმართველობის ორგანოების) არჩევნები.

მოსალოდნელია 1467 დეპუტატის ადგილის შეცვლა. ადგილები განაწილებული იყო შემდეგნაირად: კომუნისტები—22, სოციალისტები—68, რესპუბლიკანელი-სოციალისტები—58, რადიკალ-სოციალისტები—276, რადიკალები—263, ნაციონალური ბლოკის პარტიის წევრები—647 და კონსერვატორები—133.

ომი მაროკოში

ფრონტზე.

პარიზი, 17 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტოს ფესიდან ატყობინებენ, რომ რიფების გაძლიერებული იერიში უედ-არზინის პოსტის და ფრანგების პოზიციების წინააღმდეგ აინ-მეატში მოგერიებულია ჰაეროპლანების დახმარებით.

გენერალი ნოლენი გაემგზავრება მაროკოში.

პარიზი, 17 ივლისი. საფრანგეთის ჯარების ახალი მთავარსარდალი მაროკოში გენერალი ნოლენი გაემგზავრა პარიზიდან დანიშნულების ადგილზე.

სისხლიანი გზა მშვიდობიანობისაკენ.

პარიზი, 17 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

წინად მიღებულ გადაწყვეტილებების მიხედვით, **მაროკოში გაიგზავნა დამხმარე ძალა, საფრანგეთის ზონის დაცვის მიზნით** და აბდ-ელ-ქერიმის დამარცხების გასაადვილებლათ, რაც შეუწყობს ხელს ზავის ჩამოგდებას. ამ დამხმარე ძალის გამოყენების მიზნით მაროკოში გაიგზავნა გენ. პეტენი მარშალ ლიოტესთან მოსალაპარაკებლათ.

საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ

პარიზი, 17 ივლისი. ომის ყოფილ მონაწილეთა კავშირმა და ბელგიის სოციალისტების ჯგუფმა ბრიუსელში გამართეს საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ და პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

ბელგიის მკერავთა პროფკავშირის მდივანმა ლიბერსმა, სოციალისტური პარტიის წევრმა მედგრად გაილაშქრა კაპიტალისტების მიერ წარმოებულ ომის წინააღმდეგ; ლიბერსი ამტკიცებდა პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროებას და აკრიტიკებდა რეფორმისტულ ლიდერების პოლიტიკას, რომელნიც ხელს უწყობენ ბურჟუაზიას.

ავდიტორია, რომლის უმრავლესობა რეფორმისტულ პროფკავშირების წევრებისაგან შესდგებოდა, ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ლიბერსის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის კაპიტალისტურ ევროპაზე უფრო მაღლა აყენებს კაპიტალის ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ საბჭოთა კავშირს, სადაც ბატონ-პატრონებად მუშები არიან.

ლიბერსმა მოუწოდა პროლეტარიატს მთლიანობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მარშალი პეტენი

პარიზი, 17 ივლისი. მემარჯვენე მხარეები მხურვალედ ესალმებიან მთავრობის გადაწყვეტილებას გაგზავნოს მაროკოში მარშალი პეტენი, რადგანაც ამაში ხედავენ მთავრობის სურვილს სამხედრო ოპერაციების გასაფართოვებლად.

პეტენის მაროკოში ჩასვლისთანავე საფრანგეთიდან ჩავა საგრძნობი მაშველი ძალა.

კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ

პარიზი, 17 ივლისი. მემარჯვენე პრესა, მაროკოს ომთან დაკავშირებით, გააფთრებულ კამპანიას ეწევა კომუნისტების წინააღმდეგ.

ამ კამპანიაში მონაწილეობას იღებს უპარტიო ინფორმაციული პრესაც, რომელიც სერიოზული სახით ირწმუნება, რომ აბდ-ელ-ქერიმთან მუშაობენ „კომუნისტების ემისარები“, და აბდ-ელ-ქერიმი საფრანგეთს წინააღმდეგობას უწევს მხოლოდ იმ იმედით რომ საფრანგეთის კომპარტია მოახერხებს სამხედრო ოპერაციებისათვის ხელის შეშლას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს კომუნისტების საქმიანობის ჩასახშობათ.

პრესის იგივე ორგანოები მოითხოვენ, რომ აბდ-ელ-ქერიმს არ მიეცეს არავითარი საზავო წინადადებები, ვიდრე იგი არ დამარცხდება სერიოზულად.

მდგომარეობასთან უფრო კარგათ ცნობილი, მთავრობის პარტიების ორგანოები დღიურ საკითხს არც ისე იოლათ უდგებიან და არ ფარავენ აბდ-ელ-ქერიმთან ბრძოლის იმ სიძნელეთ, რომელნიც დღითი დღე იზრდებიან.

სცნობენ რა აუცილებლობათ რიფებთან გადამწყვეტ ბრძოლისათვის დამხმარე ძალების გაგზავნის აუცილებლობას, ეს გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ მაროკოდან მარშალ ლიოტეს გამოძახებას—და ხაზს უსვამენ იმას, რომ პეტენის გაგზავნა მაროკოში ადასტურებს ლიოტეს უვარგისობას.

მთავრობის ზოგიერთ წრეებში, მიუხედავათ სულ საწინააღმდეგო ნიშნებისა, ფიქრობენ, რომ ზავის ჩამოგდება შესაძლებელი გახდება სულ უახლოეს ხანში. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ ახალ სამარ მომზადებათ და დამხმარე ძალების გაგზავნას მიზნათ აქვთ აიძულონ აბდ-ელ-ქერიმი პატივისცემით მოეპყრას იმ საზავო წინადადებებს, რომელთაც ჩქარა გადასცემენ მას საფრანგეთისა და ესპანეთის წარმომადგენლები.

ინგლისი

ინგლისის საზღვაო ძალების გადიდება

ლონდონი, 17 ივლისი. „დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება, რომ მთავრობამ მოიწონა უახლოესი ექვსი წლის საზღვაო პროგრამა, რომლის თანახმათ პირველ სამ წელში უნდა აგებულ იქნეს 18 ახალი კრეისერი. ამ 18 კრეისერის ღირებულება აღწევს 36 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

სმეტსის გამოსვლა

ლონდონი, 17 ივლისი. სამხრეთ-აფრიკის კავშირის ყოფილმა პრემიერმა, გენერალმა სმეტსმა პარლამენტში განაცხადა, რომ თუ ინგლისელი პოლიტიკოსები დასდებენ საგარანტიო ხელშეკრულებას, ისინი ამით შეარყევენ ინგლისის იმპერიის მთლიანობას და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მათ ამ იმპერიის ამოსჭრეს გული.

მუშათა რიგების გაერთიანება

ლონდონი, 17 ივლისი. 17 ივლისს გაიმართა სამთომადნო მუშათა რკინისმზელთა, მანქანების მშენებელ, გემების მშენებელ და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც იხილავდა საკითხს მწარმოებლებთან საბრძოლველად გაერთიანების შესახებ. განხილული იქნა მუხლობრივ გაერთიანების წესდების პროექტი.

დადგენილი იქნა წინადადება მიეცეს პროფკავშირების აღმასკომებს დაუყოვნებლივ განიხილონ პროექტი და გააკეთონ მის შესახებ მოხსენება კონფერენციაზე.

თუ პროფკავშირები თანახმა იქნებიან გაერთიანების, ახლო მომავალში გაიმართება კონფერენცია, რომელზედაც გაერთიანება იქნება დამტკიცებული.

ბულგარეთში

წამება ცანკოვის სამეფოში

ვენა, 17 ივლისი. მიღებულია დაწვრილებითი ცნობები იმ საშინელ წამების შესახებ, რომლის მსხვერპლი შეიქნა კიშინევის ციხეში ინჟინერი გუროვი, რომელსაც მისჯილი აქვს 10 წლის ციხე.

გუროვისაგან მოითხოვდენ მის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებათა დადასტურებას, რისთვისაც ათი დღის განმავლობაში საშინლად აწამებდენ მას: გავარვარებულ რკინით დაღავდენ, სცემდენ განსაკუთრებული ჯოხებით და უშვებდენ ელექტრონის ნაკადს ცხვირსა, ყურსა და ყანყრატოში. ამას გარდა გუროვს აწვენდენ „პროკრუსტოს საწოლზე", რამაც გამოიწვია ხელისა და ფეხის ძვლების გადატეხა.

ინგლის-იაპონიის კავშირის გარშემო

კოპპის საუბარი შიდეხარასთან

ტოკიო, 17 ივლისი. „ჯაპან ტაიმს"-ი იუწყება, რომ კოპპმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი, ბარონი შიდეხარა, რომელთანაც ჰქონდა სანგრძლივი საუბარი ინგლისისა და იაპონიის ახალ კავშირის შესახებ გავრცელებულ ხმების გარშემო. ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ საუბარმა ვერავითარი შედეგები ვერ გამოიღო, ვინაიდან ეს გავრცელებული ხმები ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

კოპპთან საუბრის დროს შიდეხარამ გულწრფელად აღიარა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მეგობრულ დამოკიდებულებათა განვითარების შესაძლებლობა.

აღმოსავლეთში

ირაკი

ინგლისელები იცავენ მოსულს

ბაღდადი, 17 ივლისი. ბასრაში (ბაღდადის მახლობლად) თავს იყრის 30,000 მეტი ინგლისელი ჯარი ოსმალებისაგან მოსულის დაცვის მიზნით.

ოსმალეთი

ოსმალეთის რეაქციონერების პროცესი

სტამბოლი, 17 ივლისი. რეაქციონერთა პროცესზე გამოირკვა, რომ სან-რემოში მცხოვრებ ყოფილ სულთანს და პრინცებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გაბმული რუმინეთსა, საბერძნეთსა, ეგვიპტესა და სირიაში გაფანტულ ოსმალელ რეაქციონერებთან.

რუს გენერალ ხალილოვს, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა (ხალილოვი ერთ დროს დაღესტნის მთავრობის თავმჯდომარე იყო) სულთანი აძლევდა 30,000 ლირას დაღესტნელებისა და ჩერქეზებისაგან რაზმების შესადგენად.

„აღდგენის კომიტეტი"-ის პროგრამაში შედიოდა პუნქტი სულთანის ძალაუფლების აღდგენის შესახებ უცხოეთის დახმარებით.

ნავთის საზოგადოება

სტამბოლი, 17 ივლისი. შესდგა ოსმალეთის ნაციონალური საზოგადოება ოსმალეთში ნავთის დასამუშავებლად. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 1.000.000 ლირას. კონცესია აღებულია 50 წლით. საზოგადოებაში მონაწილეობს ოსმალეთის მრავალი ბანკი.

ეგვიპტე

ინგლისელ კომენდანტის მოკვლის განზრახვა

კაირო, 17 ივლისი. ხებრონში, მოკვლის მიზნით, მოახდინეს თავდასხმა ინგლისელ კომენდანტზე. ამისათვის მცხოვრებლებს დაადვეს კონტრიბუცია 5.000 გირ. სტერლ. რაოდენობით.

ინდოეთი

გაფიცვა

ყამული, 17 ივლისი. ვალპინდში დაწყებული გაფიცვა გავრცელდა სრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზაზე. გაფიცვის მიზანია რკინის გზელთა კავშირის წარმომადგენელთა დათხოვნა მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის. მუშების მოთხოვნაზე სამსახურში დაბრუნებული იქნან დათხოვნილი მუშები, რკინის გზის ადმინისტრაციამ ლოკაუტით უპასუხა. უმაღლეს ხელისუფლებისადმი უშედეგო მიმართვის შემდეგ რკინის გზელთა ლაგორის კავშირის გენერალური მდივანი იძულებული იყო გაფიცვა გამოეცხადებია. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 30.000 კაცი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. კალინინის გამგზავრება დასასვენებლად.

მოსკოვი, 18 ივლისი. 15 ივლისს წავიდა დასასვენებლად საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე კალინინი. ცაკის თავმჯდომარეობის მოვალეობათა შესრულებას შეუდგა ჩერვიაკოვი.

მისალმება პერსელს

მოსკოვი, 18 ივლისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ამხ. პერსელს, ინგლისის პარლამენტში მის არჩევასთან დაკავშირებით, გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

საბჭოთა ესპერანტისტების კონგრესი.

მოსკოვი, 18 ივლისი. 26 ივლისს მოსკოვში მოწვეულია საბჭოთა კავშირის ესპერანტისტების კავშირის მეორე კონგრესი.

პენსია მასწავლებლებს

მოსკოვი, 18 ივლისი. საკავშირო ც. ა. კ. დადგენილების თანახმად, პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა პენსიით უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ 5 წლის სტაჟის შემდეგ. მასწავლებლობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ც. ა. კ. პრეზიდიუმმა დაადგინა იმ ადგილებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულია 1920 წლის 1 იანვრიდან, ხუთწლიანი სტაჟი შესცვალოს მუშაობის პერიოდით გასაბჭოებიდან 1925 წლის 1 იანვრამდე.

სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის გაძლიერებისათვის

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის გაძლიერების მიზნით, გაანთავისუფლო სარეწაო გადასახადისაგან სალეწავი, სანიავებელი და სხვა სამეურნეო მანქანების მეპატრონეები.

პროფინტერნის არსებობის 5 წლის თავი

კომინტერნის აღმასკომის დეპეშა

მოსკოვი, 18 ივლისი. კომინტერნის აღმასკომმა პროფინტერნს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „5 წლის განმავლობაში პროფინტერნი თავდადებულად და მტკიცედ ხელმძღვანელობდა მასების ბრძოლას კაპიტალის და მის მსახურთა წინააღმდეგ, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება პროფკავშირებში და რომელნიც ცდილობდენ დაექსაქსათ პროლეტარიატის ძალები და გაეთიშათ მათი პროფესიონალური ორგანიზაციები. პროფინტერნმა არა თუ დაიპყრო მუშათა ახალი ფენები კომუნიზმის იდეისა და რევოლიუციონურ პროფმოძრაობის განსახორციელებლად, არამედ ამსტერდამის გამთიშველთა დამღუპველ ზეგავლენის ქვეშ მყოფ მასებს შთაუნერგა შეგნება, რომ საჭიროა ყველა ძალების გაერთიანება კაპიტალის დამხობისათვის საბრძოლველად. ფართო მასების მიერ წარმოგზავნილი დელეგატები, რომელთა მიზანია ამხანაგური კავშირის განმტკიცება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან, მოწმობენ თუ რამდენად ძლიერია მშრომელთა ფართო მასების ლტოლვა მთლიანობისაკენ. მთლიანობის ლოზუნგის ქვეშ მუშათა კლასი უკვე აწარმოებს ბრძოლას მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მოახლოვებულ საფრთხის და საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად მზადების წინააღმდეგ. ვერავითარი ძალები, როგორც ეს 5 წლის წინად წითელ პროფკავშირთა დამფუძნებელ ყრილობისადმი მისალმებაში იწინასწარმეტყველა ლენინმა, ვერ შეაჩერებენ კაპიტალიზმის კრახს და მუშათა კლასის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე.

მხურვალე სალამი მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებს

მოსკოვი, 18 ივლისი. პროფინტერნის არსებობის 5 წლის შესრულების გამო, გლეხთა ინტერნაციონალის საბჭომ მთელი მსოფლიოს გლეხების სახელით გაუგზავნა მისალოცი დეპეშები მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებს.

მილოცვებში ნათქვამია: „დეე გამაგრდეს და გაიზარდოს კავშირი პროლეტარიატსა და გლეხებს შორის. მოახლოვებულია დღე, როდესაც მსოფლიო ბარიკადებზე დადგება პირისპირ ორი მოწინააღმდეგე: ერთის მხრით მიწის მუშების და ქალაქის მუშათა მრავალმილიონიანი არმია—მეორეს მხრით კი ექსპლოატატორები და მჩაგვრელები".

ჩინეთის დელეგაცია მოსკოვში

გენერალი სიუსთან ამხ. ფრუნზე

მოსკოვი, 18 ივლისი. ამდღეებში ბერლინიდან მოსკოვში ჩამოვიდა ჩინელი გენერალი სიუ. გენერალი მიიღო საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ ფრუნზემ, რომელსაც გენერალი დიდხანს ესაუბრა.

17 ივლისს გენერალმა სიუმ მთელი თავისი ამალის და რევ. სამხ. საბჭოს თავმჯდომარის თანხლებით. ინახულა ოქტომბრის ბანაკი. სიუ გაეცნო წითელი არმიის ცხოვრებას, დაესწრო სასწავლო სროლას, დაათვალიერა ტანკები, ჰაეროპლანების, მესანგრეთა ნაწილები და სხვ. ის დაინტერესდა აგრეთვე პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობით, რომელიც წითელ არმიაში სწარმოებს. მისი ყურადღება მიიპყრო ლენინის კარვებმა ბანაკში.

ბანაკის დატოვებისას სიუმ მადლობა გადაუხადა ბანაკის უმაღლეს სარდლობას, რომელიც თან ახლდა მას ბანაკის დათვალიერების დროს და აძლევდა საჭირო განმარტებას.

16 ივლისს გენერალი სიუ მიიღო გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა.

სთანსაუბარი გენერალ—სიუ-

მოსკოვი, 18 ივლისი. როსტას წარმომადგენლებთან საუბარის დროს გენერალმა სიუმ განაცხადა: „მთავრობის მეთაურის დუან-ცზი-ჩჟუის დავალებით მე გავემგზავრე საზღვარგარეთ სპეციალური მისიით. ჩემს ამოცანებში შედის ევროპის სახელმწიფოების და, აგრეთვე, შეერთებულ შტატებისა და იაპონიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა.

მე მსურს რომ ორ დიდ სახელმწიფოს მეგობრული კავშირი სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდეს. მე მხედველობაში მაქვს მეგობრული დამოკიდებულება არა მარტო ორ მთავრობასა, არამედ, უმთავრესათ, ორ ხალხს შორის, როგორც მტკიცე ურთიერთობის საწინდარი. ჩინეთში მთავრობათა შეცვლა ხშირი მოვლენაა, მაგრამ ჩინეთის ხალხის მეგობრობა საბჭოთა კავშირის ერებთან ურყევია".

საუბარი ნანსენთან

მოსკოვი, 18 ივლისი. 17 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა ნანსენი რომელსაც თან ახლდა მდივანი კაპიტანი კვისლინგი.

„როსტას" წარმომადგენელთან საუბრის დროს ნანსენმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის მიზანია საბერძნეთში, ოსმალეთში და სხვა ქვეყნებში მყოფ ლტოლვილ სომხების დაბრუნება სამშობლოში. ჩემ მოგზაურობას მოჰყვა დადებითი შედეგები, რადგან გამოირკვა ამიერ-კავკასიის ბევრ ადგილებში სარწყავ მუშაობის პირობები და ამ ადგილებში ლტოლვილ მასების გადასახლების შესაძლებლობა. მოსკოვში მე ჩამოვედი იმ მიზნით, რათა სისრულეში მოვიყვანო ადგილობრივ მიღებული გადაწყვეტილებანი.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ნანსენმა სთქვა; „მე ვინახულე ვოლგის მხარე 1921 წელს, მოსკოვი 1920 წელს. ვოლგის მხარის ნახვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვინაიდან მაშინ იქ მძვინვარებდა შიმშილობა. ეხლა მე გაოცებული ვიყავი ამ მხარეს სწრაფი აღდგენით ცხოვრების მოწესრიგებით და მეურნეობის ზრდით, მოსკოვი ჯერ მე არ მინახავს, მაგრამ ქალაქის გარეგნული სახე ამტკიცებს, რომ ამ მოკლე ხანში ბევრი რამ არის გაკეთებული. ქალაქი გარეგნულათ მოწყობილია და ახდენს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას".

საქართველოს ცაკის მეორე სესია

მეშვიდე სხდომა

სხდომა იხსნება დილის ცხრა ნახევარ საათზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

მიწის კოდექსში შესატანი ცვლილებები

ამხ. ი. ქვანიას მოხსენება

— ამხანაგებო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შემუშავებული აქვს რამოდენიმე წინადადება, რომლებსაც დასამტკიცებლათ უდგენს სესიას.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს წინადადებები მიღებული იქნეს პრინციპიალურათ და შემდეგ გადაეცეს ცაკის პრეზიდიუმს მიწის კოდექსში შესატანათ.

ერთი ასეთი წინადადების, სახელდობრ, საადგილ-მამულო-სამოსამართლო კომისიის შესახებ თქვენ უკვე მოგახსენათ ამხ. ვარძიელმა. ჩვენ გვაქვს კიდევ ოთხი წინადადება, რომლებსაც მე ეხლა აღვნიშნავ.

პირველი საკითხი ეხება მიწის იჯარით გაცემას. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში. დღემდე საქართველოში მომქმედ მიწის კოდექსის ძალით მიწების იჯარით გაცემის უფლება აქვთ იმ ოჯახებს, რომლებიც დაზარალდენ სტიქიური უბედურების გამო, (ხანძარი, წყალდიდობა, სიკვდილი და სხვა).

ეს მუხლი მიწის კოდექსში შეტანილი იყო მაშინ, როდესაც ჩვენ ვახორციელებდით მიწის რეფორმას: ამიტომ ყველა ჩვენი ღონისძიებები იმ ხანებში მიმართული იყო იქითკენ, რომ გაგვეტარებია საადგილ-მამულო რეფორმა და მაშინ მიწის იჯარაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო.

როცა რეფორმა დამთავრდა და გლეხებმა მიიღეს მიწები, საჭირო იყო უკვე ამ მიწების დამუშავება. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში მუშა-საქონლის რიცხვი საგრძნობლათ შემცირდა. გლეხების უმრავლესობამ დაჰკარგა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და თავისი მიწების დამუშავების მიზნით ისინი იძულებული იყვნენ თავისი შრომა მიექირავებიათ შეძლებულ გლეხებისათვის და ამის საფასურში რამოდენიმე დღით აეყვანათ მათგან მუშა-საქონელი, რომ დაეხნათ და დაეთესათ თავისი მიწები.

ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ გლეხები არ არიან უზრუნველყოფილი მიწებით, ჩვენ შემოღებული გვაქვს მაგარი ნორმა, მაგრამ ამ ნორმითაც არ არიან დაკმაყოფილებული გლეხები. რუსეთში ამ მხრივ სულ სხვაგვარი მდგომარეობაა. იქ მიწები ბევრია, ამას გარდა არც მაგარი ნორმაა შემოღებული. სოფლის მეურნეს შეუძლია იმდენი მიწა აიღოს, რამდენის დამუშავებასაც შესძლებს თავისი ოჯახის წევრების დახმარებით.

საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ნება დართულია მიწების იჯარით გაცემა 12 წლის ვადით. რუსეთში იჯარით გასაცემ და ასაღებ მიწების რაოდენობა განსაზღვრული არ არის, საქართველოში კი ჩვენ მიწის იჯარით აღების უფლებას ვაძლევთ მხოლოდ ნორმის ფარგლებში, ეს გამოწვეულია იმით, რომ მიწის დიდი რაოდენობა ხელში არ ჩაუვარდეს ერთ კაცს და ამით არ შეიქმნეს ახალი მემამულე.

მიწის კოდექსის მე-67 მუხლის ძალით ჩვენ ნახევარი ნორმის მიღების უფლებას ვანიჭებთ ფიზიკური შრომის მუშაკებს და სოფლის თანამდებობის პირებს: მასწავლებლებს, აგრონომებს, ექიმებს, სათემო აღმასკომის მოსამსახურეებს და სხვებს,

მართალია ჩვენ მათ მივეცით მიწა, მაგრამ არ მივეცით მისი დამუშავების საშუალება. მიწების იჯარით გაცემა მათ არ შეეძლოთ, რადგან ეს აკრძალული იყო კანონით, ვერც მათ დამუშავებას ახერხებდენ, რადგან მათ არც დრო აქვთ და არც მიჩვეული არიან ფიზიკურ შრომას.

ჩვენი ფორმულა ამ საკითხის შესახებ ამბობს შემდეგს: „მიწის იჯარით გაცემის და აღების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომლის მთავარი საარსებო წყაროა სოფლის მეურნეობა".

მეორე საკითხია, ამხანაგებო, იჯარის ვადა. ეს უკანასკნელი საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის დადგენილებაში განსაზღვრულია 12 წლით. ჩვენ ეს ვადა დავტოვეთ საქართველოშიც.

იჯარის საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია დაქირავებული შრომის საკითხი. ჩვენ აქ სავსებით უერთდებით და ვეთანხმებით საკავშირო ყრილობის დადგენილებას. ამიერიდან გლეხს შეუძლია იჯარით აღებული მიწა დაამუშავოს არა მარტო თავისი ოჯახის წევრების დახმარებით არამედ მოიშველიოს დაქირავებული მუშა-ხელიც.

ეს საკითხი უკვე დამუშავებულია პროფსაბჭოში და შრომის კომისარიატში და ახლო ხანში გამოქვეყნებული იქნება სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომით სარგებლობის პირობები.

მეოთხე საკითხია მიწის მოწყობის დარგში გაწეულ ხარჯების ანაზღაურების საკითხი.

1924 წლამდე მიწის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები განაწილებული იყო სახელმწიფოსა და ადგილობრივ მოსახლეობის შორის. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი სოფლებში გზავნიდა მიწის მზომელებს, რომლებსაც აძლევდა ჯამაგირს, სამგზავრო და დღიურ ხარჯებს. მიწის მზომელის სოფელში ჩასვლის შემდეგ ყველა ის ხარჯები (ბინა, ბოძები, ნახშირი, გადასასვლელი საშუალებანი და სხვა), რომლებიც დაკავშირებული იყო მის მუშაობასთან მიწის მოწყობის დარგში, უნდა გაეღო ადგილობრივ მოსახლეობას.

1924 წელში ეს პრაქტიკა შეიცვალა იმ მხრივ, რომ ყველა ხარჯები დაეკისრა სახელმწიფოს: ამ გარემოებამ ერთგვარათ შეანელა მუშაობა, რადგან კომისარიატს არ ჰქონდა სათანადო თანხები მუშაობის გასაძღოლათ. ასე, მაგალითად, თუ 1924 წლამდე კომისარიატს ყავდა 90 მიწის მზომელი, დღეს ყავს 36 მიწის მზომელი, ასე რომ თითო მაზრაზე მოდის 2 მიწის მზომელი, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ სოფლის მოთხოვნილებას.

ჩვენი გეგმის მიხედვით მიწათმოქმედება საქართველოში უნდა დამთავრდეს 5 წლის განმავლობაში, ამისათვის კი ყოველ წლიურათ საჭირო იქნება 180 მიწისმზომელი და 680.000 მანეთი. ასეთი დიდი თანხები კომისარიატს არ აქვს; ამიტომ ჩვენ ვშუამდგომლობთ სესიის წინაშე, რომ მიწათ მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისროს იმ სოფელს, სადაც ეს მუშაობა სწარმოებს.

ეს ხარჯები ადგილობრივი მოსახლეობის შორის უნდა გაანაწილოს სათემო აღმასკომებმა. ამასთანავე ამ ხარჯებისაგან განთავისუფლებული უნდა იქნენ ღარიბი და უსახსრო გლეხები.

მიწათმოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებში, განსაკუთრებით ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან დაკავშირებით.

სანამ ჩვენ სისწორით არ შევისწავლით და არ მოვაწყობთ თვითეული გლეხის მეურნეობას ცალ-ცალკე, მანამ შეუძლებელი იქნება გადასახადის ობიექტების სისწორით აღრიცხვა და გადასახადის გაწერის დროს [illegible].

მიწათმოწყობას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მიწების დაქსაქსულობით გამოწვეული გაჭირვების შემსუბუქების საქმეში.

ამხ. ქვანიას მოხსენების შემდეგ ამხ. ვარძიელმა მოახსენა სესიას იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც არჩეული იყო საადგილ-მამულო სამოსამართლო კომისიების საკითხის დასამუშავებლათ.

კომისიამ გაიზიარა ის აზრი, რომ საადგილ-მამულო-სამოსამართლო კომისიები დაარსდეს ყველა მაზრებში და აგრეთვე იმ რაიონებშიც, სადაც არიან სახალხო მოსამართლეები. კომისიას თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, წევრებათ შედიან სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე და აღმასკომის ერთი წარმომადგენელი.

კომისიაში კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იქნეს სათემო და სამაზრო კომისიებს შორის, სათემო კომისია უნდა დაემორჩილოს სამაზრო კომისიას, თუ ისინი ერთნაირი უფლებებით უნდა იქნენ აღჭურვილი.

კამათი

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხ. უვანიას და ვარძიელის მოხსენებების გარშემო იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამხ. ფ. მახარაძე, მიქელოვი, კარაკურჩიანი და კირკიტაძე.

ამხ. ფ. მახარაძე. თავის სიტყვაში შეეხო მიწის საკითხის სირთულეს და აღნიშნა, რომ ამ საკითხის მეტათ ფრთხილად უნდა მივუდგეთ.

— მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტში,—ამბობს ორატორი,—არის ადგილები, რომლებიც გაუგებრობას გამოიწვევენ გლეხებში.

პროექტში ნათქვამია, რომ საიჯარო მიწის რაოდენობა უნდა განისაზღვროს ნორმის ფარგლებით. ჩემის აზრით, ამ ადგილს უეჭველათ შესწორება სჭირია. საქმე იმაშია, რომ მიწას იჯარით აძლევს ხელმოკლე გლეხი, რომელსაც არ გააჩნია არც ცოცხალი და არც მკვდარი ინვენტარი მიწის დასამუშავებლათ.

პროექტის მიხედვით კი გამოდის, რომ მიწა იჯარით უნდა აიღოს ისეთმა გლეხმა, რომელსაც არ აქვს სრული ნორმა, ე. ი. ისევ ხელმოკლე გლეხმა, საშუალო და შეძლებულ გლეხს, პროექტის ძალით, უფლება არ აქვს მიწები აიღოს იჯარით.

ასეთ პირობებში იჯარას ეკარგება მნიშვნელობა, რადგან ის ვერ მიაღწევს იმ მიზანს, რომელიც დასახული აქვს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

შემდეგ ამხ. მახარაძე შეეხო მიწათმოწყობის საკითხს და აღნიშნა, რომ აუცილებელია მისი დაჩქარებით მოგვარება, რადგან მას საარსებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

შემდეგი ორატორები ეხებიან საადგილ-მამულო-სამოსამართლო კომისიებს და სასულიერო პირებისათვის მისაცემ ნორმის განსაზღვრის აუცილებლობას.

მერვე სხდომა

კამათის გაგრძელება

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

გრძელდება კამათი ამხ. ქვანიას და ვარძიელის მოხსენებების გარშემო.

კამათში მონაწილეობას იღებენ ამხ. გეგელია, ფუტკარაძე, ლომაშვილი, ენუქიძე, გელაძე, შოგირაძე და ჯაფარიძე.

ორატორთა უმრავლესობა ეხება მიწის საკითხის გარშემო წამოჭრილ გაუგებრობებს და მოყავთ კონკრეტიული ფაქტები ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკიდან. ორატორთა უმეტესობა ემხრობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

შემდეგ ამხ. ვარძიელი მოახსენებს სესიას იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც არჩეული იქნა სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების და დამატებების განსახილველათ.

სესიამ დაამტკიცა წარმოდგენილი ცვლილებები ერთის გამოკლებით.

ჭიათურის შავიქვის კონცესია

ამხ. ელიავას მოხსენება

შემდეგ ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ელიავამ.

12 ივნისს,—ამბობს მომხსენებელი,—ჩვენ საკონცესიო ხელშეკრულება დავდევით ამერიკის კაპიტალისტების იმ ჯგუფთან, რომელსაც მეთაურობს ჰარიმანი.

ამ ხელშეკრულების ძალით, კონცესიონერს გადაეცა ჭიათურის შავი ქვის მთელი რაიონი, გარდა ერთი ნაწილისა, რომელიც მთავრობის განკარგულებაში დარჩა მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ.

ჭიათურის შავი ქვის კონცესიათ გაცემა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენ არ გვაქვს სათანადო თანხა, რომ საკუთარი ძალებით ვაწარმოოთ შავი ქვის ამოღება. ამასთანავე ეხლანდელ პირობებში ჩვენი ტეხნიკის ჩამორჩენილობის გამო სასარგებლო არ არის შავი ქვის საკუთარი ძალებით დამუშავება.

ჩვენ სათანადო სიმაღლეზე ვერ დავაყენებთ შავი ქვის ამოღების ტეხნიკა. მადაროებიდან ნავთსადგურამდი ჩვენ გატანილი შავი ქვიდან გვეკარგება 40-40 პროცენტი, როდესაც ევროპაში (შვეცია, გერმანია) ეს დანაკლისი შეადგენს მხოლოდ 8—10 პროც.

კონცესია გაცემულია 20 წლის ვადით, ამ ხნის განმავლობაში ჰარიმანმა უნდა გაიტანოს არა ნაკლებ 16.000,000 ტონი შავი ქვა, ე. ი. ყოველწლიურად საშუალოთ 800,000 ტონი. ამ კონცესიიდან მთავრობა ყოველწლიურათ მიიღებს 8 მილიონ მანეთს.

იმ მიზნით, რომ კონცესიონერმა არ დაარღვიოს დადებული ხელშეკრულება და ის ნამდვილად შეუდგეს მუშაობას, ჩვენ მას მოვსთხოვეთ, რომ შეეტანა ევროპის ერთ-ერთ ბანკში საწინდარი 1.000.000 დოლარის რაოდენობით. მე დღეს ამხ. ძერჟინსკისაგან მივიღე დეპეშა იმის შესახებ, რომ ეს საწინდარი უკვე შეტანილია.

ამჟამათ კონცესიონერების წარმომადგენელი უცდის საზ—ბა „ჩემო"-ს ლიკვიდაციას, რის შემდეგაც ის შეუდგება პრაქტიკულ მუშაობას.

ამხ. ელიავას მოხსენების შემდეგ გლეხთა ცენტრალური სახლის შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. ნახარიძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხ. ელიავას მოხსენების შემდეგ სესიის დღის წესრიგი ამოწურულია დასკვნითი სიტყვით გამოდის საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

— ამხანაგებო, ჩვენი მუშაობა დამთავრებულია, დღის წესრიგში დასმული საკითხები გადაჭრილია, ჩვენ შევიმუშავეთ რამოდენიმე დებულება ჩვენი საბჭოთა ორგანოების შესახებ, რაც აქამდი არ გვქონდა და რაც აფერხებდა მუშაობას.

ჩვენ მოვისმინეთ დაწვრილებითი მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და თემის ბიუჯეტის შესახებ. ამას გარდა, გავარჩიეთ შემდეგი საკითხები: განვიხილეთ და მივიღეთ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის დებულებები და ცვლილებები და დამატებები შევიტანეთ მიწის კოდექსში.

ამრიგათ, დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული წინ. ჩემი დაკვირვებიდან მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომელიც წარუშლელი დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ამ სესიამ განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. აქ ჩვენ ვხედავდით ცოცხალ და დაკვირვებულ მსჯელობას, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა სესიებზე. ეს ასეც უნდა იყოს. ასე უნდა იყოს იმიტომ, რომ ჩვენ ვიზრდებით, ვიძენთ პრაქტიკულ გამოცდილებას და თანდათან უფრო ვებმებით მუშაობაში.

აქ აღსანიშნავია გლეხების აქტიური მონაწილეობა სესიის მუშაობაში. ისეთი საკითხის განხილვის დროს, როგორც არის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსები, რომელთა განხილვას და შესწავლას, თითქოს, სპეციალისტების ცოდნა სჭირია, უბრალო თოხის გლეხი ისეთ დაკვირვებას და მიდგომას იჩენს, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვდივართ. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენ ნამდვილათ ვქმნით და ვაშენებთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც ბატონი მუშა და გლეხია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ასეთივე დაკვირვებას გამოიჩენთ ადგილებზე, როდესაც შეუდგებით აქ მიღებულ დებულებათა ცხოვრებაში გატარებას. ამ დებულებებს მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ მტკიცეთ დაიცავთ და განახორციელებთ მათ.

მე ჩემს შესავალ სიტყვაში მივუთითე იმაზე, რომ ჩვენს მუშაობას უშუალო კავშირი აქვს ჩვენს საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობასთან. ეს არ უნდა დაივიწყოთ თქვენ და ყოველთვის უნდა გახსოვდეთ თქვენს პრაქტიკულ მუშაობაში.

გისურვებთ, რომ აქედან წასვლის შემდეგ თქვენი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნეს, რომ ჩვენ შემდეგ ისევ შევიკრიბოთ და ვიმსჯელოთ იმ საკითხებზე, რომლებსაც ცხოვრება წამოაყენებს. (ტაში).

დასასრულ სესიამ ამხ. გეგელიას წინადადებით დაადგინა საქართველოს ცაკის მესამე სესია მოწვეულ იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკის დედა ქალაქ სოხუმში.

სესიამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა თათართა რესპუბლიკას, მისი არსებობის ხუთი წლის თავის შესრულების გამო.

სესია დაიხურა ღამის 11 საათზე.

სხდომის დამთავრების შემდეგ დელეგატებს უჩვენეს კინო-სურათი „არსენ ჯორჯიაშვილი".

—

დღეს, დილის 8 საათზე, სესიის წევრები მიემგზავრებიან ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლათ. იქიდან დაბრუნებისას დელეგატები დაათვალიერებენ გლეხთა ცენტრალურ სახლს.

საზაფხულო გადასამზადებელი კურსების მნიშვნელობა

პროლეტარული სახელმწიფოს აღმშენებლობის მიმდინარე პერიოდმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ცენტრალურ ადგილზე წამოაყენა საკითხი სოფლის შესახებ. „პირი სოფლისაკენ"—ამ ლოზუნგის განხორციელება გულისხმობს სოფლის ყოველმხრივ გაჯანსაღებას: გლეხების გაძლიერებას ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირის განმტკიცებას, რაც პროლეტარიატის დიქტატურის ძლიერებისათვის აუცილებელი პირობაა.

განათლების კომისარიატის მოღვაწეობაში სოფლის საკითხს ამ ჟამად პირველი ადგილი უნდა დაეთმოს და ასეც არის. სოფლის ბავშვთა კომუნისტური აღზრდა, გლეხობაში კოლექტივისტურ მისწრაფებათა გაძლიერება, მეურნეობის გაუმჯობესება, სოფლის კულტურული დონის ამაღლება, ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნა, სოფლის მოსახლეობის ფიზიკური კულტურის აწევა და მისი გაჯანსაღება, აი საკითხები, რომლებიც სდგას განათლების კომისარიატის კულტურული საქმიანობის პროგრამაში.

მათ დადებითად გადაწყვეტას და საბჭოთა ახალი, კულტურული სოფლის შექმნას მხოლოდ განახლებული სკოლის საშუალებით შევსძლებთ.

სკოლა—მთავარი კულტურული ცენტრი უნდა გახდეს სოფლად: არა კარ-ჩაკეტილობა, არამედ მოსახლეობასთან და საერთოდ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირება, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან წამოყენებულ ამოცანების გადაწყვეტაში მხურვალე მონაწილეობის მიღება, კულტურული თაოსნობა და ხელმძღვანელობა—ასეთი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ სკოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება სოფლის კულტურული ცენტრი, ვერ დააკმაყოფილებს ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას და ვერ შექმნის ახალ სოფელს.

სკოლა მხოლოდ მაშინ არის კულტურული ცენტრი, თუ მისი ხელმძღვანელი—მასწავლებელი შეგნებული და კულტურული ადამიანია. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება თავის სირთულით, ფართო გაქანებით და ახალი საზოგადოებრივობის აღმშენებლობის საკითხებით, დიდ მოთხოვნილებას უყენებს მასწავლებელს: მას უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნარი სწორად დააფასოს და გაიგოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, მიზანშეწონილად იმოქმედოს, უხელმძღვანელოს მოსახლეობას და გახდეს კულტურული მესვეური სოფელში.

ჩვენი მასწავლებელი ასეთი როლისათვის უმეტეს შემთხვევაში არ არის მომზადებული; ჩვეულებრივი მასიური მასწავლებელი სრულიად უმწეოა სწორად გაერკვას იმაში, თუ რა ხდება მის ირგვლივ, არ ძალუძს იტვირთოს ის მძიმე როლი, რომელიც მას აქვს დაკისრებული, არ აქვს ცოდნა, არც გამოცდილება და უნარი, რომ სოფლის კულტურულ ცენტრში მოექცეს.

ეს გარემოება უკარნახებს განათლების კომისარიატს მიიღოს სათანადო ზომები მასწავლებელთა ახალი კადრების მოსამზადებლად შესაფერ პედაგოგიურ სასწავლებლებში და დღეს სკოლებში მომუშავე მასწავლებლების გადასამზადებლად საზაფხულო კურსებისა და ადგილობრივად სათანადოთ მოწყობილ მასწავლებელთა წრეების საშუალებით. გადამზადების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლი აქვს დაკისრებული ამ ზაფხულის თვენახევრიან კურსებს, რომლებიც ეწყობა ოთხწლედების მასწავლებელთათვის 19 ალაგას საქართველოში.

კულტურული მუშაობის წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებელი კარგად იცნობდეს ჩვენი სინამდვილის გამოკვლევა-შესწავლის მეთოდებს. ეს სინამდვილე აშკარა და ნათელი უნდა იყოს მასწავლებლისათვის. მას უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნარი მოვლენები განიხილოს ურთიერთთან კავშირში და ცვალებადობის პროცესში; ასეთი შესწავლა საჭიროა არა ცნობისმოყვარეობისათვის, ცხოვრების წინ წაწევისათვის.

მასწავლებელი მხარეთ მცოდნე უნდა გახდეს, უამისოდ შეუძლებელია სკოლის, როგორც სოფლის მთავარი კულტურული ცენტრის ხელმძღვანელობა.

მასწავლებლების მომზადება და გადამზადება, მხარეთმცოდნეობის საფუძველზე უნდა სწარმოებდეს. ამ ზაფხულის კურსების მუშაობას მხარეთმცოდნეობის პრინციპი აქვს დადებული საფუძვლად: თვითეულ კურსებს, გამოკვლევა-შესწავლის ობიექტად და მთელი მუშაობის გამოსავალ წერტილად მიჩნეული ექნება მხარის უმცირესი ნაწილი—სოფელი: აქაური ბუნება, წარმოება, საზოგადოებრივი ცხოვრება; ეს საკითხები განიხილება პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოყენების თვალსაზრისით, და მაშასადამე, წარმოების და სოფლის ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით (საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები სოფლის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ აღმშენებლობის სფეროში). ეს იქნება [illegible]დროულობის თვალსაზრისი მხარეთმცოდნეობითი მუშაობაში და ეს თვალსაზრისია დაცული იმ სამუშაო პროგრამებში, რომლებიც ეძლევათ კურსებს სახელმძღვანელოდ.

კურსებზე მასიური მასწავლებელი მხარეთმცოდნეობითი მუშაობის პროცესში ეცნობა ამ მუშაობის მეთოდების, შეისწავლის ოთხწლედებისათვის გამოცემულ ახალ პროგრამებს ფაქტიური მასალის და მისი დამუშავების მეთოდების მხრივ; ბუნებისმეტყველებაში, საზოგადოებათმეცნიერებაში და მათემატიკაში კი გააფართოვებს თავის ცოდნას იმდენად, რომ თავისუფლად შეეძლოს ახალი პროგრამებით სარგებლობა სკოლაში და კულტურული მოღვაწეობის გაფართოება სოფლად.

კურსების მუშაობის მთავარ მიზანს შეადგენს ახალი კომპლექსიური პროგრამების შესწავლა. ეს პროგრამები მხოლოდ ჩონჩხი რომელიც ადგილებზე უნდა იქნას ხორცშესხმული კონკრეტიული მასალით. კონკრეტიული მასალა აღებული უნდა იქნას არსებულ ბუნებიდან, ცხოვრებიდან და წარმოებიდან. ასეთი მასალა გროვდება და შეისწავლება მხარეთმცოდნეობითი მუშაობით. მაშასადამე, ახალი პროგრამების გარჩევა და შესწავლა, როგორც კურსების მუშაობის მთავარი მიზანი და ამ მუშაობის დამყარება მხარეთმცოდნეობის პრინციპზე—არსებითად ერთი და იგივე მუშაობაა: ახალი კომპლექსური პროგრამების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი—წარმოებითი მხარეთმცოდნეობაა.

ახალი პროგრამებით სწორად და ნაყოფიერად მუშაობა გულისხმობს, რომ მასწავლებელი თავისუფლად უნდა ერკვეოდეს იმ ფაქტებში, რაც ირგვლივ ხდება: მათი შერჩევა, დაფასება, გაგება, ურთიერთთან დაკავშირება. ეს მოითხოვს მასწავლებლისაგან პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიური ცხოვრების მოვლენების და ბუნების მოვლენების სწორად დაფასება-გაგებისათვის საჭირო ცოდნას და უნარს. ამ სამი მიმართულებით უნდა სწარმოებდეს მასწავლებელთა გადასამზადებელი მუშაობა და ეს გარემოება მიღებულია მხედველობაში მიმდინარე წლის კურსების პროგრამებში.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ თითქოს თვენახევრიანი კურსებით შესაძლებელია მასწავლებლის სრული გადამზადება. ასეთ მიზანს არც ვისახავთ კურსებზე. საჭიროა მასწავლებელს ინტერესი გაუღვიძოთ, ახალი საკითხების სფეროში შევიყვანოთ, მუშაობის სწორი მიმართულება ავაღებინოთ, ცოდნის შეძენის და გამოყენების მეთოდებს გავაცნოთ, თუ ეს შევსძელით—დიდი მიღწევა იქნება. შემდეგ მუშაობას მასწავლებლები კოლექტიური ძალღონით შეასრულებენ და თვით-გადამზადების და განვითარების საქმეს თვითონვე გაუძღვებიან.

კურსების სამუშაო პროგრამაში სამი მთავარი საგანია ნაგულისხმევი: საზოგადოებათმეცნიერება პოლიტიკური ანბანით, ბუნებისმეტყველება გეოგრაფიის ელემენტებით და მათემატიკა. მხარეთმცოდნეობა ამ საგნების გაერთიანებული ღერძია: ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრება, საქმიანობა, ბუნება მათი მოვლენების რთული კავშირის ყოველმხრივი გამოკვლევა, შედეგად მოგვცემს მთლიან სინთეტიურ ცოდნას. ბუნების მეტყველება ბევრ ალაგს გადაეჯაჭვება მეურნეობის საკითხებს და საზოგადოებათმეცნიერებას, მათემატიკაც დაუკავშირდება დანარჩენ დისციპლინებს (ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების და მეურნეობის გამოკვლევა მათემატიკური თვალსაზრისით).

ასეთი შედეგის მისაღებად აუცილებლათ საჭიროა საგნების ხელმძღვანელთა შეთანხმებული მუშაობა. რათა კურსებზე მომუშავე მასწავლებლობამ თვითმუშაობის და ცოდნის შეძენის პროცესში პრაქტიკულად დაინახოს და გაიგოს, თუ რას წარმოადგენს სინთეტიური ანუ კომპლექსური მეთოდი.

ვინაიდან შრომის სკოლის მუშაობა აქტიურკვლევითი მეთოდით უნდა მიმდინარეობდეს, ამიტომ აუცილებელი საჭიროა ამ მეთოდს მასწავლებლები გაეცნონ არა მარტო თეორეტიულად მოხსენებისა და ლექციის საშუალებით, არამედ უშუალოდ თავის მუშაობაში. კურსების მუშაობა კვლევითი მეთოდზე უნდა იყოს დამყარებული (ლაბორატორიული მუშაობა, ექსკურსიები).

კურსანტ-მასწავლებლების მაქსიმალური აქტივობის გამოწვევა და გამოყენება კურსების მუშაობის ნაყოფიერების უმთავრეს პირობად უნდა იქნას აღიარებული. მუშაობის მთელი სიმძიმე წრეებში უნდა იქნას გადატანილი. ხელმძღვანელი დახმარებას უწევს წრეების მუშაობას. ლექციურ სისტემას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

საზაფხულო კურსების მუშაობამ თვითეულ მასწავლებელს უნდა დაუყენოს საკითხების მთელი რიგი რაზედაც ის მუშაობას განაგრძობს მთელი წლის განმავლობაში. ამისათვის საკმაოდ შეიარაღებული უნდა იყოს მეთოდიური ცოდნით და შეეცადოს გამოიყენოს კოლექტიური მუშაობის ყველა შესაძლებლობანი (მეზობელ სკოლების მასწავლებელთა წრეები და სხვ.). მომავალი წლის კურსებზე მოხდება წრეების მიერ შესრულებული მუშაობის აღრიცხვა.

სასურველი და მეტად სასარგებლოა, სადაც შესაძლებელი იქნება, კურსებთან ბავშვთა კოლექტივების შექმნა; ბავშვებზე დაკვირვება, მათთან ექსკურსიების მოწყობა, მხარეთმცოდნეობითი მუშაობაში ხელმძღვანელობა, საერთოდ ბავშვებთან საცდელი მუშაობის ჩატარება—ყველა ეს დიდ დახმარებას გაუწევს კურსების მუშაობას.

კურსების მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შედეგად მივიღოთ მხარეთმცოდნეობითი უჯრედების დაარსება მაზრის სხვადასხვა ადგილებში; ამისათვის მასწავლებლებმა უნდა შეიძინონ საჭირო ცოდნა, უნარი და, რაც მთავარია, ინტერესი მხარის შესწავლისა. გარდა ამისა, კურსების მუშაობის ადგილზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმს, სადაც მოთავსდება კურსებზე შეგროვილი მხარეთმცოდნეობითი მასალა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ზაფხულის კურსები მეტად ნაყოფიერი იქნება ჩვენი მასწავლებლებისათვის.

მარიამ ორახელაშვილი.

უკანასკნელი ცნობები

შვეციის მუშები საბჭოთა კავშირში

რეველი, 17 ივლისი. 17 ივლისს რეველში ჩამოვიდენ ორი გემით შვეციის მუშები, რომლებიც მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამშრომლები შეხვდნენ ექსკურსიას და გააცილეს სადგურზე.

უცხოეთის ფირმები ვერ უძლებენ საბჭოთა ნავთის კონკურენციას

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა ნავთის გაძლიერებული გაზიდვის გამო ბიდონ გაწმენდილ ნავთის ფასმა სტამბოლში დაიკლო 240 პიასტრამდე, ბენზინის 296 პიასტრამდე.

მოელიან ფასების შემდგომ დაწევას.

„სტანდარტ ოილის" კომპანია საბჭოთა ნავთის კონკურენციის გამო იძულებულია ფასები დაუკლოს თავი პროდუქტებზე.

დანარჩენმა ფირმებმა შესწყვიტეს დაწმენდილ ნავთით გაყიდვა, რადგან ვერ უძლებენ საბჭოთა ნავთის კონკურენციას.

ნახშირის ამოღების გადიდება ტყვიბულის მაღაროებში

მოსკოვი, 18 ივლისი. სათბობი მასალის სამმართველომ მიიღო 1925 წლისათვის საკონტროლო ციფრად 5 ნახ. მილიონი ფუთი ნახშირის ამოღება ტყვიბულის მაღაროებში. შარშან კი ამოღება უდრიდა 3.800.000. ფუთს.

პაშიჩის გადადგომა

ვენა, 17 ივლისი. პაშიჩმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ, რის შემდეგ მას დაევალა ახალი მთავრობის შედგენა, რომლის შემადგენლობაში შევა რადიჩის კიდევ 3 მომხრე.

რადიჩის პარტიის გადაწყვეტილებამ კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია მემარცხენე ელემენტების რიგებში.

დეპუტატმა იგეციჩმა გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი რადიკალებთან შეთანხმების წინააღმდეგ. დეპუტატი აღნიშნავს, რომ კროაცელ გლეხების სრული განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მონარქიის და სერბების გადადგომის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზით.

შესაძლებელია, რომ კროაცელ გლეხების წრიდან გამოვიდეს კიდევ რამდენიმე დეპუტატი.

ლატვია ეძებს ახალ მოკავშირეებს

პარიზი, 17 ივლისი. ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მეეროვიცმა ინახულა საფრანგეთის პრეზიდენტი დუმერგი და საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი მოხელეები.

მეეროვიცმა ინახულა აგრეთვე რუსეთის მონარქისტულ და თეთრ ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ მიზნით, რათა შეათანხმონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაერთიანებული გამოსვლა. ამასთანავე მეეროვიცმა აღუთქვა მათ სრული დახმარება და ლატვიის ტერიტორიაზე მუშაობის შესაძლებლობა.

ინგლისი თანახმაა კონფერენციის მოწვევაზე

ლონდონი, 17 ივლისი. როგორც „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, ინგლისის მთავრობამ აცნობა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ ის შანხაის ამბების გამოძიების წინააღმდეგია.

ინგლისის მთავრობა თანახმაა აგრეთვე ამერიკის წინადადებაზე მოწვეულ იქნას კონფერენცია ჩინეთში უცხოელთა განსაკუთრებულ უფლებების საკითხის განსახილველათ.

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი, 18 ივლისი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით ივნისში შემჩნეულია ნათესების მდგომარეობის გაუმჯობესება 0,2 ბალით. ხორბლეულ ნათესების მდგომარეობა შეფასებულია ასე: მომხმარებელი რაიონებში—3,1, დამმზადებელ რაიონებში—3,2. ჩრდილოეთ-კავკასია—3,7. ციმბირი—3,1. რ. ს. ფ. ს. რ.—3,3 ბელორუსია—3,1, უკრაინა—3,5. საერთო მდგომარეობა მთელს კავშირში—3,3. ამ შეფასებიდან შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსავალი დესეტინიდან 1922 წლის მოსავლის თანაბარი იქნება და ომის წინა ხანაზე მეტი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1922 წელთან შედარებით ნათესების სივრცე წელს გაიზარდა 30 პროცენტით. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აზრით, მიმდინარე წლის საერთო ხორბლის აკრება მოგვცემს 4 მილიარდ ფუთამდე.

სესხი მეურნეობის აღსადგენათ

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოში ფინსახკომის მიერ შეტანილ პროექტით, მეურნეობის აღსადგენი სესხი 300 მილიონის რაოდენობით გამოშვებული იქნება 1925 წლის სექტემბერში 4 წლის ვადით. სესხი გამოიშვება 4 ნაწილათ. ობლიგაციებით გადახდილი იქნება საპროცენტო შემოსავალი წლიურათ 10 პროც. რაოდენობით. სესხის ობლიგაცია თავისუფალია ყოველგვარ სახელმწიფო, ადგილობრივ გადასახადისა და გამოსაღებისაგან და მიიღება საიჯარო და სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა საჰაერო ექსპედიცია

ზეიმი პეკინში

პეკინი, 17 ივლისი. ექსპედიციას ჩამორჩენილი ტომაშევსკი 17 ივლისს საღამოს მოფრინდა პეკინში. მას ჰაერში შეეგებენ სიხარულით აღტაცებული ექსპედიციის სხვა მონაწილენი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომელნი.

მიუხედავათ დიდი სიცხისა, ჰაეროდრომზე მოგროვდა დიდძალი ჩინელი მოსახლეობა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა მფრინავთა შესახვედრათ საგანგებოთ დაარსებული კომიტეტი.

7 ს. და 40 წუთზე ყველა აპარატები დაეშვენ ჰაეროდრომზე. ამგვარათ ყველა ექვსივე აპარატი მოვიდა პეკინში.

ექსპედიციამ საუცხოვოთ დაამთავრა 7.000 კილომეტრის გადაფრენა, რითაც განახორციელა დასახული ამოცანა. საბჭოთა აპარატებმა იშვიათი გამოცდა მოახდინეს. მფრინავებმაც და მექანიკოსებმაც გამოიჩინეს წითელი ავიაციის მუშაკთა საუცხოვო ღირსებანი.

ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოება.

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაასაჩუქროს მოსკოვ-პეკინის გადაფრენის უფროსი შმიდტი და აგრეთვე ყველა მფრინავები და მექანიკოსები წითელი დროშის ორდენით წარმატებით გადაფრენისათვის. გარდა ამისა ვოლკოვი, ვოინოვი, გრომოვი, ტომაშევსკი, ეკატოვი, პოლიაკოვი და ნაიდენოვი დაჯილდოებული არიან დამსახურებული მფრინავების სახელწოდებით. სამხედრო ძალებისადმი ბრძანებით შმიდტს მიეცა მფრინავ-ხედამხედველის წოდება.

მფრინავ ტომაშევსკის გმირობა

პეკინი, 17 ივლისი. დიდი გაჭირვების შემდეგ მფრინავი ტომაშევსკი იძულებული გახდა ჩამოშვებულიყო ძირს და ჩამორჩენოდა ექსპედიციას. ტომაშევსკი აფრინდა ერთ პატარა სოფლიდან, რომელიც მდებარეობს ურგადან 250 ვ. მანძილზე და უზიანოთ ჩამოეშვა უდაში (გობის უდაბნოს ცენტრი). ტომაშევსკი და მისი მექანიკოსი საშინელ განსაცდელში იყვენ ჩავარდნილი სიმშილისა, წყურვილისა და სიცხის გამოისობით. მიუხედავათ ამისა, მათ მაინც მოახერხეს აპარატ „ლატვიელ მსროლელის" შეკეთება და გადაფრინდენ პეკინში.

გადაფრენის დასამთავრებლათ

პეკინი, 17 ივლისი. უკვე შეუდგენ სამზადისს პეკინის გარშემო გადასაფრენათ. მფრინავები დაჯილდოებულ არიან ორდენებით და მიიღეს მრავალი საჩუქრები. სხვა და სხვა პროვინციების გუბერნატორებმა ექსპედიციის მონაწილეთ გამოუგზავნეს მილოცვები და საჩუქრები.

პარიტეტული კონტრ-რევოლუციის გასამართლება

მეორე დღე

(17 ივლისი)

დილის სხდომა*)

მოწმეების დაკითხვა

გრძელდება მოწმეების დაკითხვა

გედევან კაჭარავა

(აბაშის აღმასკომის თავმჯდომარე)

აცხადებს, რომ მენშევიკური ბანდების დაბიდან განდევნის შემდეგ ჩვენს რაზმებს დაუხვდათ მარქსის, ენგელსის და შოთა რუსთაველის დამსხვრეული ძეგლები. გატეხილი და აოხრებული იყო აღმასკომის ბინა, ბიბლიოთეკის წიგნები აწეწილი და ეზოში მობნეული. როგორც გავიგეთ, აბაშის ბანდის ხელმძღვანელი იყო ძველი აფიცერი მხეიძე. დატყვევებული კომუნისტები მათივე გადმოცემით—განთავისუფლების შემდეგ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ. ბანდიტებისაგან ისინი განიცდიდენ დამცირებასა და დაცინვას.

ივანე ჭეიშვილი

(ყოფილი მენშევიკი, დღეს უპარტიო, საბჭოთა ხელისუფლების დროს გურიის მენშევიკური კომიტეტის მდივანი)

„ჩვენ გვყავდა სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ახდენდა ცოცხალი ძალების და იარაღების აღრიცხვა-რეგისტრაციას. ობოლაძის მკვლელობის დროს მე ციხეში ვიყავი. იქ ისეთი აზრი არსებობდა, რომ ეს მკვლელობა პარტიულ ორგანიზაციის დასტურით მოხდა, მაგრამ რომ მენშევიკურ პარტიას სახელი არ გასტეხოდა და ამ ფაქტს ცუდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა მასაზე, გურიის ორგანიზაციამ გამოუშვა ფურცლები, სადაც ის უარყოფდა ობოლაძის მკვლელობაში რაიმე მონაწილეობის მიღებას. ციხიდან გამოსვლის შემდეგ გურიის კომიტეტის მაშინდელმა პასუხისმგებელმა წევრმა ვასო ჩიტაიშვილმა საიდუმლოთ გადმომცა, რომ ობოლაძის მკვლელობა მართლაც მენშევიკური ორგანიზაციის საქმე იყო.

გოგია ღლონტის შორაპნიდან გაქცევის დროს, მე ვიყავი სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარედ და სამაზრო კომიტეტმა მაცნობა, რომ მალე გურიაში შემოვა ღლონტის ჯგუფი, რომელსაც ბინითა და საზრდოთი უნდა დავეხმაროთ. ცენტრიდან ვღებულობდით ჩვენ ტანისამოსს ტყეში გასული რაზმელების ჩაცმა-დახურვისათვის. გოგია ღლონტი და მანწკავა, რომლებიც მეთაურობდენ გურიის ბანდებს, წარსულშიაც გამოჩენილი ყაჩაღები იყვენ. მათ არა ერთი თავდასხმა და ყაჩაღობა მოუხდენიათ. სხვათა შორის, მათ გაძარცვეს ზღვაზე გემი ნატანების მახლობლად.

ვასილ კაჭარავა

(აბაშიდან)

უშუალო მონაწილეობას იღებდა ბანდიტურ გამოსვლების წინააღმდეგ. აბაშაში შესვლისას მან გაიგო, რომ მოამბოხეთა ბიურომ თავის ხანმოკლე ბატონობის დროს სთხოვა სამაზრო კომიტეტს, რომ ეხლა ბრალდებულის სკამზე მჯდომი თეოფილე შენგელაია ერთი ხნის განმავლობაში დაეტოვებიათ აბაშის რაიონის ხელმძღვანელად. ამ მოთხოვნილებას ხელს აწერდა ორ დანარჩენ მენშევიკთან ერთად ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი დიმიტრი ქობულია.

ეპიფანე ხუხია

1922 წელს სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში, არც ერთს პარტიაში არ ყოფილა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით ბანდიტურ თავდასხმებში, გაძარცვის მიზნით ამავე პარტიის სასარგებლოთ. თბილისში ოლღას ქუჩაზე, ამბობს მოწმე, სამ სხვა ამხანაგთან ერთად თავს დავესხით ერთს რესტორანს და ვფიქრობდით ფულის გატაცებას, მაგრამ ერთს ჩვენთაგანს დუქნის მოსამსახურემ იარაღი აჰყარა, დანარჩენები რაკი ახლო მდგომმა მილიციონერმა თავდასხმა გაგვიგო და ხმაურობა ასტყდა, სხვა და სხვა მიმართულებით დავიფანტენით. ყოფილმა აფიცერმა მხეიძემ მე დამაიმედა, რომ ასეთ ექსპროპრიაციებით შენ დაიმსახურებ ნაციონალ-დემოკრატების ნდობას და მის რიგებში იქნები მიღებულიო.

ვ. ხურცილავა

(სოხუმელი ვაჭარი)

პოლიტიკის, საკუთარი განცხადების თანახმათ, არაფერი გაეგება, მაგრამ ეს სრულიად არ უშლიდა მას ხელს, რომ მენშევიკური უჯრედები შეეკრა და აქტიური ორგანიზაციული მუშაობა ეწარმოებინა. მისი სავაჭრო, ამასთან ერთად, არალეგალურ მუშაობის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. ვაჭარი ხურცილავა ახლო დამოკიდებულებაში იყო აჯანყების ცნობილ მონაწილეებთან: ფიჩხაიასთან და ფანცულაიასთან.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, რას ისახავდა მიზნათ ვაჭარი ხურცილავა, როცა მენშევიკებს ეკედლებოდა, რა სარგებელს ელოდა ის ამ ორგანიზაციაში მუშაობით, მოწმე უპასუხებს „მე შემპირდენ კენჭის ყრა იქნებაო". ეს დარბაზში სიცილს იწვევს.

ქ. თოფაძე

(„სხივების" ცეკას ყოფილი წევრი—მუშა)

ჩვენს ორგანიზაციაში შეიქმნა ორი მიმდინარეობა: ერთი, რომელიც ლეგალური მუშაობის მომხრე იყო, და მეორე, რომელიც უფრო მენშევიკებისაკენ იხრებოდენ. უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნოდენ: გრიგოლ გიორგაძე, ნიკიფორე იმნაიშვილი და კირილე ნინიძე. ისინი უფრო მენშევიკებთან იყვენ დაკავშირებული, მათთან კონტაქტის დაჭერა უნდოდათ. ასე იყო 1921 წელში. მენშევიკებთან მოლაპარაკების შემდეგ წამოიჭრა საკითხი ინტერპარტიული კომიტეტის შედგენის შესახებ. ამ კომიტეტში ჩვენგან არჩეული იყო გრიგოლ გიორგაძე და ის ხშირათ გვიკეთებდა მოხსენებებს ინტერპარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ. როდესაც შესდგა პარიტეტული კომიტეტი, ჩვენი რწმუნებულება ამ ორგანიზაციაში დაევალა მუხრან ხოჯოლავას, მაგრამ ის ხშირათ ავადმყოფობდა, მის მაგივრობას ეწეოდა კირილე ნინიძე, იმნაიშვილი და მგონი გიორგაძეც.

მე გამოსული ვიყავი პარტიიდან 1923 წლის იანვარში, ამავე წლის 5 მაისს კი გაზეთებში მოვათავსე წერილი, რომ „სხიველები" არიან პარიტეტულ კომიტეტში და ამიტომ გამოვდივარ პარტიიდან მეთქი.

საერთოთ უნდა ვსთქვა, რომ იმნაიშვილი იცავდა მტკიცეთ თავის პოზიციას და ხშირათ კიდეც გაჰყავდა ის. მაგალითად, ლეგალობიდან არალეგალობაზე გადასვლის დროს, იმნაიშვილი დაჟინებით მოითხოვდა, ჩამოვიხსნათ „ვივესკები" და „იატაკ ქვეშ" ვიმუშაოთო. ჩვენ ვეუბნებოდით:—„კაცო, არავინ გვდევნის და რა საჭიროა არალეგალური მუშაობათქო".

თავის მოხსენებაში მუხრან ხოჯოლავა ხშირათ ამბობდა: პარიტეტულ კომიტეტს უნდა აჯანება მოაწყოსო. აი აგერ კიდევ გემები მოდიან და საცაა ჯარებიც მოგვეშველებაო. მე, რასაკვირველია, არაფერი ეს არ მჯეროდა.

მართალია, ცენტრალური კომიტეტის წევრი ვიყავი, მაგრამ, ვინაიდან უფრო გაბედულათ ვიცავდი კომუნისტებთან კონტაქტის დაჭერის საჭიროებას, მე უნდობლათ მიყურებდენ. შეიკრიბებოდენ კირილე, გრიშა და მუხრან ხოჯოლავა და ისინი სწყვეტდენ საკითხებს. მეორე კონფერენციის შემდეგ კი, მე სრულებით ჩამომიშორეს, მაგრამ მე ცოტათი მაინც მაფასებდენ და ეს იმიტომ, რომ მუშებთან მქონდა კავშირი, და მაინც მიწვევდენ ხოლმე კრებებზე. მე კი ხან დავდიოდი და ხან არა. გული აღარ მქონდა მუშაობისათვის და ვცდილობდი ამგვარათ ცეკას ჩამოვშორებოდი და ამ ხნიდან თითქმის აღარაფერი მქონებია მათთან საქმე.

საღამოს სხდომა.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა

აკაკი შონგირაძე.

მსახურობს ინვალიდთა არტელში, ბორჯომში. უპარტიო, მოწმე ამბობს: 1923 წელს ჩემთან ერთმა ჩემმა კარგ ნაცნობმა პირმა, სახელდობ დგებუაძემ მოუხშირა სიარულს. დგებუაძეს ჩემთან სულ ერთსა და იმავე საგანზე ჰქონდა ლაპარაკი. მეუბნებოდა: შენ ქართველი კაცი ხარ, საქართველო ეხლა დამონავებულია და შენ უნდა მიიღო მონაწილეობა მის განთავისუფლებაშიო. მე პირველ ხანს შორს დავიკავე თავი, მაგრამ მისმა ლაპარაკმა თანდათან ჩამითრია. შევცდი და მივეცი დაპირება, რომ ხელს შეუწყობდი ამ საქმეს. ამის შემდეგ მან გამანდო შენ მილიციაში ნამსახურევი კაცი ხარ და ამიტომ ხელი უნდა შეგვიწყო ფულის მოტაცებაში. ფული პარტიას სჭირდებაო. მომცეს პირველათ ასეთი წინადადება: არტელში თავს იყრის კაზინოდან შემოსული ფული; ამ ფულის მოტაცება უნდა მოგვიწყოო. მე ამაზე უარი განვაცხადე. ამის შემდეგ მეორე წინადადება მისცეს: კერძო ბინებზე ქალაქის სხვადასხვა ალაგას არის ბანქოს თამაში, ერთ რომელიმე ასეთ ბინას უნდა დავეცეთ და ფული წამოვიღოთო. ამ წინადადებაზე მე დავთანხმდი. კიდეც ვუჩვენე ერთი ასეთი ბინა ვერაზე, ოლღას ქუჩაზე, მაგრამ არც ეს საქმე მოეწყო. ამ საქმეში ჩემთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო გაბუნიას, ხოფერიას და გაბესკირიას. აი ასეთი საშუალებით უნდოდა პარიტეტულ კომიტეტს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა". აქ განმარტება ზედმეტია. თვით ფაქტი ჩინებულათ ახასიათებს პარიტეტულ მოღვაწეებს, მათ მოღვაწეობას.

დავით ურუშაძე

მილიციის ყოფილი თანამშრომელია. პარიტეტის მოციქულებსა და რწმუნებულებს ისიც უნდოდათ თურმე გამოეყენებიათ საყაჩაღოთ. მენშევიკებს ერთ დროს გვარიანი მოზრდილი ორგანიზაცია ჰქონდათ მოწყობილი მილიციაში. ამ ორგანიზაციაში მოწმის სიტყვით შედიოდა არა ნაკლებ 65 კაცისა. ამ ორგანიზაციაში, სხვათა შორის, მუშაობდენ კალანდაძე და ნოე ცინცაძე. აქაც ცეკას სასარგებლოთ უნდა მოეხერხებიათ სადმე ფულების გატაცება. თუ ვინიცობაა, ფულის წაღებას მოვახერხებდით, ორი წილი ჩვენი—მონაწილეების უნდა ყოფილიყო, მესამედი კი პარტიის სასარგებლოთ უნდა წასულიყო. გვითხრეს, რომ რკინისგზით უნდა წაღებულიყო ნავთის ფულები. მოვემზადეთ თავდასასხმამად. ეს საქმე ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ უფრო პატარა საქმე მაინც მოგვეწყო. მოგვივიდა ცნობა ვინმე კოჩიევის შესახებ, გვითხრეს მდიდარი კაცია და ბევრი ფული აქვსო. გამოირკვა, რომ კოჩიევი, რომელიც მე IV-ე რაიონში ბინადრობდა, ბინა ჰქონდა სწორეთ მილიციის სამმართველოს ახლოს და ამის გამო ჩვენ შეუძლებლათ ვსცანით ამ ბინაზე თავდასხმა. ჩემთან ერთად ამ საქმეზე მუშაობდენ ჭეიშვილი, პაპავა, მგალობლიშვილი, კალანდაძე, რომელიც ჩვენთან მოდიოდა და ფარულ კრებებს მართავდა, გვეუბნებოდა, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში და იმ აჯანყებაში, რომელსაც აწყობენ მენშევიკები სხვა პარტიებთან ერთადო. სხვათა შორის, ჩვენ დანაწილებული გვქონდა ადგილები და თანამდებობები, რომელიც უნდა დაეკავებია თვითეულ ჩვენთაგანს აჯანყების დროს და აჯანყების გამარჯვების შემდეგ.

[illegible] მოწმე, რომელიც აშკარათ და პირდაპირ აღიარებს, რომ პარიტეტული კომიტეტი ყაჩაღობით აპირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

კილასონია

(ყოფილი მენშევიკი)

ის ეხლაც თუ მენშევიკების პარტიის წევრი არ არის, ყოველ შემთხვევაში მენშევიკების მომხრეა. ის 1912 წელს შესულა პარტიაში. 1922 წლის დამლევს დაუპატიმრებიათ და გადაუსახლებიათ, შემდეგ, გადასახლებისაგან გაუთავისუფლებიათ, 1924 წლის დამლევიდან თბილისში სცხოვრობს. 1921 და 22 წელს ის ყოფილა თბილისის მაზრის მენშევიკური კომიტეტის თავმჯდომარე. ჩოლოყაშვილის გამოსვლების დროს კილასონია თბილისში ბრძანებულა და პარტიის დავალებით გამგზავრებულა ჩოლოყაშვილთან მოსალაპარაკებლად. რა ილაპარაკა მან ჩოლოყაშვილთან, ეს არავინ იცის თვითონ მოწმე კი ასეთ ჩვენებას იძლევა. მე ვურჩიე ჩოლოყაშვილს, რომ თავი დაენებებია გამოსვლებისათვის და გასცლოდა დუშეთის მაზრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა მიიღებს ზომებს და შესაძლებელია, რომ უდანაშაულო მოსახლეობა დაზარალდესო". ჩოლოყაშვილს კილასონია ახასიათებს, როგორც მონარქისტსა და მის ბრბოს სისხლის სამართლის დანაშაულებების ჩამდენს. მიუხედავათ ამისა ის—კილასონია—არჩევს ამ ყაჩაღთან და მონარქისტთან მოლაპარაკება აწარმოოს და არაფერი არ გაუმხილოს ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა კარგათ იცის ჩოლოყაშვილის ბინადრობა.

ამრიგათ, აშკარათ სჩანს, რომ მენშევიკურ პარტიას თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის პირით თავიდანვე უწარმოებია მოლაპარაკება ჩოლოყაშვილთან. თუმცა ამავე დროს უშვებდა ფურცლებს და ამ ფურცლებში თითქოს კიდეც უარყოფდა ამ ბანდიტთან კავშირს და უარყოფითათ იხსენიებდა ჩოლოყაშვილის გამოსვლას.

ნოე ცინცაძე

ესეც ერთი იმათგანია, რომლებსაც მენშევიკები მიათრევდენ პარტიაში იმიტომ, რომ შემდეგში გამოეყენებიათ სადმე საყაჩაღოთ და თავდასხმისათვის. ცინცაძე რკინისგზის „ოხრანაში" მუშაობდა და მენშევიკების მოციქულებმა სწორეთ აქ გაიჩინეს ბუდე. მოაწყვეს პარტიული უჯრედები და გააჩაღეს... ყაჩაღური მუშაობისათვის მზადება. აქვე თავი მოუყარეს სოფლათ მოხეტიალე ბრბოებიდან ჩამოცილებულ ყაჩაღებს. უმთავრესათ აქ მუშაობდა ძაძამია (ბრალდებული ამ საქმის თაობაზე). „მე ვატყობდი, რომ ამ ხალხთან კავშირის დაჭერით მე თანდათანობით ძირს ვეშვებოდი და რაღაც წუმპეში ვეფლობოდი, ამიტომ ჩაუფიქრდი ჩემს მდგომარეობას და გავსწყვიტე მათთან ყოველივე დამოკიდებულებაო", აცხადებს ცინცაძე, ბრალდებული ძაძამია ეკითხება მოწმეს, იცნობს თუ არა ის მას, და თუ იცნობს, როგორი იყო მათ შორის კავშირი, რაზე ლაპარაკობდენ ხოლმე და სხვა.

მოწმე აჩვენებს, რომ ის კარგათ იცნობს ძაძამიას.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 163.

ნასაკირალი*)

(1905 წლის ეპოპეიდან)

⁂

ერთ თვეს აცივა
მაჩანჩალაძეს,
თუმც არა სტკივა,
სახლში ტყვილად წევს,
და იჭვრიტება
სახლიდგან ფრთხილად...
სოფლად კი სდგება
მხნედ, ფრთა-გაშლილად
საერთო რწმენა,
გამარჯვებისა!..
არის მოსმენა
ბრძოლის ხმებისა,
არის კრებები
ქალის და კაცის,
აქ თვით ბავშვებიც
მისვლას არ გაცლის,
რომ ორატორებს
დაუგდოთ ყური.
დღეს სოფლურს ჭორებს
პირს მოსცვეს მური
და მისცეს სრულად
ის დავიწყებას;
არ უმზერს მტრულად
დღეს წყება-წყებას
და მეზობლებში
მოისპო დავა.
ვინც წარსულ წლებში
რამ დააშავა,
დღეს ყველა იმის
არის დათმობა
და სიმთან-სიმის
არის თანხმობა
გლეხთა ყოფაში
დამკვიდრებული,
ერთ დიდ ძმობაში
განმტკიცებული
ტრფობა ციალა
წითელი დროშის...
არ არის ძალა,
რაც იმას მოშლის!..
ეს კი შლის წელში
მაჩანჩალაძეს!
რა რჩება ხელში?
რა აქვს იმას დღეს?
რაღაც ოციოდ
მიწა აქვს, ქცევა,
მაგრამ ეს იოტ
ფასს არ იძლევა,
და დაჩვეული
ქრთამებს და ღალას,
მისი სხეული
აღარ გრძნობს ძალას,
ისე მისუსტდა
და მიიბნიდა,
ხიდიც ჩაუტყდა
შრომის უბნიდან:
არავინ მისას
ფეხსაც არა სდგამს,
ვითომც ამ მისვლას
ცის, ანძრევს სკამს,
მაგრამ ჭიშკარი
აღარ ჭრიალებს
და შიშის ზარი
ირგვლივ ტრიალებს...
ცოლიც მასავით
ზის მიკრუნჩხული,
ორ კატასავით
სახლის კუნჭული
მათ იქით-აქეთ
დაუჭერიათ,
მოდით და ნახეთ:
თქვენი მტერია!..

⁂

„ხარბინი და
მანჯურია...
რაღათ გვინდა?
რა რჯულია
ეს მთავრობა,
ასე შტერი?
გარეთ მტრობა!
შიგაც მტერი
არ ეწყობა
არაფერი...
რომ დაჰკარგა
პორტარტური,
აღარ ვარგა,
ვსცხოთ პანღური!..
ცუსიმა და
სახალინი,
წახდა მადა!
წახდა ლხინი!..
იქნება და
რა იქნება?
არამზადა
დაიხრება:
ძირს ნიკოლოზ,
მაღლა მუშა,
რომ ველით დროს,
არა უშავს,
ეს იქნება,
უეჭველად!
ხალხის ნება
შესცვლის ხელად:
ძველ სამართალს,
ძველ სამჯავროს,
ძირს ის!.. და ხალხს
გაუმარჯოს!..

⁂

ამ მასხრად გდებით
და ამ სიმღერით
ახალის გზებით,
წინსვლით ძლიერით
შორს წარემართა
ხოვრება [illegible]
[illegible]
რისხვათ და ხაფად
შენარცხვენ მტერზე
მებრძოლთა ხელი!...
სდგას ფეხის ცერზე
მთავრობაც, ძველი,
და შემოტევას
ხალხისას სტუქსავს,
გრძნობს სულის ლევას
თუმც და ძლივს სუნთქავს...
წესია, მოკვდეს
უნდა ბებერი!
და ზაფხულს მოსდევს,
ჰა, ოქტომბერი!
(ცხრაას ხუთი წლის,
არა წითელი!)
ზეიმს განიცდის
ქვეყანა, მთელი!...
მაშინ ეს დიდი
იყო მიღწევა!
მთავრობა ფლიდი
აღთქმას იძლევა,
რომ ხალხს ის უთმობს
ძალა-უფლებას,
რომ ხალხში ის სცნობს
ნიჭს და შეძლებას,
და სახელმწიფოს
ზრუნვა-მართვაში
დე, ხმაც მიიღოს,
ჩაუდგეს თავში!...

⁂

ეს იყო ხრიკი
მთავრობის, რადგან
სხვა კუდის რიკი
მას არ გააჩნდა!
ისიც ირეკდა
ამ ხერხით ბუზებს,
წელში კი სდრეკდა
კვლავ იალბუზებს!..
და ეს დამტკიცდა
ადრე და მალე,
როცა განმტკიცდა
მთავრობის ძალა!
როცა მუშათა
წამოდგა რაზმი,
ბრძოლის გუშაგთა
გაირკვა ხაზი,
მაშინ ყოველი
ჯურის ცხოველი
და დროს მშოველი
სისხლის მწოველი
აშკარად ჩადგა
მთავრობის რიგში!
ცუდი დრო დადგა:
სიკვდილის შიში
გაუდგა წელში
ბევრს სასტიკ ქარად,
და შერჩა ხელში
ხმალით და ფარად
მთავრობის ზურგის
უკან დადგომა,
და ფრონტზე ურჩის
გატიტვლდა შრომა!..
რაღა გზა იყო?
ომში აშკარად
ძალა გაიყო
სხვა და სხვა გვარად:
აქეთ მხარეზედ
დადგენ მუშები,
მოსპარეზედ
გახდენ ქუჩები!..
და აწყო სისხლმა
უსაზღვროთ დენა...
განცხრომის შვილმა
აქ ჰპოვა ლხენა!..
თუმცა ეს მისვლა
და ეს შეტევა
იყო ცის რისხვა
და მიწის ძლევა!..

⁂

ცხრა იანვარით
დაიწყო ტევა
და ტანჯვის ჯვარით
გზის იწყო კვლევა
თავისუფლების
აზრმა დიადმა,
და განახლების
მძლე განთიადმა
შორს გლეხობაშიც
შემოაშუქა!..
დადგა ქუჩაში
სოფლური შუკაც:
მებრძოლ მუშებთან
სდგება გლეხობა!
ასე თანდათან
ნელ-ნელ ემხობა
რეჟიმი, ძველი,
აუტანელი,
და ბრძოლის ველი
გაუბანელი,
სჩანს, არ დარჩება
მებრძოლთა სისხლით,
და გამარჯვება
არ მოვა მისით!..
არს ქალაქებში
გაფიცვა ხშირი,
რომ აქ სოფლებშიც
სცემს მისი შტვირი!..
ესეც ქალაქებს
ეხმაურება,
საერთო საქმეს
ემსახურება!..

⁂

გურიის მთები
იქით და აქეთ,
როგორც მითები,
წვერ მოქათქათე,
თავს გადმოჰყურებს
სუფსის ხეობას,
თითქოს ისტუმრებს
რაღაც დღეობას
და, როგორც სეფა,
არის გაშლილი:
მხიარულება!
ლხინი, ფრთა-შლილი!..
ლხინად ტარდება
აქ ყველა შრომა,
თუმც, სჩანს, სხვა სდგება
წელს შემოდგომა:
გამძაფრებული
ბრძოლის ჟამია
და უცემს გული
სხვებრ ადამიანს!
ხალხი თანხმობით
გარემოცული,
ერთობის გრძნობით
არს გამსჭვალული,
და ეს გრძნობაა
ბრძოლის მოგება.
სოფლად ცნობაა,
რომ ჰა, მოხდება
ძალა-უფლების
აღებაც ხელში
და ყველა მტრების
მოდრეკა წელში!..
შესდგა სოფლებში
რაზმი, წითელი:
თოფებში, ხმლებში
ჩამსხდარა მთელი
ახალგაზრდობა;
და მსწრაფლ იწვრთნება,
ვისზეც დანდობა
კი შეიძლება!..
რაზმს ხელმძღვანელობს
ბულას ძე, გელა.
დიდ ხმით სარგებლობს,
მას უსმენს ყველა!..
და ასე ხალხის
ძალა-უფლება
ნელ-ნელ იჩარხვის,
ნელ-ნელ იქმნება..
ხალხს უნდა მთელად
შეიარაღდეს,
რომ ბრძოლის ველად
უკლებლივ დადგეს,
ვით ერთი კაცი,
მუშა-გლეხობა
და იყვეს მკაცრი
მტრისა დამხობა!
იარაღები
არ არის ამ თავი,
მაგრამ დაბები
და საპრისტავო,
ჩაფრების რაზმი
აქა-იქ სდგანან,
თუმც ახრჩობთ ბრაზი,
რომ ვერა სჩანან
და ხალხის რისხვის
მათ აკანკალებს:
ვით ადრე, მისვლის
ვერ გრძნობენ ძალებს,
და ამაგრებენ
ისევ შიგ პოსტებს:
მოიგერებენ
აქ ხალხის მოსვლებს,
რადგან თავდასხმას
დღე-დღე ელიან..:
როცა ვერ სძრავ ხმას
და ხარ, ძნელია
ასე ლოდინი
და ხანგრძლივ თნევა!
იქნებ ლოგინიც
იქ გაგეთხრება,
სადაც ხარ ეხლა
დარაჯათ მდგომი,
როს პირველ შეხლას
მოჰყვება ომი!..

⁂

ნერვიულობდა
ცენტრიც სამაზრო.
საფრთხეს რომ გძნობდა,
ამან დააზრო:
სიცოცხლე ჩაკვდა,
მას მოსწყდა ხალხი
და ასე წახდა
ჩაიცვა თალხი!
არც მოძრაობა,
აღარც ბაზარი!..
მაზრის თაობას
თუმც ჩემობს ჯარი,
მაგრამ ამ ჯარის
დიდი ნაწილი,
სანდოც არ არის,
არის „გახრწნილი"!
უფროსი მაზრის
სულ იგლეჯს წვერებს:
სხვადასხვა აზრის
მიმტან მიმსვლელებს
ღებულობს ღამით,
ჩუმათ და ფრთხილათ
და არის ამით
მთლად ძარღ-აშლილათ,
რომ საიმედო
არ ისმის რამე,
არს სამოქმედო
ბნელი, ვით ღამე!.
ერთს ეუბნება
ჯაშუში ყველა,—
თუ შეიძლება
შეიპყრან გელა!..
გელას შეპყრობა
რომ არის მარგი,
ამას მთავრობაც
კი ამჩნევს კარგათ,
მაგრამ ჯანდაბას
ეს არჩევანი!
ვსთქვათ, ვინ „შეაბას
კატას ეჟვანი"?!
ან სად შეასწრონ
თვითონ ამ „კატას"?!
ისეთი დროა,
რომ ამის მადას
სუყველას უკლავს
ძირში ის ფაქტი,
რომ ძნელი გახლავს
დღეს გასვლა ხალხში
რომე ასეთის
ავი განზრახვით,
თვით ჯოჯოხეთის
„დასტკბები" ნახვით!
რადგან დამდგარი
ერთ პირად ხალხი
არის მედგარი
და ქედს არ დახრის!..

⁂

ღამეა. „დაბას"
არტყია ბნელი
შენობებს, დაბალს,
საკმაოთ გრძელი
აქეთ და იქით
უჭირავს მწკრივი,
აქა-იქ ჭრაქის
მბჟუტავი სხივი
ძლივს იჭვრიტება
ჭუჭრუტანებში
და იფანტება
ღამის ქანებში...
საბოქაულო
და საპატიმრო,
ვით უცნაური
რაღაც სამკვიდრო,
დალაგებული
უფორმო გროვათ,
ჩაბნელებული,
სდგას რაღაც გლოვათ!
და თოფით ხელში
ზანტი დარაჯი
ასვია ბნელში
ძველი ფარაჯით!..
ის ჰფიქრობს „ოცზე"
და ჯამაგირზე.
ცხენის საზრდოზე
და უნაგირზე!..
მას შორეულიც
წინ უდგას სახლი...
ძილ მორეული
თავს აქნევს და ჰხრის...
და... ჩუ! ჭახ-ჭახი
გაისმა თოფის!
ეს ისე ახლო
სადარაჯოსი,
რომ თავდასხმაში
არ არის ეჭვი!
და იმავ წამში
დააკლდა ბეწვი
მას გადმოღებას
თოფის მხარიდგან,
რომ შეძახებას
მკვიდრ საფარიდგან
არ მოუშალა
იგი „კონდახში":
„ხელები მაღლა!
დაგვნებდი! დაგვრჩი!..
და იარაღი
გადმოალაგეთ,
თორემ ვით ძაღლი
გაგაჩანაგეთ!"..
ეს სიტყვა და ზედ
თოფების დახლა
გასჭრის დარაჯზე:
ის მიხვდა ახლა,
რომ უაზროა
აქ შებრძოლება.
და სანამ დროა,
დამორჩილება
სჯობია ისევ
განწირვას თავის,
რადგანაც მისევ
ძალთა სიმრავლის
თოფების ხმაზე
შეიქნა მცნობი,
და მყის მიწაზე
დააგდო თოფი...
„არ მომკლათ!"... ისმის
მისი ღრიალი,
თოფს არვინ ისვრის
და მხოლოდ თვალი,
რაც შეიძლება,
უჭირავთ ფრთხილად.
ერთი კვლავაც სდგება,
უყვავებს ტკბილად:
„თუ ჩაგვაბარებთ
იარაღს ნებით,
არ ჩაგამწარებთ
დღეს ხელის ხლებით
და მოგანიჭებთ
თავისუფლებას!
უთხარ მანდ ბიჭებს:
თუ ებრალებათ
მათ თვისი თავი
და ოჯახები,
დაგვნებდენ ზავით,
იარაღები:
თოფი და ხმალი,
სულ ჩაგვაბარონ,
თორემ ეს ძალით,
უნდა აგყაროთ"...
ამ მუსაიფში
იქით და აქეთ
ორიოდ თოფმაც
იფეთქა მჭახეთ,
მაგრამ არ აჰყვა
სხვა საპასუხოთ
და ბრძოლაც დაცხრა
ამ რიგათ უხმოთ...
რაზმიდგან მაშინ
სწრაფად, ვით ელვა,
მყის წამოდგა წინ
ამაყად ელა
და იწყო მითვლა
იარაღების...
დასრულდა მისვლა
„დაბის" აღების!..
სწორეთ იმ დაბის,
სად გელას მამა,
დღეს საგნათ ზღაპრის
რომ ჰყო დრო-ჟამმა,
ძმა-ფირალებით
გარემოცული,
ვით გამძარცველები
იყვნენ მოსული...
დღეს ეს დროებამ
სხვა რიგ შესცვალა,
გარემოებამ
სხვა შექმნა ძალა:
ძარცვა, მონობა,
მან მოსპო, ყველა,
და აღსდგა ძმობა!,
და გაჩნდა გელა...

(დასასრული იქნება)

ნ. ზომლეთელი

---

*) გაგრძელება, იხ. „კომუნისტი" № 158

პარტიული ცხოვრება

პარტუჯრედების მუშაობის ნაკლულევანების შესახებ

რომ ჯერ კიდევ საგრძნობლად მოისუსტებს პარტუჯრედების მუშაობა უპარტიოთა შორის და ზოგიერთ ალაგას, აქა-იქ ამ მიმართულებით არავითარი პრაქტიკული ნაბიჯებიც არ არის გადადგმული —ეს ყველასათვის ცხადია.

უდავოა ისიც, რომ ახლო მომავლისათვის ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამას უნდა მიაქციონ მეტად სერიოზული ყურადღება.

ერთი საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ და აღმოვფხვრათ ეს არანორმალური მოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ პარტუჯრედებმა ხშირ-ხშირად მოიწვიონ თავიანთი ღია სხდომები, სადაც უპარტიოთა მასსებს უნდა მიეცეს მასზედ დასწრების შესაძლებლობა. როდესაც უპარტიოები სისტემატიურად დაესწრებიან ჩვენს სხდომებს, ამით ისინი დაუახლოვდებიან პარტიას, დაუკავშირდებიან მის საერთო მუშაობას. მაგრამ ამ დასასრულ ამოცანის ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებლად საჭიროა ის, რომ უჯრედების ღია სხდომებზე ისმებოდეს ისეთი საჭირბოროტო საკითხები, მაგ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, კოოპერაცია, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტი, საბჭოების მნიშვნელობა და მათი მუშაობა და სხვა,—რომლებიც მიიზიდავენ და დააინტერესებენ უპარტიო გლეხკაცობას.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლულევანებაც ჩვენი პარტიული უჯრედების მუშაობის დარგში.

საქმე იმაშია, რომ უჯრედების წევრთა შორის არ არსებობს თანაბარი მუშაობის განაწილება. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ უჯრედის რამოდენიმე ამხანაგის განსაზღვრული რიცხვი უზომოთ დატვირთულია პარტმუშაობით. მხოლოდ უჯრედების წევრთა დანარჩენი ნაწილი კი ასეთისაგან სრულიად განთავისუფლებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში შედარებით ნაკლებათ დატვირთულია.

ამასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

კიდევ ერთი ფაქტი: რომელსაც აუცილებლივ ხაზი უნდა გაუსვათ.

როგორც ვიცით, მასსიური მოვლენადაა გარდაქცეული ის, რომ ამა და ამ დანიშნულ საათზე სხდომას არ დავესწროთ. განსაზღვრულ დროს უთუოდ უნდა გადავაცილოთ და სხდომაზე მისვლა დავაგვიანოთ ხშირად რამოდენიმე საათითაც კი. და ეს იმ დროს, როდესაც თვითეული წუთი მეტად ძვირფასია, როდესაც თვითეული წუთი მიზანშეწონილად უნდა იქნეს გამოყენებული. საჭიროა ამ მხრივაც სათანადო ზომების მიღება, რომ თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა კომკავშირელმა შესძლოს დროს რაციონალურად გამოყენება.

ამრიგად, უპარტიოთა შორის მუშაობის გაცხოველება უჯრედების ღია სხდომების თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დაყენებით, პარტამხანაგებს შორის მუშაობის თანაბარი განაწილების მოწესრიგება სხდომებზე თავის დროზე დასწრება, დროის ეკონომია, დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლა—აი უმთავრესათ ის საკითხები, რომლებიც ამ უახლოეს პერიოდში უნდა იქნენ დადებითად გადაჭრილი.

ანი.

ქალთა შორის მუშაობა სოფლად

სოფლად პარტიული მუშაობის გაცხოველებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სოფლის გლეხქალების შორის მუშაობაზე. უკანასკნელი საბჭოთა არჩევნების დროს თითქმის ყოველგან ქალებსაც ირჩევდენ საბჭოს წევრებათ და ზოგან სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეთაც კი, რა ამოცანის წინაშე გვაყენებს ჩვენ ეს ფაქტი? საჭიროა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე სოფლის გლეხი-ქალების აქტივის, ისე როგორც გლეხკაცობის, პარტიის ირგვლივ შემოკრება, რაიც თავის მხრივ მთელი რიგ წინასწარ მუშაობას მოითხოვს.

სოფლის გლეხ-ქალების აქტივის სათანადო მომზადებისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავია დელეგატთა კრებები რომლებიც მუშაობენ გარკვეული პროგრამით.

გარდა იმისა, რომ დელეგატი ქალები მოვალენი არიან დაესწრონ სადელეგატო კრებებს, თვითეული მათგანი ნაწილდება პრაქტიკული მუშაობისათვის ადგილობრივად სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც ისინი ეწევიან ამა თუ იმ საზოგადოებრივ სამუშაოს როგორც კომისიის ან სექციის წევრები. მომავლისათვის ამ მიმართულებით საჭიროა კიდევ უფრო მეტი მუშაობის გამოცხოველება და რამდენად ფართოდ ჩავაბამთ ქალებს სოფლად საზოგადოებრივ სამუშაოებში, საშუალებას მივსცემთ მათაც მიიღონ მონაწილეობა საკითხების გარკვევაში, იმდენად ისინი დარწმუნდებიან საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაში, ყოველგვარ სხვა სისტემასთან, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ფეხქვეშ თელილი ქალის უფლებას უთანასწორებს მამაკაცისას.

აქ აღსანიშნავია ისიც, რომ სადელეგატო კრებებზე არჩეული უნდა იქნან არა მარტო სოფლის უღარიბესი ქალები, არამედ საშუალო შეძლების მქონენიც.

სოფლის გლეხი ქალები საკმაო სიმპატიით უცქერონ ჩვენს პარტიას. მხოლოდ საჭიროა ამ სიმპატიის განმტკიცება და გამაგრება, რასაც სხვათაშორის, სოფლის უჯრედის ღია სხდომებზე მათი დასწრებით ხელს შეუწყობთ.

სოფლადაც, ისე როგორც ყოველგან, მოსახლეობის ნახევარს ქალები წარმოადგენენ. ამიტომ სოფლის უჯრედის მოვალეობაა ხელი შეუწყოს საზოგადოების ამ ნაწილის მთელი რიგი სამუშაოებში ჩაბმას, რომ მით განამტკიცოს კავშირი გლეხ-ქალებისა და პარტიის შორის.

სოფლად გლეხკაცობის აქტივის პარტუჯრედის ირგვლივ თავის მოყრასთან ერთად უნდა გაძლიერდეს რიცხვი ჩვენი თანამგრძნობ ქალებსაც, რადგან, სანამ ქალთა საზოგადოება უფრო სალათ არ მოეკიდება ქვეყნის ბედიღბალს, სანამ შედარებით ის ისევ პოლიტიკურად ჩამორჩენილი იქნება,—მანამ ჩვენ ვერ შევსძლებთ კომუნისტური საზოგადოების განმტკიცებას.

ა. კ—ძე.

თვითგანვითარების საქმე და სოფლის პარტიული ამხანაგები

სოფლად მომუშავე პარტიული ამხანაგები რომ შედარებით ნაკლები მომზადებული არიან—ეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს. ამავე დროს ცხადია ისიც, რომ სოფლად შეუძლებელია პოლიტ-განათლების მუშაობის წარმოება ქალაქების მეთოდით (სკოლების, მარქსისტული წრეების, საბჭოთა პარტ. სკოლების და სხვ.), რადგან ხელმძღვანელ ამხანაგების რიცხვიც ერთობ მცირეა. მოძრავი სკოლებიც მხოლოდ ამხანაგების ნაწილს იტევს და უმრავლესობა მისით ვერ სარგებლობს.

ამასთანავე ერთად ცხოვრება ჩვენი ამხანაგებისაგან დღითი დღე უფრო და უფრო მეტის ცოდნას მოითხოვს, რადგან სოფლის ცხოვრება რთულდება და საჭიროა პარტიული ამხანაგები იცნობდენ მთელ რიგი საკითხებს ბიუჯეტის, კოოპერაციის, აგრონომიის და სხვათა შესახებ. აქ მარტო სახელის ცოდნა და საგანზე ზერელე წარმოდგენა ვერაფერს დაეხმარება აუცილებელია მისი შინაარსის გაცნობა და მეორეს მხრივ სოფლად მომუშავე ამხანაგებმა უნდა შესძლონ საჭირო ნაბიჯების გადადგმა სოფლის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ადგილობრივი პირობების მიხედვით. ყოველივე ეს კი მოითხოვს სისტემატიურ მუშაობას, რაიც უმთავრესად თვითგანვითარების გზით უნდა მიდიოდეს.

ჩვენ ღარიბი ვართ არა მარტო ეკონომიურად, რომ ყოველგან, სადაც კი საჭიროა, საკმაო რაოდენობით გავხსნათ პარტიული სკოლები, არამედ უფრო მეტად ღარიბი ვართ მომზადებული ამხანაგებით, რომელთაც შეეძლოთ ამ სკოლების ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფელზე, სადაც მომზადებულ ამხანაგთა რიცხვი ძლიერ მცირეა. სწორედ ამიტომ თვითგანვითარება ერთად ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია, თუ კი ის შესაფერისად იქნება მოწყობილი, ცოდნის მიღებით უდიდესი დახმარება გაუწიოს მშრომელ მოსახლეობას.

ცნობილია, რომ მარტო ლექციების მოსმენით არავინ არსად არ გამხდარა დიდი მომზადებული და რომელიმე დარგში სპეციალისტი. მართალია საჭიროა წიგნის მომარჯვებაც, მაგრამ ისე, რომ ეს ცოდნა გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ მუშაობაში.

თვით განვითარების მუშაობის შინაარსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ვიწრო ჯგუფში გაერთიანებული ამხანაგები ერთ კვირაში დაახლოვებით 3-ჯერ იკრიბებიან და საერთო ძალღონით არკვევენ ერთ რომელიმე საკითხს ამა თუ იმ წიგნის მიხედვით, შემდეგ კი თვითეული [illegible] დაწვრილებით ამუშავებს ასავე საკითხს, რისთვისაც სარგებლობს სხვა დამხმარე წიგნებითაც, თუ ასეთი მოეპოება—ჯგუფის მუშაობის ანგარიში ეგზავნება თვითგანვითარების ბიუროს, სადაც მომზადებული ამხანაგებია დანიშნული და ხელმძღვანელობას უწევენ სათანადო შენიშვნებითა და რჩევა-დარიგებით ასეთ ჯგუფებს.

დადებითი თვისებები კი თვითგანვითარების მუშაობის შემდეგია:

1. ხელმძღვანელ ამხანაგების ეკონომია, რადგან ერთ ამხანაგს შეუძლია 15—20 ჯგუფს უხელმძღვანელოს.
2. თვითგანვითარებას შეუძლია ეწიოს ყოველ ამხანაგმა და არ მოწყდეს თავის სამუშაოს.
3. ასეთი გზით მიღებული ცოდნა შინ სათანადო დამუშავების შემდეგ უფრო მტკიცეა.
4. ამხანაგები ეჩვევიან თავიანთი მოსაზრებების გამოთქმას და მისი მოხსენების სახით დამზადებას, რადგან ჯგუფში საკითხები წარდგენილი უნდა იქნას დამუშავებული, დაწერილი სახით.
5. რაც უმთავრესია, ამხანაგები ეჩვევიან წიგნით მიზანშეწონილ სარგებლობას.

ასე რომ თვითგანვითარების სისტემა ერთად-ერთი საშუალებაა ჩვენი სოფლის პარტიული ამხანაგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

აი ამ შემთხვევაში ჩვენი სოფლის პარტ-ამხანაგების მოვალეობას შეადგენს, რომ სერიოზულად მოჰკიდონ ხელი თვითგანვითარების საქმეს.

ა. ვარლამისძე.

ქაღალდის ქარხნის მოსაწყობად

ამჟამად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობს საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველთა ბიუროს მიერ გამოგზავნილი სპეციალისტთა კომისია. რომელმაც თბილისში ყოფნის დროს წინასწარ გამოარკვია ა.-კავკასიის ქაღალდის ბაზრის მოთხოვნილების რაოდენობა და ხასიათი. ამ გამოკვლევის მიხედვით კავკასიის ბაზარს ამ მოკლე ხანში ყოველწლიურად დასჭირდება ერთი მილიონი ფუთი კარტონი და ქაღალდი. კომისიამ ყველაზე მეტად მიზანშეწონილად სცნო საქართველოში შეერთებულ ტიპის—ე. ი. ისეთი ქარხნის აგება რომელიც დაამზადებს ცელიულოზასაც.

კომისია თბილისშივე გაეცნო აგრეთვე ს. მ. უ. ს. განკარგულებაში მყოფ მასალებს სატყეო აგარაკების მდებარეობისა და მათი ქაღალდის ქარხნის საჭიროებისთვის გამოყენების შესახებ. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ კომისია გაემგზავრა აბასთუმნის სატყეო აგარაკში. კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა აბასტუმნის ტყეების შემადგენლობა და ახლა [illegible] გზით ბალდათის გავლით ჩავა ქუთაისში. კომისიას თან ახლავს საქართველოს სატყეო ტრესტის დირექტორი.

ქუთაისში კომისია მიემგზავრება იმ მიზნით, რომ გამონახოს შესაფერი ადგილი ქაღალდის ქარხნის მოსაწყობად.

კომისიას საქმის ვითარებას გააცნობს ქუთაისში მყოფი საქ. სახ. მეურ. უმ. საბჭოს წარმომადგენელი, რომელიც კომისიას გაჰყვება ლეჩხუმსა და რაჭაში.

კომისიას განზრახული აქვს დაწვრილებით შეისწავლოს და გამოარკვიოს ლეჩხუმის და რაჭის სატყეო რაიონები.

ტყეების სიუხვით და სატივე მდინარეების სიუხვით განირჩევა რაჭის გზა, სადაც ბლომად მოიპოვებიან აგრეთვე ხეტყის დამზადების მცოდნე ხელოსნები.

მასწავლებელთა გადამზადება

ჩვენი რესპუბლიკის 19 პუნქტში იხსნება სოფლის მასწავლებელთა საზაფხულო გადასამზადებელი კურსები. წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია: სამეცნიერო პედაგოგიურ სექციაში დამუშავებულია პროგრამები და კურსების სასწავლო გეგმა და ჩატარებულია კონფერენცია კურსების ხელმძღვანელებისა. თვით კურსების გამგეებს მიეცათ: ფული საჭირო რაოდენობით, ბიბლიოთეკები, სასწავლო ნივთები და სხვ. 15 პუნქტში კურსები ეწყობა ქართულ ენაზე, ერთში—რუსულზე, ახალქალაქში სამეურნეოზე, სამხრეთ-ოსეთში, ოსურზე, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში—თურქულზე.

ოსური და თურქული სკოლის მასწავლებელთა სუსტი მომზადების გამო მათთვის ეწყობა სამ თვიანი კურსები, დანარჩენი კურსები გაგრძელდება თვენახევარს.

სახ. განათლების კომისარიატი.

ჩვენი სატყეო მრეწველობა

(საუბარი ინჟენერ ტუროვეცთან)

თბილისში ეწყობა ხის მშრალად გადასამუშავებელი საცდელი სადგური.—სადგურთან მოეწყობა სპეციალური ლაბორატორია

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ინჟ. ტუროვეცს, რომელსაც მინდობილი აქვს თბილისში ხის მშრალად გადამუშავების საცდელ სადგურის აგება და ითვლება ერთ-ერთ სპეციალისტად ხე-ტყის რაციონალურად გადამუშავების საქმეში.

— თამამად შეიძლება ითქვას,—სთქვა ინჟ. ტუროვეცმა,—რომ არამც თუ მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიაც არ მოიპოვება ტყეებით ასე მდიდარი ქვეყანა, როგორც საქართველო. აქაურ ტყეებში სამასი ჯიშის ხე იზრდება.

საზღვარ-გარეთ თვითეული ხე იძლევა რამდენიმე ძვირფას მასალას მექანიკური და ქიმიური გადამუშავების შემდეგ, ნახერხსაც კი აფასებენ და იყენებენ იმ დროს, როდესაც ჩვენში იგი 10 და 100 ფუთობით იყრება ტყუილად. ამ „გამოუსადეგარ“ ნახერხიდან კი საზღვარ გარეთ სპირტს ხდიან.

სულ უბრალო მაგალითი ამის დასამტკიცებლათ: საქართველოში გაკეთებულ ტყემლის ტყლაპს, რომელსაც ჩვენში მხოლოდ საჭმელში ხმარობენ, გერმანიაში ამუშავებენ აყოლებენ სპეციალ ქილებში, აკრავენ წარწერებს **„საქართველოს ტყავი“** და ჰყიდიან საექიმო მიზნებით.

სხვა წარმოებათა შორის, რომელთაც მხოლოდ ეხლა ეყრება საფუძველი—უნდა ჩაითვილოს ხე-ტყის მშრალად გამოხდა.

ბორჯომში უკვე დაიწყო შენება წიფელის მშრალად გამოსახდელი ქარხნის. მაგრამ რათა მრეწველობა მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ საჭიროა წინასწარი ცდების წარმოება.

სწორედ ამ მოსაზრებით ეწყობა თბილისში ხე-ტყის მშრალად გადამუშავების საცდელი სადგური. ეს სადგური იქნება ნახევრად საქარხნო ხასიათისა და იგი ჯერ-ჯერობით გადაამუშავებს, მხოლოდ წიფელს, როგორც ყველაზე უფრო მდიდარ ტყის ჯიშს თავის შემადგენლობით. მისი გადამუშავებიდან მივიღებთ პირველად ნახევარ პროდუქტებს, როგორიც არის: ხის ფხვნილი (ძმარ-მჟავა კალციუმი) ძმარ-მჟავა ანუ ჩვეულებრივი ძმარი, ხის სპირტს, მძიმე და მსუბუქ ზეთებს, ფისს და რაც უმთავრესია კრიაზოტის ზეთს, რომლისაგანაც კეთდება კრიაზოტი და გროეკოლი საუკეთესო საშუალება ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც ძვირად ფასობს და შემოდის უცხოეთიდან.

საცდელი სადგური აწარმოებს გამოკვლევას ხის მშრალად გადამუშავების წარმოებისას საქართველოში და შეისწავლის სატყეო რაიონებს და კერძოთ წიფლის წარმოებას.

— თქვენ მეკითხებით, რა მდგომარეობაშია სადგურის ტეხნიკურად მოწყობის საკითხი?—უნდა გითხრათ, რომ ცუდათ არ მოგვეპოვება მანქანებისა და საჭირო იარაღებისათვის მასალა და გვიხდება ძველი, გამოუსადეგარი მასალებით სარგებლობა. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ევროპიდან გამოვიწეროთ მანქანები, მაგრამ ევროპის კაპიტალისტების ხარბი ბუნება არ მოგვცემს საშუალებას, რომ მისი ტეხნიკური გაუმჯობესებანი გამოვიყენოთ და ის საქმე, რომელზეც ისინი მილიონებს იგებენ, ხელიდან გამოვსტაცოთ, მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება საშუალება საბჭოთა კავშირში მოვსძებნოთ ყოველივე რაც საჭიროა.

ხის მშრალად გადამუშავების მრეწველობის მოწყობა დიდ გავლენას მოახდენს სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაზე, რადგან მოთხოვნილება მიღებულ პროდუქტებზე დიდი იქნება.

დასამუშავებელ მასალის შორს ძებნა არ დაგვჭირდება, რადგან მას დააკმაყოფილებს თბილისის ხე-ტყის სახერხ ქარხნებში გადანაჭერი უვარგისი ნაწილები და ნახერხი.

ამ სამუშაოებს სადგური აწარმოებს პირველ რიგში, ხოლო მორიგ ამოცანად ითვლება კანიფოლისა და სკიპიდარის გამომუშავება კვარისაგან (ხმელი ნაძვის გული)—ქიმიური დაშლის საშუალებით.

ამ წარმოების განვითარებასთან ერთად სოფლად მოეწყობა ასეთივე საქმე შინა-მრეწველობის წესით და იმ გამანადგურებელ ექსპლოატაციას ჩვენი ტყეებისას, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი—ბოლო მოეღება. მარტო თბილისი აუარებელ ნახშირს ხარჯავს, რისთვისაც დიდ-ძალი ტყე ილუპება, რადგან ეხლანდელის წესით ნახშირის დაწვის დროს ხის მხოლოდ 18 პროცენტს იყენებენ, დანარჩენი 82 პროცენტი კი ტყუილა იკარგება.

სადგურთან გახსნილ ლაბორატორიას ექნება სამეცნიერო მნიშვნელობაც, რადგან ჩვენი სტუდენტობა იმუშავებს იქ პრაქტიკულად.

ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე, [illegible]

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კომუნალური . . (წითელი თეატრი)

დღის წესრიგი

1) მოხსენება აბანოების შესახებ.
2) „ სასაკლაოს შესახებ.
3) „ უმუშევრობის და მასთან ბრძოლის შესახებ.
4) „ საზოგადო სამუშაოებზე.
5) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . (აღმასკ შენ. ოთახი № 17)

დღის წესრიგი

1) საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საფინანსო თათბირის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

3) ჯანმრთელობის . (აღმასკ. შენ. ოთახი № 57)

დღის წესრიგი

1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ. დღიურის ჩატარების ანგარიში თბილისში.
3) მიმდინარე საკითხები.

4. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის . . (აღმასკ. შენ. ოთახი № 66)

დღის წესრიგი

1) მოხსენება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის შედგენილ 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ,
2) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ნ. 1506 2—2

თბილისის ტრამვაის მუშაობა

1916 წლიდან დაწყებული ძრავიან და მისაბმელ ვაგონების რიცხვმა იწყო შემცირება. ასე, მაგალითად, თუ 1916 წლის იანვარში თბილისში მუშაობდა 93 ძრავიანი და 9 მისაბმელი ვაგონი, 1920 წელში უკვე ეს რაოდენობა შემცირდა 44 ძრავიან და 28 მისაბმელ ვაგონამდი.

1916 წლის დეკემბერში იყო 81 ძრავიანი და 27 მისაბმელი ვაგონი, 1920 წლის იმავე თვეში კი 30 ძრავიანი და 17 მისაბმელი ვაგონი.

ამ ციფრებიდან სჩანს, თუ როგორ ქვეითდებოდა და ნადგურდებოდა ტრამვაის მოძრავი შემადგენლობა და საქმე იქამდის მივიდა, რომ 1921 წლის იანვარ-თებერვალში თითქმის სულ შეჩერდა ტრამვაის მოძრაობა და ხაზზე სამუშაოდ გამოსაშვები რონოდების რიცხვი შესდგებოდა 8 ძრავიანი და 6 მისაბმელი რონოდისაგან.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იწყება თბილისის ტრამვაის თანდათანობითი აღორძინება. თუ 1921 წლის იანვარში მუშაობდა 8 ძრავიანი და 4 მისაბმელი რონოდა, 1925 წლის იანვარში ჩვენ ვხედავთ უკვე 65 ძრავიან და 22 მისაბმელ რონოდას, იმავე წლის ივნისში კი რონოდების რიცხვი ავიდა 79 და 28 მისაბმელ რონოდამდე.

გარდა რონოდების რიცხვის საგრძნობლად გადიდებისა, მიმდინარე საანგარიშო წლის 9 თვის განმავლობაში საგრძნობლად შეკეთდა, ნაწილობრივ გაფართოვდა სახელოსნოს საწყობების შენობები; დაკეთებულია 20 ახალი რონოდა, შეძენილია 100.000 ფუთი რონები ძველი ლიანდაგის გასაახლებლად; შეძენილია 500 ცალი ორტახები რონოდების თვლებისათვის და კიდევ მრავალი სხვა საჭირო საგნები და ნივთები.

ამას გარდა დაგებულ იქნა სათადარიგო ლიანდაგები სახელოსნოს ირგვლივ; მოიშალა ზედმეტი ასაქცევი ჯვარედინები, აღდგენილ იქნა რონოდების მოძრაობა—მიმოსვლა ქალაქის განაპირა ქუჩებში; გაშენებული იქნა ფუნიკულიორის ქვემო და ზემო სადგურებთან ბაღები, საჯდომების დადგმით და განათების მოწყობით; დაიწყო მუშაობა ელექტრო-განათების მოსაწყობად ყველა იმ ქუჩებზე, სადაც დაგებულია ტრამვაის ლიანდაგები და სხვ.

თბილისის კომუნალური ტრამვაის შემოსავალი 1924 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წლის 30 ივნისამდე უდრის 1.684.315 მანეთს, გასავალი კი ამავე ხნის განმავლობაში 1 645.481 მანეთს.

ამჟამათ ტრამვაიზე მუშაობს 1381 მუშა-მოსამსახურე. 9 თვის განმავლობაში ტრამვაის რონოდებით გადაყვანილია 26.699.826 მგზავრი.

9 თვის განმავლობაში ტრამვაის ელექტრო-სადგურმა გამოიმუშავა 2.754.067 კილოუატ საათი. აქედან 48.972 კილო-საათი დაიხარჯა ქალაქის ქუჩების განათებაზე. ამას გარდა ტრამვაი კირწყლავს იმ ქუჩების ნაწილს, რომელზედაც მიმოდის რონოდები, რაც უდრის 24.358 ოთხკუთხ საჟენს.

ტრამვაის მომავალ საანგარიშო წლებში დასახული აქვს მიზნათ ლიანდაგის გაყვანა: ვაკეზე, საბურთალოზე, დიდუბეში—გერმანელთა კოლონიამდე, ლენინის რაიონიდან (ნაძალადევი) ღრმა ღელემდე, ხათლულის რაიონში ძველ სასაფლაომდე, თავისუფლების მოედნიდან ახალი ქუჩით აბანოებამდე.

ამას გარდა, დასახულია მიზნათ ყოველწლიურათ 5 წლის განმავლობაში 120 ახალი რონოდის 300.000 ფუთი რონების, 500 ფუთი მიწის ქვეშა ჯირგინების, 1.000 ფუთი პირველი ხარისხის სპილენძის მავთულის (საჰაერო ქსელისათვის) შეძენა და ძველებული რონოდების განახლება.

გზა და გზა

ზემო ქართლი

I

ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ სამშობლო მხარეში გავლა ახლო ხვდება გულს, აღიტინებს ჩვენს ცნობის-მოყვარეობას.

ხაშურიდან მოვდივარ გომისაკენ. მატარებელს კიდევ უნდა ნახევარ საათი ლოდინი. ფეხით კი რომ ვიარო—ორ საათს მოვუნდები.

მე ვარჩევ ფეხით სიარულს (ნეტავ მთელი დედამიწის გადაქცევაც შემეძლოს ფეხით, მაშინ ავტომობილს და ჰაეროპლანს მხოლოდ კულტურულ გართობისთვის თუ გავიხსენებდი).

კვირა დღე არის. ხაშურში დიდი ბაზრობაა.

მოჰყავთ გასასყიდათ ქათამი, ბატი, ინდოური. ნახევრათ ჩაჩლუტულ ხურჯინებში კი ალბათ რამდენიმე კვერეული ყველი თუ უძევთ.

კარგათ ვიცი, ყველაფერი ეს სრულიადაც არ არის მოჭარბებული გლეხის ოჯახისთვის, მაგრამ რას იზამს.

გზათ მომავალი ნახევარი გლეხობა—პირადათ ნაცნობები არიან. სალამი და მოკითხვა ისევ გააცოცხლებს ჩემ წინ ყველას ნათესაობას, მეზობლობას, მისვლა-მოსვლას.

სხვებიც შორაული ნაცნობები არიან. და ძველებურ-ჩვენებურ გამარჯობა-გავიმარჯოთი რომ გამცილდებიან—ჩემ ზურგს უკან ჩემ გასაგონათ ერთმანეთს ეტყვიან:

— ეს ფლან და ფლან კაცის „ბიჭიაო“.

⁂

მე თუ მატარებელს აღარ დავუცადე, განა მართლა იმიტომ, რომ ფეხები მექავებოდეს. არა! მინდა ყველაფერს დავუკვირდე, ყველაფერი ვნახო, რასაც წინედ ვიცნობდი, და შევითვალისწინო ეხლანდელი მისი მდგომარეობა.

ხაშურს აქეთ პირველი სოფელი ოსიაურია. ამ სოფლის თავზე, ხაშურის მხარეს ძველ მებატონეებისაგან თუთის ტყე იყო გაშენებული აბრეშუმის ჭიის საშენებლად. ეხლა ეს ტყე ნახევარზე მეტი უკვე გაჩეხილია.

როგორ? ძველ მებატონეს ესმოდა მისი ფასი და ხალხს აღარ ესმის?

მან იმდენი უნარი გამოიჩინა, რომ ახლად გააშენა და ხალხს გაშენებულიც ვერ მოუხმარია?

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ—განა ხაშურის ქალთა საფეიქრო სკოლა მაინც ვერ გამოიყენებს მას? რატომ არ ზრუნავს ამაზე ადგილობრივი ხელისუფლება, სანამდისინ სულ არ გაუჩეხიათ იგი?

თუთის ტყის ჩამოცილებით იმყოფებოდა სამაგალითო მამული და სახლ-კარი ძველ თავად ლეონიძისა.

ძველებურ ორსართულიან სასახლის წინ ოთხი-ხუთი დღის შესანიშნავი ბაღი იყო გაშენებული—სულ საუკეთესო ნამყენებისა.

სასახლე გლეხებმა შეისყიდეს და დაანგრიეს მე მგონი უკვე მენშევიკების დროს. ბაღი კი ღვთისანაბარათ იყო მიტოვებული, ღობე შემოძარცული და უპატრონო.

როცა გამივლია იმის ახლო, ყოველთვის გული მიკვდებოდა, რომ ესე ოხრდებოდა ეს უკვდავება მამული. ძველი პატრონი ჩამოსცილდა. ახალი პატრონი კი—ხალხი—მას ყურს არა გდებულობს. ასე ოხრდება შრომის და ბუნების ნაყოფი და სიმდიდრე.

დღეს აღარც ეს ბაღია.

გლეხებს გაუჩეხიათ და მის ადგილას ბოსტნეულობას სთესვენ.

პირადათ რამდენიმე ადგილას ვიცი კულტურულ მეურნეობის ასე დაუზოგავათ და წინდაუხედავათ განადგურება.

გაზეთებში რამდენიც უნდა ვსწეროთ მეურნეობის აღდგენაზე—ეს ვერაფერს უშველის, თუ ადგილობრივ ხელისუფლებას არ დაევალა სასტიკი თვალყურის დევნება და მოვლა ყველაფერ იმ სიკეთისა და სიმდიდრისა, რასაც ძველ მეპატრონეებს ჩამოერთვათ და გადავიდა ხალხის მემკვიდრეობათ ამა თუ იმ სახით.

ზღაპარი კი არა სინამდვილე უნდა გითხრათ:

მე ბევრჯერ მინახავს ძველი შეპატრონე, რომელსაც გაუვლია თავის გაოხრებულ მამულის—ბაღ-ვენახის წინ და უთქვამს გულის ტკენით:

— კაცო, მე რახან წამართვეს, ხალხმა მაინც გამოიყენონ წესზე და ლაზათზე. ეს ხომ ქვეყნის ზარალია —მამულის ასეთი გაოხრება! მეც დამაკლეს და არც თვითონ ისარგებლეს!

მეც ბევრჯერ მიტკენია თავი ამგვარი უბრალო ჭეშმარიტების ლადით, მაგრამ თითქმის ყოველთვის უნაყოფოთ.

მე ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ სოფელში კეთილი სიტყვისა და დაჯერებასთან ერთად აუცილებელია ადმინისტრატიული მტკიცე ზომები, რომელიც წინდახედულად უნდა შეფარდებულ იყვეს ხალხის ნამდვილ საჭიროებასა და კეთილდღეობასთან.

ხალხი მრავალსახიერი არსებაა. დღევანდელ პრაქტიკულ ცხოვრებაში კი საჭიროა კარგი თაოსნობა საქმისა, მტკიცე და გადაწყვეტილი მოქმედება.

ხალხს ხშირად ესმის თავისი სიკეთე, მაგრამ ეშინიათ ერთმანეთის ჯიბრის, უპირობის, მიუყოლებლობის და ამიტომ დიდი არაფერი კეთდება.

სწორეთ ამის გამოისობით გაოხრდა და ბევრი საუკეთესო ჩამორთმეული მამულიც. ეს კი მთელი ქვეყნის დანაკლისია და უკან დახევა. ყველაფერი ეს უნდა მიეწეროს როგორც ადგილობრივ ხელისუფლების დაუდევრობას, ისე ცენტრის თავის დროზე მოუფიქრებლობას და ზომების მიუღებლობას.

⁂

შიგ ოსიაურშივე არის ძველათ განთქმული ბაღი—ნიკო ბიზირიშვილისა. ეხლა კი ითვლება მიწათმოქმედების კომისარიატზე.

რკინის გზით მოგზაურობის დროს ბევრს ექნება შემჩნეული ეს ბაღი მაღალ ქადრებით შემოვლებული—სოფლის ქვედა უბანში. ის სივრცით თხუთმეტ დღიურზე მეტია. ხილის უმეტესი ნაწილი დაძველებულია, დაბერებული. მათ შეცვლაზე კი მზრუნველობა ჯერ არა სჩანს. ამავე დროს კი ეს საუცხოო მამული შეიძლება სანერგეთ იყვეს გამოყენებული, საიდანაც მთელ ზემო ქართლს მიაწოდებენ ჯიშიან ნამყენებს.

მართალია სკრაში არსებობს სანერგე. მაგრამ ბოლო წლებში იქაც საკმაოთ შემცირეს ნერგის მოშენება. მერე და ის დაშორებით არის. ვინც იცის ქართლელი გლეხის ბუნება—ის 20-25 ვერსის მანძილზე იშვიათად დაიძვრება ისეთ „ზედმეტ სამკაულზე“, როგორც ნამყენები.

რასაკვირველია, ეს თვისება არ არის სახარბიელო, მაგრამ ანგარიში კი მაინც უნდა გაეწიოს. ჯიბრში ჩადგომა საქმეს ვერ გამოასწორებს.

⁂

ოსიაურის პირდაპირ, მტკვრის პირათ, მოსჩანს მუხნარის ტყე. წინეთ ეს უზარმაზარი და გაუვალი ტყე იყო—ათასგვარ გარეული ხილით გავსებული. ამავე დროს ეს არის მტკვრის შემბორკავი, რომ მარცხნივ აღარ გადმოლახოს მინდვრები და არ გააოხროს ერთი უნოყიერესი ადგილთაგანი მთელი ქართლისა.

ამ ტყესაც უკვე რამდენიმე წელიწადია შეუჩნდენ უგუნურათ და მუსრს ავლებენ. ეხლა ისეა შეთხელებული მისი ტევრი, რომ ერთი თავიდან მეორე თავში გაქცეულ კურდღელსაც კი დაინახავს კაცი.

თუმცა გადმომცეს, ამ ბოლო დროს უკვე შეჩერებულია მისი გაჩეხა, მაგრამ ვაი თუ ეს შემთხვევითი მოვლენაა და არა სახელმწიფოებრივი მოსაზრებით გადაწყვეტილი ზომა. წინეთაც გვინახავს ესეთი დროებით შეჩერება, მაგრამ შემდეგში კი ან თავმჯდომარე შეცვლილა, ან იგივე ყოფილა, მაგრამ გუნება შეუცვლია და მუსრის გავლებით ისევ შეჭრილა ცული ამ უკვდავებ ტყეში.

იმის ქვევით გომის თავზეც იყო უფრო უკეთესი და ულამაზესი ტყე, რომელიც თაიგულივით უნდა შენახულიყო მთელი ქართლის დასამშვენებლათ. გარდა მრავალ სიკეთისა—ეს ნამდვილი ცოცხალი მუზეუმი იყო ფლორისა და ფაუნისა. ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის შემდეგ ისე გაანადგურეს მთელი ეს ბუნებრივი ედემი, რომ ეხლა ნასახიც კი აღარა სჩანს. მხოლოთ ოსების სასაფლაოსთან დარჩენილა ნიშნათ პატარა ბუჩქი.

მაშინ მტკვარი როგორ გაჰბედავდა თავის კალაპოტიდან გადმოცილებას. ეს ტყე კაი ქვითკირის კედელივით იყო მის წინ აღმართული. შემდეგ კი მტკვარმა იმდენი იძალა, რომ ორი ვერსით დაშორდა მარჯვენა კალაპოტს და ყოველ წელიწადს მრავალ სახნავ მიწებს არღვევს მარცხენა მხრიდან. ზემო-აგარა და ქვემო-აგარა ნახევარზე მეტათ ლამის უკვე აჭყარა ძველი ბინიდან გომის ბოლოზეც ბევრი დაარბია და აჭყარა. მრავალი მამული გააოხრა ცოტა მოზრდილ წყალდიდობაზეც—რკინის გზამდის გადმოდის წყალი და ემუქრება დანგრევით.

ამ ადგილებში საჭიროა ისევ ახლად გაშენდეს ტყეები და გაკეთდენ დამბებიც. თუ ასე დარჩა, რკინის გზასაც დიდი საფრთხე მოელის და მრავალ საუკეთესო მამულსაც გააფუჭებს.

ამ ჯერობაზე ეტყობა ცოტა რკინის გზაც შეწუხებულია და ადგილობრივი ხელისუფლებაც. რკინის გზა სუსტ ადგილებში—ლიანდაგის გასწვრივ ქვის კედელს აკეთებს და ადგილობრივი ხელისუფლებაც ოთხ დამბას აკეთებს თავ მტკვარზე. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი საშუალებაა. აქ საჭიროა დიდი თაოსნობა და საფუძვლიანი ზომები, რაც შესაძლებელია მხოლოდ ცენტრის კარნახითა და დახმარებით.

აქვე მტკვრის პირზედ არის სახელმწიფო უდიდესი სპირტის სახდელი ქარხანა. თუ მტკვარს არ დაშალა თავისი ნავარდი, ამ ქარხანასაც თავის დროზე ანდერძი აეგება.

⁂

მოვსდევ გზას და ამ არე-მარის ცქერით თან მოვსდევ ჩემ ბავშვურ ხანასაც. ყველა ამ ადგილების ცქერით კარგი კინემატოგრაფის ლენტივით იშლება ჩემ წინ: სად მიმუშავია სათიბ-სამკალში, სად მიმწყემსავია, სად მითევზავია და სად მიხტუნავია დარდიმანდულათ.

რა შორს არის და რა ახლოა ყველაფერი ეს.

სხვათა შორის ასეთ ხეტიალის დროს ხალხში ხშირათ წააწყდები ბევრ საჭირბოროტო საკითხს, რომელსაც ოფიციალურ ანგარიშებში გამოვსტოვებთ ხოლმე, მაგრამ უეჭველათ კი მოითხოვს ახალ გადაწყვეტილებასა და მოგვარებას.

გზაზედ შემხვდა ერთი ხაშურელი მუშა მ-ძე. ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ ჩქარა გადავედით საქვეყნო საქმეების მსჯელობაზე, როგორც ესა სჩვევია ყველა ჩვენთაგანს.

როგორც იქნა გადავსწყვიტეთ ევროპის უდიდეს სახელმწიფოთა ბედიღბალი და ბოლოს ჩვენი შინაური საქმისთვისაც მოვიცალეთ.

— ყველა ყველა, მაგრამ ე მიწის საქმე ვერ იქნა, საბოლოვოთ, რო ვერ მოგვარდა!

— რაღაა მოსაგვარებელი? ხომ გადაწყდა და მორჩა?

— საიდან გადაწყდა? ჯერ კიდევ რამდენი კუზია გასასწორებელი!

— მაგალითად?

— აი, თუნდა ერთი საქმე: თითქმის ყველა მუშას სოფელშიაც გვიდგია ფეხი. აი ჯერამ წარსულ სიმშილობაზე ცოტა შეღავათი ხომ არ მოგვცა სოფელში თითო ტკაველა ადგილის ქონამ! ამას გარდა ბევრი ოჯახითა და ნათესაობით ისეა შეჭიდული სოფელთან, რომ მისი იქიდან მოშორება სულ ერთიანათ—ამოწყვეტას უდრის. თანაც იძახით, სოფელი და ქალაქი უნდა ერთმანეთთან დავაახლოვოთო. თუ ქალაქის მუშა სულ ერთიან ცალკე იქნება და გლეხი კიდევ ცალკე—როგორღა მოხდება ეს გაერთიანება?

— შენი აზრით, როგორ გინდა, რომ მოეწყოს ეგ საქმე?

— მე როგორც ერთი საწყალი მუშა, გამდიდრებას და გაკეთებას არსაიდან ველი, მაგრამ არც ის მინდა, რომ სულ ნიათგამოლეული ვიყო ცხოვრებაში. ორი დღიური მიწა მაქვს რაღაცა—სოფ, ღცისში. დღე ერთია და მუქარა ათასი უნდა წაგართვათო. ჩემო ძმაო, ჩემო თვალის სინათლე, რათა? რას მემართლები? როცა მივალ. ერთი ათჯერ მაინც უნდა გამაგონონ—შენი მიწები ამასა და ამას გადასცესო. ამნაირი შეჩენით ლამის ისე ამიცრუონ გული, რომ წესზე ველარ მოვუარო ამ მამულს. მარტო მე რომ ვიყვე—ჯანდაბას ჩემი თავი! მაგრამ ჩემნაირ გარემოებაში ვინ იცის რამდენია. რატომ არ მოევლება ამ საკითხსა საბოლოოთ?

აქ მუშამ ამოიღო რამოდენიმე თვის წინანდელი „კომუნისტი“ და მიჩვენა ამხ. ჟვანიას ფელეტონი „მიწის კანონის შესწორების შესახებ“.

— ამის მიხედულობით ჩემნაირ ხალხს სრულიათ არ უნდა წაერთვას მიწა. მეც მინდა გორში წავიდე და იქა ვკითხო სრული განმარტება, თორემა სოფლის ამორჩეულები ხან აქეთ უზამენ კანონსა თავსა და—ხან იქითა.

— ხომ შენ თვითონ ამუშავებ შენ მამულს.

— იმიტომ მეხალისება იმის ქონა, რომ მე თვითონ ვამუშავებ მარა! უღელში, რა საკვირველია, მე არ შევებმები, მაგრამ რაც კაცის საქმეა—არავისაც არ ჩამოვრჩები მუშაობაში.

— მაშ ვერ წაგართმევენ!

— კაცო, ე თქვენისთანა დალოცვილი ხალხი სულ ეგრე იძახიან, მაგრამ სოფელში რო სულ სხვანაირად ირჯებიან! ერთი კანონი უნდა იყვეს, რო იმას კაცმა ველარც აქეთ გადუხვიოს და ველარც იქითა. აბა რასა გავს: დღეს ასე ვიზამო, ხვალ—ისეო! ამ სოფელში ისე გადავსწყვეტამ, იმ სოფელში—ისეო. ამნაირად უფრო აიწეწება საქმე. ეგები ბოლოს თქვენც მიხვდეთ, მაგრამ მინამდისინ კი, ვაი თუ ბევრის საქმე წახდეს და მერე უკვე ძნელი გამოსასწორებელი იქნება.

— ეხლა უკვე დიდი ყურადღებაა მიქცეული, რომ გამოსწორდეს ყველა შეცდომები და შეივსოს სხვადასხვა ნაკლიც, რომელიც ახასიათებდა მიწის კანონს.

— თქვენ პირ შაქარი, თუ კი რამე სიკეთე დაიბადება ხალხის დასაკმაყოფილებელი!

მართლადაც ეს საკითხი საქართველოს პირობებში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს და მისი კაბინეტურად გადაჭრა, ცხოვრების სინამდვილის მხედველობაში მიუღებლად უფრო ცუდ შედეგს და ტკივილებს გამოიწვევს საერთო ჯამით, ვიდრე სიკეთეს.

აქ საფუძვლათ, რა საკვირველია, შრომა და გარჯილობა უნდა იყვეს დადებული. აბა, არაქნია ხალხისთვის რა საჭიროა მიწა? განა იმდენი მოიპოვება, რომ სალაზღანდარათ დაურიგდეთ, ვისაც მოეპრიანება?

როცა ამხ. კალინინი მოგზაურობდა დასავლეთ საქართველოს სოფლებში. ბევრ რამეზე იყო ხოლმე ლაპარაკი. მაგრამ მიწის შესახებ საყურადღებო არაფერი თქმულა ხალხისაგან. ამავე დროს კი ეს საკითხი ყველაზე მწვავე და ყველაზე საყურადღებოა. ამასთანავე, იმდენად რთული და სერიოზულია ეს საკითხი, რომ ხალხს საჯარო კრებებზე მისი გარჩევა არ შეუძლია. ამიტომ იბადებოდა შთაბეჭდილება—თითქოს ეს საუკეთესოდ არის გადაჭრილი და ხალხიც ამიტომ არ იღებს ხმასო.

აბა, მიუდექით რომელიმე დარბაისელ და სიტყვის გამომთქმელ გლეხს. ებაასეთ დილიდან საღამომდის, რომ დრო ჰქონდეს დალაგებისა და მოფიქრებისა და მაშინ ნახავთ, რამდენ საყურადღებო ნაკლს და შესწორების საჭიროებას გიჩვენებთ. სახელდახელოდ, ნასწრაფევად კი ასეთ ძნელ საქმეზე ჩვენ გლეხს არ ეხალისება სიტყვის ხარჯვა.

ფუხარა.

მუშათა ცხოვრება

ცეცხლის ლახტი

(მუშა-მგოსნის სიმღერა)

ხელთ ავიღე ცეცხლის ლახტი,
ბნელში გავკრავ, გავანათებ:
არ დავზოგავ ჩემს ძალ-ღონეს,
რისაც ვიტყვი გავამართლებ;
მნათობ სანთლად გარდვიქცევი,
გაუქარწყლებ მშრომლებს დარდებს,
გაიძვერა მოღალატეთ
ჩამოვახევ პირზე ფარდებს,
რომ სამყარომ დაინახოს
მათი სახე, საზიზღარი,
და მშრომელთა სამეფოში
ჩაიკეტოთ ყველგან კარი.
საიდუმლო ბოროტებას
ლეჩაქს ავხდი ჩემი მღერით,
სიმართლისა მღალადებლებს
მოვუწოდებ ჩანგის ჟღერით.
გავამხილებ ბოროტ სულებს,
ვინც არ ბრალობს მუშა-გლეხსა;
დღის ნათელს არ დავანახებთ
ჩვენ ნაშრომის გადამყრელსა.
ყური მიგდეთ მოხუც მგოსანს,
რას გიმღერით თეთრის წვერით;
ბოროტებას შევებრძოლოთ
გულისძგერით, ნამგლით, კვერით!

გ. შინატეხელი.

სრულიად საქართველოს შინამრეწველების კონფერენცია.

საქართველოს სხდასხვა ქალაქებში არიან შეკავშირებული შინამრეწველ ხელოსნები. მათ ცენტრად და საერთო ხელმძღვანელ ორგანიზაციად, ითვლება თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირი. ამ უკანასკნელად ძალიან გახშირდა მომართვები სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც აუცილებლად სთვლიან საქართველოს მასშტაბით შინამრეწველების კონფერენციის მოწვევას. ამის გამო თბილისის შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის გამგეობამ გამოჰყო კონფერენციის მომწვევი ხელმძღვანელი კომისია ამხ. მიხა ჩოდრიშვილის თავმჯდომარეობით და კომისიის პირველ სხდომაზე გამოტანილია დადგენილება, რომ იქნეს მოწვეული სრულიად საქ. შინამრეწველების კონფერენცია მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

გუგუნა.

საქმეს რად აჭიანურებთ?

(„დორპროფსოჟის" საყურადღებოდ).

ამ სამი კვირის წინად რკინის გზის ხე-ტყის დამამუშავებულმა განყოფილებამ 1922 წ.—1924 წლამდე გადანარჩენებული ფული გადასწყვიტა პრემიის სახით დარიგებოდა მუშა-მოსამსახურეებს, შეადგინეს სიები, რომელიც გზათა გამგეობის და მოლიტ-სამდივნოს მიერ დამტკიცებულ იქნა და გადაეცა „დორპროფსოჟს" დასადასტურებლად. მაგრამ ორ კვირაზე მეტია, რაც იგი სიების დადასტურებას აჭიანურებს.

მუშკორი ტაბაკინელი.

ჩვენც მუშები ვართ

(მუშკოოპის და ადგილობრივ მუშკომის საყურადღებოდ)

ზემო ავჭალის ელ-სადგურის („ზაჰესი"-ს) 1 უბანში არსებობს მუშკოოპის პურის დუქანი, საიდანაც მუშა მოსამსახურენი ვყიდულობთ პურს. არის ხოლმე შემთხვევა, რომ დილით მივდივართ და პური არ არის გამომცხვარი. პურის გამყიდავი გვეუბნება: დღეს პური გვიან იქნება, მაგრამ იოლათ წავალთ ვიდრე გამოცხვება თბილისიდან მოტანილი პურით, რომელიც ერთი საათის შემდეგ მოგვივა. მართლაც ერთი საათის შემდეგ მიაქვთ ან ცომი, ან და გამხმარი პური.

„ზაჰესი" გამსაღებელი პუნქტი კი არ არის, სადაც ყოველი ძველის და ნახორახლის გასაღება შეიძლებოდეს.

ცხვება აქ ახალი პურიც ადგილობრივად. ამ ახალ პურს აწყობენ გვერდით მოტანილი გამხმარი პურისა და არ ყიდიან რაღაცა დადგენილების ძალით, რომლის ძალით ჯერ ძველი უნდა გავყიდოთ და შემდეგ ახალიო.

ნეტავ, ვიცოდეთ ვისი დადგენილებაა ეს? იმედია გამოარკვევს ამ საქმეს, ვისაც ეს შეეხება და აგვაშორებს ხმელი პურის ჭამით ღრძილების ტკენას.

შანი—მანი.

რკინის ცოცხი ასეთ ფინინსპექტორს.

(ინსპექციის ადგილკომის საყურადღებოდ).

ჩვენ წარმოება-დაწესებულებებში, კიდევ არიან ძველი „ჩინოვნიკები", რომლებიც თავისი ჩინოვნიკური საქციელით თავს აბეზრებენ მუშა-მოსამსახურეებს, და ყოველი ფეხის გადადგმაზე ლანძღვა-გინებით მიმართავენ მათ. აი მაგალითიც:

მე-6 უბნის ფინინსპექტორად არის მოქ. კლდიაშვილი, მეტად ყბედი და ურჩი მოხელე. მოქ. კლდიაშვილი სამსახურში მობრძანდება 9—10 საათზე და მოსვლისას თავსნარსა სცემს მუშა-მოსამსახურეებს.

მე-6 უბნის ფინინსპექტორთან მსახურობს პროფკავშირის წევრი ამხ. ჩერქეზიშვილი საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე. ამხ. ჩერქეზიშვილს ეს ვაჟბატონი ჯიბრზედ და უდიერად ეპყრობა.

ადგილკომს ევალება თვალყური ადევნოს ასეთებს და დაუყოვნებლივ გააძევოს ისინი ჩვენი კავშირის რიგებიდან.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

ის ასე რატომ ხდება?

(ცეკავშირის და წარმოკავშირის საყურადღებოდ)

ცეკავშირმა და წარმოკავშირმა უკვე მოამზადა 155 ახალი კოოპერატორები. დაარსდა ბიუროც, რათა მომზადებული კოოპერატორები არ გაფანტულიყვნენ და ისინი ჩაებათ კოოპერატიულ საქმიანობაში. ბიუროს ჯერ არასფერი არ გაუკეთებია. ჩვენმა ხელმძღვანელებმა (ცეკავშირმა და წარმოკავშირმა), რომ გაუწიონ ბიუროს დახმარება კოოპერატორების გადასაგზავნათ, მის სამაგიეროთ თავისუფალ ადგილებზე გზავნიან კერძო პირებს და არა კოოპერატორებს.

ახალი კოოპერატორი.

მოეშველეთ ამ უპატრონო ბავშვებს

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენ ვკითხულობთ ვისია ის ტიტველი, შიშველი, მუდამ დღე მშიერ-მწყურვალი ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ათევენ ღამეს, ჯერ ცხელ ქვებზე და ნაშუაღამევს ცივზე? როგორი ახალთაობა უნდა მოგვიმზადდეს ქუჩაში მათხოვრობით მუდამდღე სისაწყლეში აღზრდილ ბავშვებით? თავის თვალით უნდა ნახოს ადამიანმა პლეხანოვის პროსპექტზე მუშკოოპის სასადილოს წინ ეს საშინელი სურათი ტომრების ნაჭრებში გახვეული ბავშვთა არმია. უფრო საშინელებაა ამ სურათის ნახვა ღამის 10 საათიდან პეტროგრადის და პლეხანოვის ქუჩის კუთხეში რომ არიან წაწკაპული ქუჩის პირას და ხან ერთი და ხან მეორე გამვლელს გაკრავს ხოლმე ფეხს.

ინჟ. ხ. კვაჭაძე

სანატ. „არაზინდოში"

პირველი რიგი ავადმყოფთა უკვე გავიდა სანატორიუმიდან. მათი რიცხვი უდრიდა 201 კაცს. სმა და ჭამა საუკეთესო გვქონდა ექიმების გულმოდგინეობაზე და ავადმყოფთათვის კარგად მოპყრობაზე ზედმეტია ლაპარაკი. მოწყალების დები მართლაც იჩენდნენ კაცთმოყვარეობას და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად.

ეკონომი და სუფრის მომწყობლები ავადმყოფთ თავს ევლებოდნენ. ავადმყოფნიც ყველა ზემოთ ხსენებულებისაგან მადლიერნი დაბრუნდნენ. მხოლოდ ამინდმა ვერ შეუწყო ხელი. 15 მკათათვიდან დაიწყო ახალი ავადმყოფების მოსვლა. საჭიროა ავადმყოფები დაემორჩილონ სანატორიუმის დისციპლინას და დაიცვან სანატორიუმის რეჟიმი, რომ ამაოდ არ დაიკარგოს მათზე გაწეული ხარჯები.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

სახლის პატრონიც ასეთი უნდა

(მთ. მილიციის საყურადღებოდ).

მოსკოვის ქუჩაზე სახლ. № 9-ს პატრონი მ. დავითაშვილი მეტად „პრაქტიკული" ადამიანი ბრძანდება. როცა ქირის მიღების დრო მოახლოვდება, ის ძალიან ენერგიულად „მუშაობს" მის აკრეფაში, თითქმის შვიდი-რვა წელი იქნება, რაც ის ამ სახლს ფლობს, მაგრამ ბინების შეკეთებისთვის (გარდა იმ ბინისა, რომელშიაც თვითონ სცხოვრობს), სრულებით თავი არ შეუწუხებია, მიუხედავად იმისა, რომ ბინების ქირას საერთოდ საკმაოდ იღებს.

არავითარ ყურადღებას არ აქცევს ეზოს. ფეხისადგილები სულ ყველგან საჭიროებენ რემონტს. ახლა, ამ საშინელ სიცხეებში პირდაპირ აუტანელი გარდა ამ ეზოში დგომა უსუფთაობის გამო. ამას დაერთო კიდევ ერთი უბედურება: ეს რამოდენიმე დღეა წყალი დაგვიკეტეს სახლის პატრონის დაუდევრობის გამო.

წყლის ფული გადახდილი გვაქვს, მაგრამ როგორც ირკვევა ჩვენი მიცემული ფული მაისის თვისა, სახლის პატრონს არ შეუტანია წყალსადენში. ჩვენ კი სამოცდა ათამდე სული მობინადრენი ვიტანჯებით უწყლოდ.

ამას გარდა სახლის პატრონი ნაგვის გადასაყრელ ფულს მდგმურებისგან იღებს. ფულებს ბლომად გვახდევინებს და ხარჯებს კი სრულებით არ ეწევა.

საჭიროა ეს ვაჟბატონი მოარჯულოთ.

მდგმური.

მუშათა ქრონიკა

(რკინის გზელთა ცხოვრებიდან)

— **სტუდენტები პრაქტიკაზე.** თბილისის პოლ. სატრანსპორტო საექსპლოატაციო ფაკულტეტის სტუდენტებმა მოახდინეს ტეხნიკური ვარჯიშობა სად. ნავთლუღში და თბილისში.

— **რკინის გზელთა ექსკურსია მოსკოვისაკენ.** ამ დღეებში მოსკოვისაკენ გავა თბილისის რკინის გზელების ექსკურსია, რომელიც გაეცნობა ადგილობრივ კულტ-განმანათლებელ მუშაობას.

— **სამკითხველო.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა მოაწყოს კონდუქტორთა აუდიტორიასთან წიგნთ-საცავ სამკითხველო.

— **მუშები დასასვენებლად.** თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომმა დასასვენებელ სახლებში გაგზავნა 60 მტვირთავი მუშა.

მეცხვარეობა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში მეცხვარეობას ცხვრების რაოდენობისა და აგრეთვე მატყლის ღირსების მიხედვით არ ქონია და არც ახლა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით 1917 წელს დასავლეთ საქართველოში სულ ითვლებოდა 79.800 ცხვარი, კერძოთ ქვემო იმერეთში 16.480 თავი, ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1917 წელს მიუხედავათ ომის პერიოდისა, ცხვარის რაოდენობა 8 პროცენტით უფრო მეტი იყო, ვიდრე 1924 წელში.

1924 წელს მომხდარი აღრიცხვით ქვემო იმერეთში 1913 წლის 16.480 თავიდან ცხვრების რიცხვი 23.038 გადიდებულა. გამრავლებულა ცხვრების რიცხვი ზემო იმერეთშიდაც, მხოლოდ უფრო ნაკლები პროპორციით, ვიდრე ქუთაისის მაზრაში.

მიმდინარე სამეურნეო წელს ქვემო იმერეთში—ქუთაისის მაზრაში შემჩნეულია წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება.

სამაზრო აღმასკომის საფინანსო განყოფილების საგადასახადო სექციის ცნობებით მიმდინარე წლის 1 ივლისისთვის ქუთაისის მაზრაში აღრიცხული იყო სულ 9 ათასი წვრილფეხი (ცხვარი და თხა) შინაური პირუტყვი.

დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრიდან და რაიონებიდან მოსული ცნობები შინაური წვრილფეხა პირუტყვის შემცირების შესახებ, იმავე მიზეზების გამო, რომელთაც გამოიწვიეს წვრილფეხა საქონლის შემცირება ქუთაისის მაზრაში.

ქრონიკა

— **ახალი ქარხნები.** მიწათ-მოქ. სახალხო კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებას მიმდინარე 1925—26 სამუშაო წლებში განზრახული აქვს მოაწყოს საქსოვ-საფეიქრო ქარხნები შემდეგ ადგილებში: ქარელი, საგარეჯო, სიღნაღი, ალვანი, ახმეტა, ქუთაისი, ხონი და ახალციხეში.

— **მომავალი სამუშაო წლის** ხარჯთაღრიცხვაში მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა შეიტანა, 7 ადგილას საქსოვ-საფეიქრო ქარხნების გასახსნელი ხარჯები.

— **მიწათ-მოქმედების კომისარიატმა** გაგზავნა დუშეთ-თიანეთის რაიონებში ამხ. ბაქრაძე ტყის მომწყობ ჯგუფების სარევიზიოთა და შესაფერ ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **შრომის პირობების გამოსარკვევათ.** გორის მაზრაში, შრომის სახ. კომისარიატმა გამოჰყო ცალკე კომისია.

— **საზოგადო სამუშაოების გაფართოება.** შრომის სახ. კომისარიატმა განიზრახა გააფართოოს საზოგადო სამუშაოები პროვინციებში, პირველ რიგში კი ქალ. ბათომში.

— **მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა** დუშეთ-თიანეთის რაიონებში მიავლინა ამხ. ბაქრაძე ადგილობრივ ტყეების გამოსაკვლევად.

— **დასასვენებელი სახლი.** დღეს 19 ივლისს ბორჯომში მოხდება ფინმუშაკების დასასვენებელ სახლის საზეიმო გახსნა. გახსნაზე მოწვეულია პარტიის, საბჭოთა დაწესებულებების და პროფკავშირების წარმომადგენლები.

— **მოჯამაგირეთა დაზღვევა.** 1-ლ ივლისისათვის თბილისის დამზღვევ სალაროში აღრიცხვაზე იყო აყვანილი 88 მოჯამაგირე.

— **პენსიონერთა რიცხვი.** 1-ლ ივლისისათვის თბ. დამზღვევ სალაროს აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავდა 1082 პენსიონერი. მათ შორის 750 შრომის ინვალიდია და 332 ქვრივ-ობოლი.

— **საპირადო წიგნაკები.** თბ. დამზღვევ სალარომ დაადგინა საექიმო-საკანტროლო კომისიაში გამმვლელთათვის შემოიღოს საპირადო წიგნაკები.

— **ქართული ჯარის პოლიტგანყოფილება** შეუდგა საერთოშენაკრების მოსამზადებელ გეგმის შემუშავებას, რომელიც ახლო ხანში დაეგზავნება ნაწილებს.

— **მარშრუტების მაჩვენებელი.** თბ. ტრამვაის დირექციის განკარგულებით ტრამვაის ხაზის უმთავრეს პუნქტებზე გამოკიდებული იქნება მარშრუტის მაჩვენებელი აბრები.

— **ექსკურსია.** მე-25 შრომის სკოლის მოწაფეები რიცხვით 35 კაცი მიემგზავრება ექსკურსიაზე შავი ზღვის ნაპირების დასათვალიერებლად.

— **საფოსტო კავშირი ფინეთთან.** ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის განკარგულებით, ფინეთში ფოსტით ფულების გადაგზავნა და სხვა საფოსტო კავშირი აღდგენილია.

— **ქ. სასაკლაოზე** ივნისში მიდენილი იქნა 16.560 სული საქონელი, აქედან დაკლულია 14,123 თავი საქონელი.

— **ქ. აბანოებში** ივნისში იბანავა 89,586 მოქალაქემ.

— **ლექცია ჰამუნდსენის მოგზაურობაზე.** 20 ივლისს, საღამოს 8 ს. მბეჭდავთა საზაფხულო კლუბში (ყოფ. სტელლა) გაიმართება ამხ. სტრელეცკის კინო-ლექცია—„ჰამუნდსენის მოგზაურობა ჩრდილოეთის პოლიუსზე".

გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევას. ამ გამოკვლევისთვის საკავშირო სტატისტიკის სამმართველოს მიერ გადადებულ თანხას საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ თავის მხრივ დაუმატა ფული, რის შემდეგაც შესაძლებელი შეიქნა გამოსაკვლევ ობიექტთა რიცხვის გადიდება 275-დინ.

გამოკვლევა ხდება საქართველოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო რაიონების 55-ტიპიურ სოფლებში თითო სოფელში იკლევა 2 ღარიბი, 2 საშუალო და 1, შეძლებული გლეხის ბიუჯეტი. გამოკვლევას აწარმოებს სპეციალურად [illegible] მომზადებული შტატი [illegible] შემდგარი: მუშაობა სწარმოებს როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში (4—4 კაცი თითო ხელმძღვანელით).

ამ ჟამად გამოკვლევა უკვე დამთავრებულია 30 სოფელში. დანარჩენ სოფლებში მუშაობა [illegible] და ა/წ. 15 აგვისტოსთვის გამოკვლევა დამთავრებული იქნება მთელ საქართველოში. მიუხედავათ გამოკვლევის პროგრამის სირთულისა, გლეხების შეუჩვევლობისა ამგვარ გამოკვლევებისადმი და სხვა მრავალ დაბრკოლებისა, გამოკვლევა წარმატებით მიმდინარეობს.

ხელოვნება

ქ. თბილისის ყველა პროლეტარულ მწერლებს.

რ. კ. პ. (ბ) ც. კ. უკანასკნელმა რეზოლიუციამ ლიტერატურის საკითხის შესახებ მოუღო ბოლო პროლეტარულ ლიტერატურის გარშემო ატეხილ დიდ იდეოლოგიურ დავას. მოცემულია ნათელი ხაზი პროლეტარულ ლიტერატურაზე. ხაზგასმულია პროლეტმწერლების ორგანიზაციებისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა.

აქამდის თბილისში არ არსებობს პროლეტმწერალთა მთლიანი ორგანიზაცია. არსებობენ მხოლოდ ცალკე ჯგუფები და წრეები. აუცილებელია მათი გაერთიანება ერთ მთლიან პროლეტმწერალთა ასოციაციაში.

ამ მიზნით ორშაბათს, ა/წ. 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქუჩა) მოწვეულია როგორც სხვადასხვა ჯგუფებში შემავალ, ისე ცალკე პროლეტარულ მწერლების საერთო კრება.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) პროლეტარული ლიტერატურის მდგომარეობა და მისი ამოცანები (მომხსენებელი ილ. ვარდინი); 2) საორგანიზაციო საკითხები (მომხსენებლები: ს. ეული, პ. ქიქოძე); 3) არჩევნები.

საინიციატივო ჯგუფი: სანდრო ეული, აკოფ აკოფიანი, არკ. სიტკოვსკი, პ. ქიქოძე.

— **ქართული საოპერო სტუდიის** სასარგებლოდ საზ. „ჩემო"-მ გადასდო 12 ათასი მან.

— **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კლუბში, დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

— **შამილი ეკრანზე.** პოეტმა ტიციან ტაბიძემ დაწერა კინო-სცენარი „შამილი".

— **სათეატრო სამზადისი ჭიათურაში.** შორაპნის აღმასკომმა ჭიათურის თეატრის მომავალ სეზონისათვის წინასწარი მუშაობის საწარმოებლად გამოჰყო ცალკე კომისია.

დღეს

მხატვარ ირაკლი თოიძის სურათების გამოფენა გაიხსნება ერთი კვირით. გამოფენა ღია იქნება ყოველ დღე 10—12 ს. საღ. 6—9 ს. ერმოლოვის ქუჩა 3. (მ. ჭიაურელის სახელოსნოში).

— **კოლექტივ პროლემაფის კრება.** დღეს, დღის 12 საათზე ხელოვანთა სასახლეში მოწვეულია კოლექტივ პროლემაფის კრება. აუცილებელია დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: 1) ბუმერანგი-მამაშვილი, 2) ბუაჩიძე, 3) ზესოშვილი, 4) გუგუნავა, 5) კალაძე, 6) მდივანი, 7) მაჭავარიანი, 8) ლორთქიფანიძე, 9) რონდელი, 10) რადიანი, 11) ქიქოძე, 12) ფეოდოსიშვილი.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დღეს გამოსათხოვარი წარმოდგენა მსახიობ ჩაროვისა.

— **საზაფხულო კლუბი „მბეჭდავი".** დღის სრულ 12 საათზე ლექტორი ა. ლინგველი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო ენა—ესპერანტო". დასწრება კლუბის წევრთათვის უფასოა.

შემთხვევები

— **ქურდის შეპყრობა.** 16 ივლისს, ღამით, გაქურდეს მოქ. პ. მონკოვსკაიას ბინა (ყორღანოვის ქ. № 3) ეჭვით შეპყრობილია ეკატერინე ბეჟენცევა.

— **ქურდობა.** 16 ივლისს, დღით წოლკნის ქ. № 11, გაქურდეს მოქ. ავაქოვის ბინა, ეჭვით შეპყრობილია ოგანეზოვი.

— **17 ივლისს,** ისაკის შესახ. № 12 გაქურდეს მოქ. ვერმიშევის ბინა ფანჯრიდან გადაძრომით. წაღებულია 120 მანეთის ნივთები.

— **ქურდობა.** 15 ივლისს, დიდი მთავრობის ქ. № 8 გაქურდეს მოქ. ტერ-გრიგორიანის სამზარეულო. წაღებულია 105 მანეთის ნივთები.

— **დაჭრა.** 12 ივლისს, სოფ. როსიანის მცხოვრებ გოდერძიშვილმა ჩხუბის დროს კეტით დასჭრა გ. კახეთელაშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ჯიბგირობა.** 15 ივლისს, დეზერტირთა ბაზარში ჯიბგირობისათვის დაიჭირეს მ. ბაბაიანი.

— **ცეცხლი.** 17 ივლისს, ზემუთოვის შეს. № 6, მოქ. ტოპჩიევის ბინას გაუჩნდა ცეცხლი. ზარალი გამოურკვეველია. ცეცხლის მიზეზები არ არის გამორკვეული.

სოფელი

სამტრედიის სამალარიო პუნქტის დაბა დიდი-ჯიხაიში გადატანის შესახებ *)

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის ერთ უსაშინელეს მტერთაგანს მალარია წარმოადგენს, რაც ასე ფართეთ არის გავრცელებული ჩვენში.

ეს სნეულება კიდევ მით არის საშიში და საბედისწერო, რომ წარმოადგენს წინამორბედს, მეორე უფრო ულმობელ სენის—ტუბერკულიოზისა—დასუსტებულის და ღონემიხდილ ციებ-ცხელებიან ადამიანის ორგანიზმს, ის უფრო ძლიერათ ჩაიჭერს, როგორც ადვილათ დასამორჩილებელ ობიექტს.

ამის გამო იყო, რომ ქართველ ექიმთა ორი სამეცნიერო კონგრესი მხოლოდ მალარიის გარშემო ტრიალებდა და მრავალი ღონის-ძიებანი იქნა გამონახული ამ სნეულების საწინააღმდეგოთ.

ერთ ასეთ ზომათაგანს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში მალარიასთან საბრძოლველ მუდმივ პუნქტების დაარსება და მცხოვრებთა ქინიზაცია.

ერთი ასეთი პუნქტთაგანი ქ. სამტრედიაში გაიხსნა; ეჭვს გარეშეა, სამტრედიას და მის მიდამო სოფლებში დიდათ არის გავრცელებული ციებ-ცხელება, მაგრამ სამტრედიის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ ის არ არის ხელსაყრელი იყოს ქვემო იმერეთის სამალარიო პუნქტის ცენტრათ.

ერთ ზაფხულს მეც ვმუშაობდი სამალარიო ექსპედიციაში. სულ მოვლილი მაქვს მთელი ეს რაიონი, დაწყებული სამტრედიიდან, ვიდრე სოფ. კინჩხამდის (ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრის საზღვარზეა), და კარგათ გაცნობილი ვარ ამ მხრივ აქაურ საქმის ვითარებას და ჩემის აზრით ბევრათ უმჯობესი იქნება და მცხოვრებთათვის სასარგებლო, თუ სამალარიო პუნქტი სამტრედიიდან დიდი-ჯიხაიში იქნება გადატანილი.

აი რისთვის:

სამტრედიას დასავლეთით საზღვრავს საჯავახოს რაიონი, რომელიც შედის ოზურგეთის მაზრაში და ამრიგათ ის დაკავშირებულია ოზურგეთის სამალარიო პუნქტთან; აღმოსავლეთით კი ის ეკვრის ერთობ დიდ რაიონს, რომელიც გაჭიმულია ლეჩხუმის მაზრის საზღვრამდის. ამ რაიონში შედის მალარიის მხრივ მეტად საშიში მრავალი სოფლები, რომელნიც დაშორებულნი არიან სამტრედიაზე რამდენიმე ათეულ ვერსით.

ამრიგათ, თუ ჯიხაიში იქნება გადმოტანილი სამალარიო პუნქტი, მაშინ აღნიშნულ რაიონის მცხოვრებთ არ გაუჭირდებათ იქ სიარული და ყოველ შემთხვევაში გზა დაუმოკლდებათ 12—15 ვერსით.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს არა სამტრედია, არამედ დაბა დიდი-ჯიხაიში, სადაც ყოველ ოთხშაბათობით იკრიბება ხალხი სავაჭროთ, არა თუ მარტო ქუთაისის მაზრიდან, არამედ მახლობელ სენაკის და ოზურგეთის მაზრებიდანაც.

სამტრედია არის მხოლოდ კვანძოვანი რკინის გზის სადგური და ამ მხრივ, რასაკვირველია, მისი მნიშვნელობაც დიდია.

დაბა დიდი-ჯიხაიში სწორეთ შუა ადგილას მდებარეობს იმ რაიონში, რომლისათვის დანიშნულია სამტრედიის სამალარიო პუნქტი, მაზედ თითქმის თანაბრათ არიან დაშორებულნი, როგორც ხონის, ისე სამტრედიის რაიონის სოფლები. ამისათვის ვიმეორებ, ძლიერ სასარგებლო იქნება ამ რაიონის მცხოვრებთათვის სამტრედიიდან სამალარიო პუნქტის დიდი-ჯიხაიში გადატანა.

ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებას მართებს ამაზედ ჯეროვანის ყურადღების მიპყრობა და სათანადოთ მისი მოგვარება.

ექ. გრ. კ—ლია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რედ.

სიბინძურე გვახრჩობს

აგ. ბაკურიანი

ბაკურიანი წელს უფრო სიბინძურის ბუდეს წარმოადგენს, ვინემ აგარაკს. ქუჩებში კაცს არ გაევლება. ამჟამად აქ ღორის ჭირია გავრცელებული. დახოცილ ღორთა გვამებს ბლომად წააწყდებით ქუჩებში. აუტანელი სიმყრალე სდგას. ბოლო დროს აირჩიეს სანიტარული კომისია, რომელსაც დაევალა დაბის გასუფთავება, მაგრამ ექიმი ყურს არ იბერტყს. სამაგიეროდ იგი ყოველ დღე შიშველ-ტიტველი გამოდის პარკში და მზის ვანებს ღებულობს. სოფლელები ამის გამო სირცხვილით ვერ მისულან ექიმთან დახმარებისათვის, ქალები კი ბაღში შესვლასაც ერიდებიან. საჭიროა ყველა ამის წინააღმდეგ გადაჭრილი ზომების მიღება.

ქარიშხალი.

წერილებიდან

ტობანიერის თემი (ქუთ. მაზ.) აქაური ინტელიგენცია ამ ბოლო დროს გულგრილობას იჩენს საზოგადოებრივი და კულტურულ საქმეებისადმი. არ იმართება საუბრები და მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე. მცოდნე და პოპულიარული ძალები წარმოდგენებში მონაწილეობას არ ღებულობენ. წარმოდგენებს დგამენ სრულებით გამოუცდელი პირები, რომელნიც თეატრს აძულებენ გლეხობას. საჭიროა ინტელიგენცია ჩაებას კულტურულ-განმანათლებელ და სხვა მუშაობაში. იგი ამისთვის საჭმათ უნდა იქნას გამოყენებული.

მუ—ლი.

ხევის თემი (გურია). აქ მოსახლეობენ აჭარლები. ეს ხალხი ეკონომიურად ღონიერია, მაგრამ კულტურულად მეტად ჩამორჩენილი. ისინი შეადგენენ 100 ოჯახს, უკეთით ორი სოფელი. მათ რიცხვში წერა-კითხვა 2—3 კაცმაც არ იცის. სკოლა აქ არ არსებობს. მცხოვრებნი მოითხოვენ მის გახსნას. 1925—26 წლისათვის მათი მოთხოვნილება აუცილებლად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ზ. ჯამალაძე.

სურამი. არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მუშაობა სურამის მუშათა კლუბში ძალზე მოისუსტებს, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. 7 ივლისს შესდგა კლუბის წევრების კრება. საანგარიშო მოხსენება არ გაუკეთებიათ. ძველი კულტკომისიის მუშაობა არავის შეუფასებია. ცხადი იყო, რომ კულტკომისიას არაფერი გაუკეთებია. მაგრამ საყვედურიც არ გამოუცხადებიათ. პირდაპირ გადავიდნენ არჩევნებზე. ასე მუშაობა არ შეიძლება. უმოქმედო პირები უნდა იქნან სასტიკად გაკიცხული. მეტი პასუხისმგებლობა და ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე!

ი. გაგოშიძე.

ფაღვერი. 12 ივლისს ფაღვერის თემის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის სასარგებლოდ ადგილობრივ თეატრში მოწყობილ იქნა „ჯაყოს ხიზნების" გასამართლება. დაესწრო აურაცხელი საზოგადოება. გასამართლებაში მონაწილეობა მიიღო, გარდა ბრალმდებელ-დამცველთა, აუდიტორიამაც გამტყუნებულ იქნენ თეიმურაზი და ჯაყო, ხოლო მარგო გაამართლეს. მადლობის ღირსნი არიან ის პირები, რომელთაც გასამართლებაში უსასყიდლოთ მიიღეს მონაწილეობა.

ალაზურელი.

ძველი ქედა. (დუშ. მაზ.). ამ სოფლის მცხოვრებნი შესდგებიან უმეტესად [illegible] და გერმანელებისაგან. აისორები ჩამორჩენილი არიან ყოველ დარგში. აქ არ არის კოოპერატივი. სამკითხველო და სხვა. საჭიროა შეფმა მიაქციოს ყურადღება თავის სოფელს, მიაწოდოს გაზეთები და წიგნები, გახსნას წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლა და სხვა.

გიტა.

— **ხაშური.** აქ რკინის გზელებს აქვთ თავისი აბანო, მაგრამ იქ სხვებს არ უშვებენ. ამავე დროს ხაშური საკმაოდ მოზრდილი ცენტრია. ბლომადაა სხვადასხვა დარგის მუშა-მოსამსახურენი, ხელოსნები და სხვა ხალხი. ქალაქს აკრავს მრავალი სოფელი, რომელთაც მუდმივ კავშირი აქვთ მასთან. აბანოს გახსნა, რომლითაც ყველა მოქალაქეს შეეძლება სარგებლობა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სისუფთავის დასაცავად და სხვა ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად.

ბ. მამაჯარიანი.

წყალტუბო. აქ არსებობს კოოპერატივი. ერთი ჭიათურელი მუშა ყიდულობდა ამ კოოპერატივში 10 გირ. კარტოფილს. ნოქარმა რამდენიმე ცალი სრულიად დამპალი კარტოფილი დაუწონა. შეკითხვაზე მან განმარტა, რომ თუ ასე არ მოვიქეცი გამგე გამიჯავრდებაო. იქვე იყო გამგეც [illegible], რომელმაც განაცხადა: „ჩვენ რამდენი საქონელი გაგვიფუჭდება, ყველა რო გადავყაროთ, კოოპერატივი იზარალებსო". ნუ თუ ეს დასაშვებია?

კ. მესხიძე.

ზუგდიდი. აქაური სამკითხველო ღიაა დილის 10—11 საათიდან დღის ორ საათამდე. საღამოზე კი დაკეტილია. საბჭოთა მუშაკები, რომელნიც მხოლოდ საღამოობით არიან თავისუფალნი, არ აქვთ საშუალება სამკითხველოთი ისარგებლონ. საჭიროა სამკითხველო საღამოობითაც იყოს გაღებული.

ბ. ეკაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. კუხის სათემო აღმასკომმა (ქუთაისის მაზრა) შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე სოფ. კუხში საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

— **ტრაქტორის შეძენა.** სოფ. კავთისხევის აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ტრაქტორი და სხვადასხვა სამეურნეო იარაღები.

— **სოფ. ტყვიავის** (გორ. მაზრა) ადგილობრივმა გლეხკომმა გახსნა სამჭედლო-სახელოსნო.

— **სასამართლოს სესიები სოფლად.** წითელ ქალაქის თემაღმასკომმა დაადგინა სთხოვოს ადგილობრივ სახალხო სასამართლოს, რათა მან თავის სესიები მოაწყოს ადგილებზე, სასამართლოს სოფელთან დაახლოვების მიზნით.

— **დაკიდებული ხიდი.** სოფ. ვანის (იმერეთი) სათემო აღმასკომის ხელმძღვანელობით უკვე დასრულდა მდ. სილორზე დაკიდებული ხიდის აგება. ხიდი აერთიანებს სამ მეზობელ თემს.

— **გორის აღმასკომის** განათლების განყოფილებამ დაადგინა, თანახმად მცხოვრებთა სურვილისა, სკოლის შენობა სოფ. მატარპიდან გადაიტანოს სოფ. ძეგვში როგორც [illegible] ადგილას.

— **ბავშვთა საკვებად.** ივნისის განმავლობაში ქუთაისის დამზღვევ სალარომ ძუძუმწოვარ ბავშვებისათვის რძის ფულად გასცა 2317 მან.

— **ქუთაისის დამზღვევ სალარომ** შრომის უნარ მოკლებულებს ივნისის განმავლობაში მისცა დახმარების სახით 1983 მან.

— **ბორჩალოს აღმასკომი** შეუდგა საბაზრო მოედნის მოწყობას ქალ. ლიქსემბურგში.

სოფლის ფოსტა

ფ. ონიანისას. თქვენი კორესპონდენცია ზემო-სვანეთის შესახებ ზოგადი ხასიათისაა; არ წავა.

ალექსი კანიძეს. ლექსი არ გამოგვადგა.

იურიდიული რჩევა-დარიგება

მორიგი შვებულების ხანგრძლივობის შესახებ

კითხვა

ჩვენ მუშები, რიცხვით 9 კაცი ვმსახურობთ ამიერ-კავკასიის ფ/ტ. სამმართველოს ელექტრონულ სადგურში, რომელშიაც სდგას ორი მანქანა „კროსლეი" და „დიზელი".

ვინაიდან სადგური მუშაობს მთელი დღე და ღამის განმავლობაში, ამიტომ ჩვენ, მუშებს, გვიხდება მთელი ღამეობით მორიგეობა. 1924 წელში ჩვენ ვისარგებლეთ ერთი თვის შვებულებით, ხოლო ამ წელს კი ეს დრო ადმინისტრაციის მიერ, ჩვენდა გამოურკვეველ მიზეზების გამო, შემცირებულ იქნა ორი კვირით. ეს იმ დროს, როდესაც სხვა ელექტრონულ სადგურების მუშები, რომელნიც იმყოფებიან „ე. მ. ს"-ის განკარგულებაში, სარგებლობენ ერთი თვის შვებულებით.

გთხოვთ მოგვცეთ ახსნა-განმარტება, გვაქვს თუ არა უფლება მოვსთხოვოთ ადმინისტრაციას ერთი თვის შვებულება.

ხელს აწერს ცხრა კაცი.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხლის 114-ის თანახმად ადმინისტრაცია ვალდებულია ყოველ დაქირავებულს, რომელიც იღებს თავის შრომისათვის განსაზღვრულ ჯილდოს მთელ საკალენდრო წლის განმავლობაში მისცეს ერთხელ მორიგი შვებულება ხანგრძლივობით არა ნაკლებ ორი კვირისა. თუ მომუშავე მუშაობს ჩვეულებრივ და ჯანმრთელობისათვის არახაზარალო სამუშაოზე და მისი წლოვანება აღემატება 18 წელს, მორიგი შვებულების მეტი ხანგრძლივობით აღნიშნულ კატეგორიის პირთათვის მიცემა არ არის დამქირავებლისთვის სავალდებულო, თუ კი კოლექტიური ხელშეკრულებით, და ადმინისტრაციასთან პირადი შეთანხმებით, ანდა ამ უკანასკნელის განკარგულებით შვებულების ხანგრძლივობა არ იქნება გადიდებული.

ამ გვარად, თუ ადმინისტრაციასთან თქვენი კავშირის მიერ დადებულ ხელშეკრულებაში ან პირად შეთანხმებაში აღნუსხულია ერთი თვის შვებულება, თქვენ ასეთი უნდა მოგეცეთ აუცილებლად, თუ არა და თქვენ მიიღებთ შვებულებას მხოლოდ ორი კვირის ხანგრძლივობით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ მე-10 უბანში განაპირა ქუჩაზე სტრელკოვის ქუჩა სახ. № 15-ში, მიქირავს ერთი ოთახი სივრცით 16 კვად. არშინი. დღევანდლამდის ვიხდიდი თვიურად 3 მან. ეხლა, მე აღარ შემიძლია 3 მ. მიცემა ჩემი ჯამაგირის სიმცირის გამო. ვმუშაობ არსენალში ხარატად; ჯამაგირს ვღებულობ 32 მან. ვარ კავშირის წევრი.

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი მეკუთვნის ოთახის ქირად და თუ სახლის პატრონმა ეს ქირა არ მიიღო, როგორ მოვიქცე.

მუშა [illegible].

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით 32 კაპეიკს. თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, იგი შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახალხო კომისარიატის დეპოზიტში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 39

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში.

1925 წლის ივლისის 15.

საზღვრითი საეტიკეტო ფასების დაწესების შესახებ იმ პაპიროსებზე, რომლისთვისაც ორმაგი განაკვეთის აქციზი უნდა იქნეს გადახდილი.

თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის ა/წ. ივლისის 13 დადგენილებისა № 47 და დამატებით ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა. წ. [illegible] 4 დადგენილებისა № 30 ა. კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემდეგი საზღვრითი საეტიკეტო ფასები იმ პაპიროსებზე, რომლისთვ. თანახმად საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 3 დადგენილების მე-2 და მე-4 მუხლისა ორმაგ განაკვეთის აქციზი უნდა იქნეს გადახდილი (აქციზის ჩათვლით).

1-ლი ხარ. „ა" ჩაწყ.

		100 ცალად		1 მ. 35 კ.
1-ლი ხარ.	„ა" ჩაწყ.	25		35 კ.
" "	„ა"	" 10	"	15 კ.
" "	„ბ"	" 100	"	1 მ. 12 კ.
" "	„ბ"	" 25	"	29 კ.
" "	„ბ"	" 10	"	12 კ.
მე-2 ხარ.	„ა"	" 100	"	72 კ.
" "	„ა"	" 20	"	15 კ.
" "	„ა"	" 10	"	8 კ.
" "	„ბ"	" 100	"	54 კ.
" "	„ბ"	20	"	12 კ.

მე-2 ხარისხის „ბ" ჩაწყობილი 10 ც. 7 კ.

ზემოხსენებული პაპიროსების ჩაწყობა ნებადართულია:

1-ლი ხარისხი: „ა" და „ბ" თვის 100 ცალ. 25 ცალ. და 10 ცალ. მე-2 ხარისხის „ა"-სათვის: 100 ცალად, 20 ცალად და 10 ცალად. მე-3 ხარისხის „ბ"-სათვის: 100 ცალ. 20 ცალ. და 10 ცალ.

3. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში დამზადებული პაპიროსების იმ რესპუბლიკებში რეალიზაციის დროს, რომელნიც შედიან ა/კ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკაში ამა დადგენილების პირველი მუხლის დაწესებულ ფასებს უნდამიემატოს 1 კაპეიკათ და ოცდახუთ ცალად ჩაწყობილ პაპიროსის თვითოეულ კოლოფზე და ხუთი კაპეიკი 100 ცალად ჩაწყობილი პაპიროსის თვითოეულ კოლოფზე.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საზღვრითი საეტიკეტო ფასები არ ვრცელდება უმაღლესი ხარისხის პაპიროსებზე.

5. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ ხარისხების პაპიროსების კოლოფზე თუ ხვეულზე აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) ფაბრიკის ან სახელოსნოს სახელწოდება.
ბ) მათი სამყოფელი ადგილი
გ) პაპიროსის სახელწოდება (მარკა და №)
დ) 1000 პაპიროსი თამბაქოს წონა.
ე) რამდენი ცალი პაპიროსია კოლოფში თუ ხვეულში.
ვ) პაპიროსის ხარისხი.
ზ) საეტიკეტო ფასი და
თ) წარწერა: აღნიშნულ ფასებზე ძვირათ გაყიდვა დაისჯება კანონით.

6. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ხარისხის პაპიროსი შეიძლება გამოშვებულ იქნეს მხოლოდ რბილ სახვევში (ხვეულებათ).

7. ყველა თამბაქოს ფაბრიკა და პაპიროსის სახელოსნო ვალდებულია იმ არაპირდაპირ გადასახადთა აგენტების მეშვეობით, რომელთაც ისინი ექვემდებარებიან წარუდგინოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს არა პირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილებას და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს ცნობები ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ხარისხების იმ სახვევებისა და ეტიკეტის მარაგის შესახებ, რაც გამზადებულია ამ წარმოების პროცესში, როგორც საკარტონაჟო წარმოებასა და ლიტოგრაფიებში ისე თვით თამბაქოს ფაბრიკებისა და პაპიროსის სახელოსნოებში და რაც არ აკმაყოფილებს ამა დადგენილების მე-2 მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნილებას. ხსენებული სახვევისა და ეტიკეტის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ წინასწარ აღსარიცხავად წარდგენილ რაოდენობისა და მარაგის ფარგლებში და იმ აუცილებელ პირობით, უკეთუ მათზე დასმულ იქნება ბეჭედი და იარლიყი ხარისხისა და ფასის აღნიშვნით.

8. სახელმწიფო საწარმოებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს ეკრძალებათ გამოუშვან პაპიროსი უკეთუ სახვევზე არ იქნება აღნიშნული ფასი და საერთოდ არ იქნება დაცული სხვა და სხვა პირობა, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2, 6, და 7 მუხლებში.

9. ამ დადგენილებაში აღნიშნული ფასი სავალდებულოა სახელმწიფო საწარმოთათვის, კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის და კერძო პირთათვის, მხოლოდ იმ პაპიროსების გაყიდვის დროს რომელსაც აღნიშნული საზღვრითი საეტიკეტო ფასები და ისეთი სახვევი აქვთ, რაც დაწესებულია ამა დადგენილების მე-2, 5, 6 და 7 მუხლებით.

10. დაწესებულ იქნეს საეტიკეტო ფასების მონაკლები შემდეგი მინიმალური რაოდენობა სახელმწიფო ფაბრიკების პაპიროსების ბითუმათ და წვრილ ბითუმათ გაყიდვის დროს:

ა) პარტიობით 70 ყუთზე მეტის გაცემის დროს სავალდებულოა მონაკლები არა უმცირეს 15 პროცენტისა.

ბ) წვრილ საბითუმო გარიგების დროს 1-დან 70 ყუთამდე ამ რიცხვითურთ არა უმცირეს 12 პროცენტისა.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-10 მუხლით დაწესებული მინიმალური მონაკლები, სახელმწიფო ფაბრიკატების პაპიროსების საეტიკეტო ფასებისა სავალდებულოა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობისათვის.

11. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

12. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში
გამყრელიძე.
სამმართველოს მდივანი აბესაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ქალაქის რაიკომის ყველა კომუჯრედის მდივნებს

სამშაბათს ა/წ. 21 ივლისს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე დანიშნულია განმეორებით შეფკომისიების თათბირი. თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ წინადადება გეძლევათ გასცეთ კატეგორიული განკარგულება შეფკომისიების ყველა წევრებისადმი რათა სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ აღნიშნულ დროს დაუგვიანებლად.

რაიკომის მდივანი სტურუა.
რაიშეფსაბჭოს თავმჯდომარე მაისურაძე.
მდივანი სადირაშვილი.

— სამშაბათს, 21 ივლისს, დილის 9 საათზე, თ. კ. საგ.-საპროპ. განყოფილებაში შესდგება საგ.-საპროპ. კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგი: 1. ქოხ-სამკითხველოს კურსების შესახებ, მომხ. ამხ. მეტრეველი 2. კლუბის დღის ანგარიშები მომხ. ამხ. კამალოვი, 3. პირველ რაიონის საგ.-საპროპ. განყ. ანგარიშები მომხ. ამხ. გუდავაძე. 4. კლუბის შესახებ. მომხ. ამხ. გოფსტალი.

— სამშაბათს, 21 ივლის, საღამოს 7 ს. პარტკლუბში შესდგება მეცადინეობა რუსულ ენაზე საქ. კომუჯრედის მდივანთა სემინარიულ კურსებისა.

— სამშაბათს, 21 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ც. პარტკლუბში შესდგება ლექცია რუსულ ენაზე საქალაქო პარტგანმანათ. ქალის კურსების პროპაგანდისტებისთვის.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული შვილები აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ღამით 17—18 ივლისს, გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა

მარიამ ივანეს ასული
კომპანიონი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე უდელნის ქუჩაზე № 11. დაკრძალვა ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 5 საათზე, კათოლიკეთა სასაფლაოზე (ჟუკოვის ქუჩა).

2035 1—1

ღრმად დამწუხრებული მატილდა და გენრიეტა მლებრიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი დიდ-დედის

მარიამ ივანეს ასული
კომპანიონის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ორშაბათს 20 ივლისს, საღამოს 5 საათზე, საუფლისწულო ქუჩა, ბინა თერთმეტიდან. დაკრძალვა მოხდება კათოლიკეთა სასაფლაოზე. ჟუკოვის ქუჩაზე.

2034 1—1

ღრმად დამწუხრებული ხიაა და ვ. ხედიკტე ცინკაძენი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარ დედის და სიდედრის

მარიამ ივანეს ასული
კომპანიონის

გარდაცვალებას. გამოსვენება შესდგება ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 5 საათზე, საუფლისწულო ქუჩა № 11. დაკრძალვა მოხდება კათოლიკეთა სასაფლაოზე ჟუკოვის ქუჩაზე.

2034 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: იოსები და დუსა, ძმა ჩიტო, დები: ვარო, ნადო და მაშო, აუწყებენ ნათესავ-მეგობართ, რომ დღეს 19 ივლისს, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის შემდეგ, 12 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროვოდ დაღუპული მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ირაკლი კაპანაძის

1—1 სულის მოსახსენებლად. 2032

კვირას, 19 ივლისს საღამოს 6 საათზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი

კოტიკა სარაჯიშვილის

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად მის საფლავზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მშობლები ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და ანდრია პეტრეს ძე სარაჯიშვილები.

2024 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი მშობლები: დედა ეფროსინე დიმიტრის ასული და მამა იულონი ლომინის ძე; დები: ნადია მოწონელიძისა, აგრაფენი, ზინა და ლიუბა, ძმები: იპატი და სერაფიმე; რძალი ანიკო, სიძე აკაკი ტარიელის ძე მოწონელიძე, ბიძები: ვასილი, ნიკოლოზ და სილიბისტრო კერძაიები შვილებითურთ და დეიდა ქრისტინე დიმიტრის ასული კაჭარავასი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ კვირას 19 ივლისს, ქ. ქუთაისში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება დღიდან გარდაცვალებისა 3 წლის თავზე, წირვა და პანაშვიდი მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელის, უდროოდ დაკარგულ

ვერა იულონის ასული
კერძაიასი

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება სრულ 12 საათზე.

№ 2017 1—1

მუშათა ცენტრალური კლუბი

დღეს, კვირას 19 ივლისს მე-2

სიმფონიური კონცერტი

დამსახურებულ მსახიობის ს. ა. სტოლერმანის დირიჟორობით
მ. მლუნცოვის ვიოლონჩელის მონაწილეობით.

№ 1514—1—1

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის საუკეთესო, ხილოვნურათ მომზადებული ხილეულ-მადნეული და სამკურნალო **წყლები,**

რომლებიც მომზადებულია უმაღლესი, ნამდვილი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესათ გაუმჯობესებულ აპარატებზე.

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილ ღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ან მისი საკუთარი განყოფილებიდან.

რუსთაველის პროსპექტი № 18

ნ. № 1496 4—1

ორშაბათს, 20 ამა ივლისს საღამოს 7 საათზე
პროფკავშირთა მცირე დარბაზში
(რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე) დანიშნულია

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების უჯრედების ბიუროების კონფერენცია

მეორე რაიონისა. დასწრება ყველა ბიუროს და საინიციატივო წევრებისათვის სავალდებულოა.

დღის წესრიგი:
1) წერკუმსის ცენტრალური გამგეობის ინფორმაციული მოხსენება.
2) მოხსენება რაიონულ დროებითი საბჭოსი ჩატარებულ მუშაობის შესახებ.
3) საბჭოს არჩევა.
4) სარევიზიო კომისიის არჩევა.
5) მიმდინარე საკითხები.

სარაიონო საბჭოს თავჯდომარე—გოგოლაძე.

ნის. № 1510—1—1

თბილისის საქონლისა და საფონდო ბირჟასთან დაარსებულია

ცნობების მიმწოდებელი ბიურო

რკინის-გზით და წყლით ტვირთების გადაზიდვის შესახებ

ბიურო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

1. რჩევა და კონსულტაცია სარკინისგზო უფლების ყველა საკითხებზე.
2. ცნობების მიცემა რკინის გზით და გემებით მგზავრობის ღირებულების შესახებ ყველაზე მოხერხებულ მარშრუტის არჩევით.
3. ცნობების მიცემა ბარგის და ტვირთების გადაზიდვის ღირებულების შესახებ, კლიენტებისათვის ყველაზე ხელსაყრელ მიმართულების და ტვირთების სწორი სატარიფო სახელწოდების დასახელებით, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ.
4. საბარგო ფურცლების (накладных) და აქტების მიღება შესამოწმებლათ, გადაყოლილ თანხის გამოსარკვევად, ტვირთების არა თავის დროზე გადაზიდვისათვის ხარჯების და ტვირთის ან ბარგის ნაწილობრივ დაკლების, გაფუჭების და დაკარგვის ასანაზღაურებლად ბიურო ადგენს ანგარიშებს და განცხადებებს პრეტენზიების წარსადგენათ.

ბიურო ღიაა. დღის 12 ნახ. საათიდან 3 საათამდე ყოველ-დღე ბირჟაში მეცადინეობის დღეებში.

სოლოლაკის ქ. № 7. ტელეფონი № 4—60. ნ. 1458. 3—3

აჭარისტანის

შინავაჭრობა-მრეწველობის სამმართველო

ამით აცხადებს მისი დებიტორების საყურადღებოთ: ვისაც მმართებთ ყოფილი მაღაზია „ბუმი-"დან წაღებულ საქონლის ღირებულება, შემოიტანონ ასეთი სამმართველოში 1 აგვისტომდე ა/წ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გვარები გამოქვეყნებული იქნება პრესაში და [illegible] კი გადახდებათ ასეთი სასამართლოს წესით კუთვნილი პროცენტების დარიცხვით.

3-3 2001

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის

საჯიშო საჯინიბოების განყოფილება აცხადებს, რომ ა/წ. 24 ივლისს, დილის 10 საათზე, გასახედნავ თავლის შენობაში ელისაბედის ქუჩ. (დიდუბის ჰიპოდრომის პირდაპირ), გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

მოშენებისათვის გამოუსადეგარ 11 ცხენის გასასყიდათ.

ნის. № 1512—1—1

ქ. თბილისის და მის რაიონის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო

(ე. მ. ს.)

აუწყებს ყველა გამოუკლებლივ აბონენტებს, (სამოქალ. და სამხედრ. დაწესებულ, კოოპერატ. დაწესებ., ფაბრიკებს, ქარხნებს, მუშა-მოსამსახურეებს, კერძო პირთ და სხვა მომხმარებლებს ელექტრონის ენერგიისა (რომ ა/წ. 1-ლ ოქტომბრიდან დახარჯულ ელექტრონის ენერგიის ანგარიშების განაღდების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით (ელექტრონის ენერგიაზე ანგარიშების წარდგენა გასანაღდებლად ბინაზე) ე. მ. ს. ა/წ. 1-ლ აგვისტოდან შეუდგება ხელშეკრულების დადებას ყველა აბონენტებთან ელექტრონის ენერგიის გაცემაზე.

ხელშეკრულებები აბონენტებს გასაცნობათ, უწყებებთან ერთად ხელშეკრულებების დასადებათ, ე. მ. ს-ში გამოცხადების დღის ჩვენებით, დაეგზავნებათ ელექტრონის ენერგიის მოხმარების ადგილებზე ე. მ. ს-ის კანტროლიორების ხელით.

იმ აბონენტებმა, რომელნიც რაიმეს გამო ვერ მიიღებენ ხელშეკრულების ბლანკს ა/წ. 1-ლ სექტემბრამდე, კეთილ ინებონ და აცნობონ ამაზედ ე. მ. ს-ს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, რის შემდეგ ის აბონენტები, რომელთაც არ დაუდვიათ ხელშეკრულება ემს-თან, ჩაითვლებიან ემს-ის ელექტრონთა სადგურების ქსელთან თვითნებურათ შეერთებულებათ.

3-2 ნ. 1501 ე. მ. ს-ის გამგე: აფანასიევი.

სავალდებულო დადგენილება

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის № 86.

სახანძრო საწესთვალო წიგნების შემოღების შესახებ.

1925 წლ. 13 ივლისი. ქ. თბილისი

ქალაქის და მისი მცხოვრებთა ხანძრისგან უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

§ 1) ქალ. თბილისში შემოღებულ იქნეს სახანძრო-საწესთვალო წიგნები ხანძრისაგან უზრუნველყოფის წესების ცხოვრებაში სისწორით გატარებაზე კანტროლის დასაარსებლად:

§ 2) ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი კერძო დაწესებულებები, და წარმოებები, როგორიც არიან: ფაბრიკები, ქარხნები, წისქვილები, ყოველგვარი სითხისა და მაგარი სათბობ მასალების საწყობები, აფთიაქის საწყობები, ამაფეთქებელი ნივთიერების საწყობები, საბარგო და სასურსათო საწყობები და სხვა, თეატრები, ცირკები, კინო-თეატრები და ყველა სხვა საზოგადო სახმარებელი შენობები, სახელოსნოები, საფარეხი, (გარაჟები), სადგომები და მეეტლეთა ეზოები, სასტუმროები, რესტორანები და სხვა ამგვარი და აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები—ვალდებულნი არიან შეიძინონ სახანძრო-საწესთვალო წიგნი.

შენიშვნა: 1) რაც შეეხება კერძო სახლებს, მათი პატრონები ვალდებულნი არიან შეიძინონ საწესთვალო წიგნები, თუ ამას მოითხოვს ხანძრისგან დაცვის განყოფილება.

2) 1—§-ში აღნიშნული წიგნი იყიდება თბ. ცეცხლის მქრობელ რაზმის კანცელარიაში ვაჟა-ფშაველას ქ. № 4 (ყოფილ ჟუკოვის ქ.) ტელეფონი № 6—00.

§ 3) სახლების და წარმოებების პატრონები, შენობების გამგეები, მმართველები და კომენდანტები და საერთოდ ყველა 2—§ ჩამოთვლილი წარმოებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი არიან სათანადოთ შეინახონ სახანძრო-საწესთვალო წიგნები და პირველ მოთხოვნილებისთანავე წარუდგინონ ცეცხლის მქრობელ რაზმის ადმინისტრაციას, რომელიც მასში აღნიშნავს დაწესებულების სახლის პატრონის ან წარმოების მიერ ხანძრისგან უზრუნველსაყოფ წესების შესრულებას, სახანძრო სავუშაგოების გასინჯვას და საერთოდ შემჩნეულ ნაკლულოვანებას.

§ 4) ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს დაპატიმრებული იქნება ორი კვირით ან გადახდება მას ჯარიმა ხუთ ჩერვონეცამდე.

§ 5) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარის მოადგილე—ივანოვ-კავკასიელი.
ბ. 1513 1—1. მდივანი—ცქიტიშვილი.

Судебний исполнитель

при Нарсуде 4-го района гор. Тифлиса, Гавсович об'являет, что на 25 июля 1925 г., в 10 ч. утра на углу Пастеровской ул. и улицы имени Камо, им назначены публичные торги на продажу имущества Ивана Минаевича Сантрусова, состоящего из здания цирка, построенного на снос из кровельнаго железа и досок, парусиновой крыши, досчатых скамеек, барьера, электрических лампочек, двух ковров, пони и друг. принадлежностей цирка, описанного на удовлетворение взыскания союза работников искуства Грузии по исполнительному листу трудового суда от 18 июля 1925 г. за № 1478 в сумме 1589 руб. 55 к.

2025 1—1 Судебный исполнитель Гавсович.

ა/წ. 10 ივლისს გამეპარა ბავშვი

ვასო ესტატეს ძე თოხაძე

და მას შემდეგ არ დაბრუნებულა, თუ სადმე აღმოჩნდეს გთხოვთ გამოგზავნოთ სად. ნიგოითში. სოფ. ვანში, ესტატე თოხაძესთან.

2031 1—1

დავკარგე მანდატი ზუგდიდის აღმასკომის მიერ გაცემული საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრ ევგენი გურცკაიას სახელზე ჩ. გ.

დავკარგე სარეგისტრაციო წიგნაკი იოსებ ბეჟანის ძე წიტაიშვილის სახელზე და მასთან ოჯახობის პირადობის მოწმობა ეკატერინე დავითის ასული წიტაიშვილის სახელზე ჩ. გ.

1—1 2033

მიხა ჩოდრიშვილის

სახელობის

შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—25

„წერაკუმსი"

სრულიად საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოება

1926 წლისათვის სცემს დასურათებულ

კედლის კალენდარს და სასოფლო-სამეურნეო კალენდარს

შეკვეთა ამ თავითვე შეიძლება „წერკუმსი"-ს წიგნის მაღაზიაში თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22.

თავმჯდომარის მოადგილე: ცინცაძე.
მდივანი: გოგიტიძე.

ნის. 1453. 3—3

შორაპნის მაზრის აღმასკომის

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება

ამით უცხადებს, რომ მათ მიერ ქალაქ ჭიათურაში

იყიდება:

1. **„დიზელ-მოტორი"** კოლომენის ქარხნის ერთცილინდრიანი 35 HP მოწყობილობით—„დინამო"-მანქანით მუდმივი ნაკადის „სიმენს-შუკერტის" ფირმის 24 კილოუატიანი.
2. **ორი ორთქლის დამამზადებელი ქვაბი** ორ-ორ სართულიანი „შვედური" თანწყობისა, მილებით თბობისა, უმაღლესი დაწოლის-უმილებოთ.

მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებითი ცნობების მიღება და პირობების შესახებ მოლაპარაკება ქალ. ჭიათურაში **კომუნალურ ქმე-განყოფილებაში.**

შორ. მაზრის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ბურჯანაძე.

2—2 2003

პარტიულ და საბჭოთა სკოლების, სახელმწიფო და კოოპ. დაწესებულებების, მუშათა ორგანიზაციების და [illegible] სამკითხველოების და

ყველასა და ყველას საყურადღებოთ

საქართველოს პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიამ

მიიღო დიდძალი ახალი

საქონელი

და მომავალშიაც ასეთს ყოველთვის თავის დროზე მიიღებს

მიღებულია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის შემდეგი საქონელი:

ქაღალდი პელიკანი 18 მან.
საზღვარგარეთის კნოპკა კოლოფი 70 კაპ.
რუსეთის საკონსეციო ელმასის ფაბრიკის ქაღალდი 6 მან.
ლენტი „პელიკანი" საზღვარგარეთის 6 მან.
იგივე რუსეთის საკონ. ელმასის ფაბრიკის 2 მან. 20 კაპ.
გატოვილნიკები 15 მანეთიდან ზევით.
კანტორის საანგარიშო ჩოთქები 3 მ. 25 კაპ. 11 მ. 20 კაპ.

მიღებულია აგრეთვე დიდძალი

ალბომის, ყდის, მაგიდის გადასაფარებელი და სხვა ქაღალდები. კალკა სხვადასხვა ნომრები, საუკეთესო ხარისხის პორტფელები, გადასაღები (Копировальн.) წიგნები, კალმები ევრიკა და სხვ. ყველა „ლეონარდის" ქარხნისა, სამელნეები საკავშირო ნიშნითა და სხვა

ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები

საქონელი იყიდება ყველაზე როგორც წვრილად, ისე ბითუმად

საგრძნობლად დაკლებულ ფასებში

წიგნის მაღაზიას უშუალო კავშირი აქვს დაკავებული საკანცელარიო ნივთების დამამზადებელ ტრესტებთან და რუსეთის ყველა დიდ გამომცემლობასთან

ყოველ დღე ვღებულობთ ჩქარი ფოსტით ახალ-ახალ ლიტერატურას

ფასები ყოველგვარ კონკურენციის გარეშეა

საქონლის დაკვეთა შეიძლება ფოსტითაც, საქონლის ღირებულების ერთი მეოთხედის წინასწარ გადმოგზავნით.

საქონელი მოითხოვეთ შემდეგ ჩვენ მაღაზიებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური, რუსთაველის პრ. № 22.
" № 2 ვაგზლისა და გოგოლის ქუჩ. კუთხე.
" № 3 ვოლოდარსკის ქ. № 9 გლეხთა სასახლის ქვეშ.
" № 4 პლეხანოვის პრ. № 101
" № 5 კომინტერნის (ყოფ. სასახლის) № 4.

განყოფილება სენაკში.

ნის. № 1454—5—4 პატივისცემით გამგეობა.

ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კანტორა

Т Э Ж Э

ცხიმის და ძვლების დამმუშავებელ მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ქარხნების გაერთიანება „ჟირკოსტი" („Жиркость") დონის როსტოვი, მოსკოვის ქ. 75. ტელ. 30—54.

ყიდის დონის როსტოვის საწყობიდან: საპონს ხელის, პარფიუმერიას და კოსმეტიკას მაქსიმალური შეღავათით ახალი პრეისკურანტით; საოჯახო საპონს, კარტოფილის სანთლებს, გლიცერინს ტექნიკურს და ქიმიურს, ალიზარინის ზეთს და ტრესტის წარმოების სხვა პროდუქტებს.

ნის. 1489. 3—2

სსბჭ. რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის სახელმწიფო

მუსიკალური ტრესტის

თბილისის განყოფილება

(„МУЗПРЕД")

ჰყიდის ყველა საუკეთესო ფირმების

როიალებს და პიანინოს საფასურის ნაწილ-ნაწილად გადახდით

ახლებს—850 მანეთიდან, ნახმარს—350 მანეთიდან

აქირავებს როიალებს და პიანინოს 8 მანეთიდან თვეში

გიტარები—12 მანეთიდან, მანდალინები—9 მანეთიდან, ბალალაიკები—5 მანეთ.
გარმონები—12 მანეთიდან, პიონერების ბარაბანები 16 მანეთიდან

გრამოფონის ფირფიტებს და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს

მუშათა ორგანიზაციებს და კოლექტივებს წვრილ-წვრილად გადახდით

საუკეთესო შემოწმებული სიმები

ნოტები მრავალგვარი 10 კაპეიკიდან.

ლებს შესაკეთებლად როიალებს, პიანინოს, სკრიპკებს, ვიოლენჩელებს, გიტარებს, მანდოლინებს და სხვა სიმებიან ინსტრუმენტებს

როიალების და პიანინოს გადატანა-ჩალაგება და გაგზავნა

ქალაქ გარედან მიღებული შეკვეთა სრულდება სისწორით და თავის დროზე

კომინტერნის ქუჩა (ყოფ. სასახლის) ტელეფონი 14—38

ნის. 1474—2—2

საელექტროფიკაციო სააქციონერო ბანკი

„ელექტრობანკ"

(„ЭЛЕКТРОБАНК")

ამიერ-კავკასიის საოლქო განყოფილება

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—58

აწარმოებს

ბანკის წესდებით ნებადართულ ყოველგვარ ოპერაციებს, როგორც მაგალითად: **ელექტროფიკაციისა და ელექტრომეურნეობისათვის ფინანსიური დახმარების გაწევა გრძელვადიან სესხის მიცემით, მოკლე ვადიან სესხის გაცემა საქონლისათვის, საქონლის დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.** თამასუქების აღრიცხვა და სპეციალური მიმდინარე ანგარიშები, ფასიან ქაღალდების და საქონლის ყიდვა-გაყიდვა დავალებით, ფულის თანხების მიღება მიმდინარე ანგარიშზე და შესანახად გადასაგზავნ თანხების მიღება, საკრედიტო საინკასო და სხვა საგადასახადო დავალებათა მიღება და სხვა.

ნ. 1508 2—1.

დავკარგე უვადო მოწმობა, მო ცემული თბილისის მ. მილიციის უფროსის მიერ, ლიუბა ი მის ასული ოსიაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2030 1—1

დავკარგე პასპორტი ნინა გოდ რიძეს სახელზე ჩ. გ.
2017 1—1

დავკარგე სტეპკო გრიგორის ძ პოლოსოვმა მეტრიკულ ამონაწერი ჩ. გ.
2020 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვ მოწმობა ვლადიმერ შინაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2028 1—1

დავკარგე სახლის ნასყიდობის ლადი მოცემული მასკომის მიერ, გაყიდვის ნებართვა, დამზღვევი სალაროს წიგნაკი ივანე დრიასძე კაკუტაშვილის სახელზე. ჩ. გ.
2026 1—1

დავკარგე ფასდადებული მოწმობა № 498345 ბორჯომი საჯავახო—დუბლიკატი № 54027. ხუხუნაიშვილის სახელზე. ჩ. გ.
2023 1—1

დავკარგე ბორჯომის რაიონის ნადირეთა კავშირის მ ერ მოცემული მოწმობა № 45 გურამ ტაბატაძის სახელზე. ჩ. გ.
2027 1—1

ტირაჟი.—21.813

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშ. წულუკიძის ქ. № 4